

ერევნიდან მოსკოვში - თბილისზე სასაუბროდ
A3



უნივერსიტეტი ხარაჩოებში
A5



კომუნიზმის ნამცეცი და მეზობელი ბომჟები
A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 31 ოქტომბერი, 2006 წელი. №242 (1394) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**



**საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი**

**40 52 22**



**თიბისი-ფოსტა**

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.






ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A4

## ამინდი

| | 31/10 | 1/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 20 |
| ბათუმი | 22 | 24 |
| სოხუმი | 22 | 24 |
| ქუთაისი | 23 | 26 |
| გორი | 16 | 18 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7390 |
| ევრო | 2.2120 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2999 |
| რუბლი | 0.0650 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# "რუსეთს მადლობასაც გადაუხდით"

### ეკონომიკური სანქციების გრძელვადიანი პერსპექტივა პუტინის ყოფილი მრჩევლის თვალით

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ანდრეი ილარიონოვი სააკაშვილის მრჩეველი არ გახდება. ამის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მან კატეგორიულად უარყო. თუმცა, რჩევებს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში ავტორიტეტული ეკონომისტი საქართველოს ხელისუფლებას მაინც აძლევს და ქვეყნის წინსვლას და ეკონომიკაში მიღწეულ შედეგებს დადებითად აფასებს.*

ილარიონოვი პუტინის მრჩევლად ეკონომიკურ საკითხებში 2000-დან 2005 წლამდე მუშაობდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*პუტინის ყოფილი მრჩეველი დღევანდელ საქართველოს 90-იანი წლების ესტონეთს ადარებს.*

# ნიჭი, რომელიც სხვის პროექტებს ხმარდება

### ქართველი დიზაინერის მსოფლიო კონცეფცია

**B**

*საქვეყნოდ ცნობილი, ელეგანტურობის კონკურსი "ვილა დ'ესტე" (კონკორსო დ'ელეგანცა ვილა დ'ესტე), იმითაა ცნობილი, რომ ცნობილ რარიტეტულ ავტომობილებთან ერთად, იქ მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები თავიანთი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შექმნილ კონცეპტუალურ ნამუშევრებსაც გამოფენენ ხოლმე. ხანდახან კი, დამთვალიერებელი შეიძლება მსოფლიო პრემიერის მოწმეც კი გახდეს.*



# ვანგრევთ კედლებს

### "პინკ ფლოიდის" მუსიკა "თითების თეატრში"

A5



# "განუყოფლობის რეფერენდუმი"

### კოსოვოს სტატუსის საკითხი საერთაშორისო დილემად რჩება

*გასულ უქმეებზე სერბეთში რეფერენდუმი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შედგა. რეფერენდუმის ოფიციალური მიზეზი კონსტიტუციის მოწონება იყო - სერბეთი ხომ სულ რამდენიმე თვეა, ჩამოყალიბდა ახალ სახელმწიფოდ, მას შემდეგ რაც იუგოსლავიაში დარჩენილმა ერთადერთმა მოკავშირემ - მონტენეგრომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თუმცა, კონსტიტუციის პროექტი, რომლის მოწონებასაც ისახავდა მიზნად გამართული რეფერენდუმი, სერბმა პოლიტიკოსებმა ერთგვარ "კოსოვოსთვის უკანასკნელ ბრძოლად" გამოაცხადეს. სერბეთის ნახევარზე ოდნავ მეტი ამომრჩევლის 52 პროცენტმა მოიწონა კონსტიტუცია, რომელშიც კოსოვო ქვეყნის "განუყოფელ ნაწილად" არის გამოცხადებული.*

ნიკა თარაშვილი

დაახლოებით ერთი თვის წინ სერბეთის პარლამენტის მიერ მოწონებული ქვეყნის ძირითადი კანონის ტექსტი სერბეთს, პირველად 1918 წლის შემდეგ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს. აღსანიშნავია, რომ სერბეთის საკანონმდებლო ორგანოში კონსტიტუციას მხარი დაუჭირა ყველა პოლიტიკურმა ძალამ - დემოკრატებიდან დაწყებული, ულტრანაციონალისტებით დამთავრებული.

აი, საერთო სახალხო მხარდაჭერის მოპოვება კი გაცილებით გაუჭირდა ვოისლავ კოშტუნიცას მთავრობას. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო რეფერენდუმი ორი დღე მიმდინარეობდა, კვირას, ვადის ამოწურვამდე ორიოდე საათით ადრე ძნელად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა მის დადებით შედეგებს. სერბეთის პრემიერ-მინისტრმა და პატრიარქმა სპეციალურადაც კი მიმართეს მოსახლეობას კონსტიტუციის მხარდაჭერის თხოვნით. კოშტუნიცას თქმით, ეს კონსტიტუცია საშუალებას მისცემს სერბეთს, შეინარჩუნოს კოსოვო, როგორც "სახელმწიფოს არსი, ბირთვი და გული".

გაგრძელება A3 გვერდზე

# "რუსეთის დღე" საქართველოს პარლამენტში

*გუშინ საქართველოს პარლამენტში "რუსეთის დღე" იყო: პირველი სხდომა გამართა დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, რომელმაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ქმედებები უნდა შეისწავლოს. პარალელურად კი, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის ლიდერებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ცალკეულ ასპექტებზე მიაწოდა ინფორმაცია.*

გიორგი ასანიშვილი

მთავრობის ხელმძღვანელთან ორსაათიანი დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლები ღიად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

**"პარლამენტის მიმართ პრემიერის და, ზოგადად, მთავრობის დამოკიდებულება აუტანელია. ის თავხედური პასუხები, რომლებიც ნოღაიდელისგან მოვისმინე, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ეს ეხება, პირველ რიგში, რუსეთიდან შესასყიდი ბუნებრივი აირის საფასურს, რომელიც გასაიდუმლოებულია ისევე, როგორც ამ ზამთარს ირანისგან შეძენილი გაზის ფასი. საერთოდ, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ბუნდოვანი მდგომარეობაა. კარგია, პრემიერს თავდაჯერებული ტონი რომ აქვს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ვისურვებდი, რომ შექმნილ სიტუაციაში აღმასრულებელი ხელისუფლების მიდგომები უფრო ადეკვატური ყოფილიყო,"** - აცხადებს "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე.

ნოღაიდელთან გამართული შეხვედრის შედეგები არც "დემოკრატიული ფრონტის" პოლიტიკურ მდივანს კახა კუკავას აკმაყოფილებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დამოუკიდებელი სასამართლო

### და საკონსტიტუციო ცვლილებები

*პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს მალე პარლამენტი განიხილავს. ამ ცვლილებების დიდი ნაწილი სასამართლო ხელისუფლებას ეხება. ექსპერტთა აზრით, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესის შეცვლა მხოლოდ დადებით შედეგს გამოიღებს. რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდოთ რეფორმის მიმდინარე ეტაპზე, ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი გვესაუბრება.*

**- წარმოდგენილი კანონპროექტით, მოსამართლეებს აღარ დანიშნავს პრეზიდენტი. არის საუბარი იმაზეც, რომ დამუშავების სტადიაზეა პროექტი მოსამართლეთა უვადო დანიშვნის შესახებ. რეფორმის რა ეტაპზეა მოსალოდნელი მოსამართლეთა უვადო დანიშვნა?**

- სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მოსამართლეთა მაქსიმალური დამოუკიდებლობის და მათი ხელშეუხებლობის გარანტიების დამკვიდრება.

იცვლება მთლიანად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით, პრეზიდენტი ისევ თავმჯდომარეობს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მაგრამ მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იუსტიციის საბჭო, მათ შორის, რა თქმა უნდა - პრეზიდენტიც, როგორც ამ საბჭოს თავმჯდომარე.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი დააკავეს

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა საბურთალოს რაიონში უშიშროების ყოფილი თანამშრომელი კონსტანტინე ლოლაძე დააკავეს. პირადი ჩხრეკისას მას 2.02 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" და "სუბუტექსის" 1 აბი აღმოაჩნდა. ამავე ბრალდებით არის დაკავებული მამუკა მჟავანაძეც, რომელსაც, სამართალდამცველების მტკიცებით, ლოლაძესთან ერთად ბინა ჰქონდა დაქირავებული, სადაც ნარკოტიკული ნივთიერებების დასაწყობება-რეალიზაცია ხდებოდა. აღნიშნული ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 88 შეკვრა "სუბუტექსი" და 5 გრ "ჰეროინი" ამოიღეს.

"კონსტანტინე ლოლაძეს ხანგრძლივად ვაკვირდებოდით და დღეს იგი ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე დავაკავეთ; მთლიანობაში "ჰეროინთან" ერთად ამოღებულია 618 აბი "სუბუტექსი", რაზეც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე," - აცხადებს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ლევან გურგენიძე. **ინტერპრესნიუსი**

## ქართველი და ოსი სამართალდამცველების ერთობლივი ოპერაცია

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. შს სამინისტრო აცხადებს, რომ გუშინ ცხინვალის რაიონის სოფელ ზემო არცევში ქართველმა და ოსმა სამართალდამცველებმა ერთობლივი სპეცოპერაცია ჩაატარეს.

კერძოდ, სეპარატისტთა მილიციამ და საქართველოს პოლიციამ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სოფელ ზემო არცევის მკვიდრი ჯუმბერ კვინიკაშვილი, ზედმეტსახელად "ჯუბა", დააკავეს. მას ბრალად ედება ვ. ელიოზაშვილის მკვლელობა.

დაკავებისას კვინიკაშვილს "კალაშნიკოვის" ტიპის ავტომატი და საბრძოლო მასალა აღმოაჩნდა. დაკავებული ელიოზაშვილის მკვლელობას აღიარებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

იუსტიციის სამინისტროს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გუშინ მსჯავრდებული, 24 წლის ფრიდონ პ. გარდაიცვალა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში გეგუთის №8 დაწესებულებიდან 27 ოქტომბერს გადაიყვანეს. ექიმებმა ავადმყოფს დელირიოზული მდგომარეობა და ფილტვების ტუბერკულოზი დაუდგინეს. სიკვდილის სავარაუდო მიზეზი გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა. მსჯავრდებული ქურდობის ბრალდებით იყო გასამართლებული და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. **ინტერპრესნიუსი**

## ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ფოთში ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავეს. გემის ეკიპაჟს ბრალად ედება ნაოსნობის წესების დარღვევა. გემს რუსეთის მიმართულებით თხევადი აირი გადაჰქონდა. დაკავებული გემი ამჟამად ფოთის საზღვაო აკვატორიაში იმყოფება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, გემის ეკიპაჟს, ჯარიმის სახით, 50 ათასი ლარის ოდენობის გადახდა დაეკისრება. თანხის გადახდის შემთხვევაში, ბულგარული გემი პატიმრობიდან გათავისუფლდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ის აუქციონის წესით გაიყიდება. **ინტერპრესნიუსი**

## ომბუდსმენის სარჩელმა სადავო ნორმის მოქმედება შეაჩერა

საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის სოზარ სუბარის სარჩელი წარმოებაში მიიღო. სახალხო დამცველი "მეწარმეთა შესახებ" კანონის იმ მუხლს ასაჩივრებს, რომელიც წვრილი აქციონერთათვის აქციების იძულებით ჩამორთმევას ითვალისწინებს. სადავო მუხლის თანახმად, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერი სააქციო საზოგადოების ხმების უფლების მქონე აქციათა 95 პროცენტზე მეტს ფლობს, მაშინ მას უფლება აქვს, სხვა აქციონერთა კუთვნილი აქციები გამოისყიდოს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ამ ნორმით იზღუდება მესაკუთრის კონსტიტუციით დაცული უფლება - თავისი შეხედულებისამებრ ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ქონებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განხილვის დაწყების 6-თვიანი ვადა აქვს. სასამართლოში საქმის განხილვამდე სადავო ნორმის მოქმედება შეჩერებულია. **24 საათი**

## იუსტიციის მინისტრმა ფრანგი სტუმრები მიიღო

იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე საფრანგეთის ყოფილ სახელმწიფო მდივანს რეფორმის საკითხებში, ამჟამად ვალ-დე მარნის გენერალური საბჭოს მრჩეველ ანრი პლანიოლს და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლობის საკითხებში ატაშეს ანა კლუეს შეხვდა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, გია ქავთარაძე სტუმრებს საქართველოში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ ესაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ მიღწევებს.

გია ქავთარაძემ ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაზეც, რომელიც იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით მომზადდა და პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით მოქმედი სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობი კომისიის მიერ ხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

## საჯარო რეესტრის ცხელ ხაზზე შესული ზარები

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზზე ბოლო სამი თვის განმავლობაში 297 მოქალაქის ზარი შევიდა. ზარების ავტორები, ძირითადად, განმარტებებსა და ინფორმაციებს ითხოვდნენ, თუმცა იყო საჩივრებიც. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მოქალაქეთა შეკითხვები უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცედურას, ბინის პრივატიზაციის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობებისა და უკანონოდ მიტაცებული მიწების რეგისტრაციის საკითხებს, ტექბიუროში რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ხელახალი რეგისტრაციის აუცილებლობას უკავშირდებოდა. საჩივრები, ძირითადად, ეხებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მუშაობას. უკვე რამდენიმე დღეა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა მუშაობა ახალი პერსონალით გააგრძელა

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში საკადრო ცვლილება განხორციელდა. სამსახურიდან გათავისუფლებული 65 თანამშრომელი ახალი, სწავლებაგავლილი კადრებით შეიცვალა. გათავისუფლებულებს 19 ოქტომბრის გაფიცვის ორგანიზებასა და სამსახურის შეგნებულ პარალიზებაში ედავებიან. შეგახსენებთ, რომ გაფიცულები სისტემაში გამკაცრებულ კონტროლს და საკადრო ცვლილებებს აპროტესტებდნენ. როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, გაფიცვამ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში მისულ მოქალაქეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. **24 საათი**

## საკრებულოს თავმჯდომარე და ბუღალტერი დააკავეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარას თემის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ფერაძე და ბუღალტერი ნუნუ ფერაძე დააკავა. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ირაკლი და ნუნუ ფერაძეებმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებზე ყალბი ანგარიშ-ფაქტურები წარმოადგინეს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტი აზარალეს. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ფინანსურმა პოლიციამ დაკავებულებს ბრალი უკვე წაუყენა. პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის დამზადება-გამოყენების მუხლით დაიწყო. **ინტერპრესნიუსი**

# დამოუკიდებელი სასამართლო

პირველი გვერდიდან

ანუ იცვლება ის მექანიზმი, როგორც დღეს არის, როცა პრეზიდენტს დასანიშნად წარედგინებოდა კანდიდატები. ფაქტობრივად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხდება მართლმსაჯულების ადმინისტრირების ისეთივე ორგანო, როგორც არის საფრანგეთში და იტალიაში. ამ ქვეყნებშიც შესაბამის საბჭოებს თავმჯდომარეობენ პრეზიდენტები.

დღეს საბჭოში უმრავლესობას წარმოადგენენ მოსამართლეები. ეს ამ რეფორმის მიღწევაა და, რაც უნდა შეიცვალოს, საბჭოში მოსამართლეთა რაოდენობა ყოველთვის უმრავლესობა იქნება.

რაც შეეხება მოსამართლეთა უვადო დანიშვნას, ამ პროექტზე მუშაობა ჯერჯერობით ისევ მიმდინარეობს. მოსამართლეთა უვადო დანიშვნით სისტემის დამოუკიდებლობის კიდევ ერთი სერიოზული გარანტია შეიქმნება. ამით იმ დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტებს მივუახლოვდებით, სადაც მოსამართლეების დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია.

**- კონკრეტულად, რომელ მოსამართლეებს შეიძლება შეეხოთ უვადო დანიშვნა?**

- ამ საკითხებთან დაკავშირებით ჯერჯერობით მუშაობა მიმდინარეობს. განიხილება რამდენიმე ვარიანტი, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოდელი მუშაობს. საბოლოოდ ყველა ვარიანტი შეჯერდება და ჩვენი სისტემისთვის საუკეთესო მოდელი გვექნება.

ერთ-ერთი ასეთი მოდელი უვადოდ იმ ახალი მოსამართლეების დანიშვნას გულისხმობს, რომლებიც იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სპეციალურ 14-თვიან მოსამზადებელ კურსს გაივლიან. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ამ ფუნქციის ამოქმედება უკვე 2007 წლის მეორე ნახევრისთვისაა დაგეგმილი, სავარაუდოდ, ამ სკოლის პირველი გამოშვება და, შესაბამისად, მათი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა 2009 წლის გაზაფხულზე მოხდება.

რაც შეეხება დანარჩენ მოსამართლეებს, ანუ მოსამართლეთა იმ კატეგორიას, რომლებიც დღეს მუშაობენ და, ასევე, იმ მოსამართლეებსაც, რომლებიც 2009 წლის გაზაფხულამდე დაინიშნებიან, ისინი ჩვეულებრივად დღეს მოქმედი ვადით - 10 წლით დაინიშნებიან თანამდებობაზე, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ უკვე დაინიშნებიან უვადოდ.

**- ანუ მოხდება მათი "გადანიშვნა", მაგრამ ამჯერად - უვადოდ?**

- დიახ, 10-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი მიიღებენ მონაწილეობას მცირე კონკურსში და ამის შემდეგ უკვე დაინიშნებიან უვადოდ. ესეც კანონის მოთხოვნაა, რადგან სხვაგვარად არ ხდება მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა.

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ახალი კონკურსით მათი "გადანიშვნა" მოხდება.

**- საკონსტიტუციო ცვლილების მიხედვით, უვადოდ დანიშვნა სიცოცხლის ბოლომდე მოსამართლეობას ნიშნავს?**

- რა თქმა უნდა - არა. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მოსამართლეები ჩვეულებრივად გადადგებიან თანამდებობიდან - ანუ დაუმთავრდებათ უფლებამოსილება.

ამის გარდა, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სიახლე, რომელიც კარიერის პრინციპით მოსამართლეთა დაწინაურებას შეეხება. ეს ცვლილება გათვალისწინებული გვაქვს როგორც რეფორმის გეგმაში, ასევე - სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიულ დოკუმენტში, რომლის იმპლემენტაცია ახლა მიმდინარეობს.



კონსტანტინე კუბლაშვილი.

**- კონკრეტულად, რას მოიცავს კარიერის პრინციპი?**

- საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ სამუშაო ვარიანტი უკვე არსებობს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლის დაწიანურება მხოლოდ კარიერის პრინციპით მოხდება ანუ ახლად დანიშნული მოსამართლე თავის საქმიანობას ჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიწყებს და მხოლოდ გარკვეული წლების, მაგალითად, 3 ან 5 წლის მუშაობის შემდეგ მოხდება მისი დაწინაურება სააპელაციო სასამართლოში; ამგვარადვე მოხდება სააპელაციო სასამართლოდან უზენაესში დაწინაურების შემთხვევაშიც.

თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის მსგავსად, კარიერის პრინციპის ამოქმედებაც გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა მოხდეს, რადგან ჩვენ ახლა ვავსებთ მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებს და ახლავე რომ შემოვიღოთ კარიერის პრინციპით დაწინაურება, ფაქტობრივად, ხუთი წელი მოგვიწევს მოცდა და დაუკომპლექტებელი დაგვრჩება სააპელაციო სასამართლო. ეს არის რეალური პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მუშაობს 35 მოსამართლე. არადა, სულ მცირე, 15 მოსამართლე კიდევ გვჭირდება ამ სასამართლოში. ასეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ასე რომ, კარიერის პრინციპიც უნდა ამოქმედდეს მას შემდეგ, რაც სისტემაში ვაკანსიები მაქსიმალურად იქნება შევსებული.

# ოპოზიცია ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადაყენებას კვლავ ითხოვს

*სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია კიდევ ერთხელ გახდა სკანდალის ობიექტი - ამჯერადაც პენიტენციურ სისტემაში არსებული უმძიმესი სიტუაციის გამო და კვლავინდებურად სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი ფაქტების საფუძველზე. საპარლამენტო ოპოზიცია უკვე მესამედ ითხოვს ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადაყენებას და მის პასუხისგებაში მიცემას. თუმცა, მათ ძველ მოთხოვნებს ერთი ახალიც შეემტა - საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც ობიექტურად შეისწავლის პენიტენციურ სისტემაში არსებულ დარღვევებს.*

საპარლამენტო ოპოზიციამ ბაჩო ახალაიას პასუხისგებაში მიცემა პირველად მაშინ მოითხოვა, როცა სახალხო დამცველმა საკანონმდებლო ორგანოს ანგარიში ჩააბარა და პენიტენციურ სისტემაში არსებულ მძიმე ვითარებაზე დეტალურად ისაუბრა.

მეორედ, როცა სახალხო დამცველმა ბაჩო ახალაიას საქმიანობასთან დაკავშირებით სკანდალური მასალა გამოაქვეყნა - ომბუდსმენმა მისი ყოფილი მოადგილე "კანონიერ ქურდებთან" ალიანსში და 27 მარტს ციხეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებაში დაადანაშაულა; უფრო ზუსტად, სოზარ სუბარმა 27 მარტის ციხის ბუნტის ერთ-ერთი მთავრი გმირის, შსს-ს მიერ ბუნტის ერთ-ერთ ორგანიზატორად გამოცხადებული ყოფილი "კანონიერი ქურდის" პლატონ მამარდაშვილის აღიარებითი ჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც მამარდაშვილი აცხადებდა, რომ ბუნტი ახალაიას მიერ იყო ორგანიზებული. მართალია, მამარდაშვილმა მოგვიანებით ჩვენება გადათქვა, მაგრამ მოთხოვნა არ შეუცვლია საპარლამენტო ოპოზიციას - 27 მარტის ბუნტის გამო, დეპარტამენტის თავმჯდომარის პასუხისგებაში მიცემა.

გუშინ საკონსტიტუციო რეფორმების ჯგუფის წევრები, საპალამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები - კოკა გუნცაძე, კახა კუკავა და გია თორთლაძე საქართველოს სახალხო დამცველს შეხვდნენ და საპატიმრო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვს.

**"მგონი მორიგ სადიზმთან გვაქვს საქმე. ციხეებში პატიმრებს სადისტურად ექცევიან, სცემენ, აწამებენ და დამამცირებლად ეპყრობიან და ეს ყველაფერი 21-ე საუკუნეში ხდება. ბაჩო ახალაიამ 10 თვეში იმდენი დანაშაულის ჩადენა მოასწრო, რომ ანალოგის პოვნა ძალიან ძნელია. ვიდრე პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია იქნება, საქართველოში პატიმრების წამება არ დასრულდება. ციხეებში პატიმრების გაშიშვლება და რამდენიმე კვირა დედიშობილა დატოვება წამების ყველაზე სასტიკი მეთოდია და ხელისუფლებამ ამას გულგრილად არ უნდა შეხედოს,"** - განაცხადა ომბუდსმენთან შეხვედრის შემდეგ საკონსტიტუციო რეფორმების ჯგუფის წევრმა, პარლამენტარმა კოკა გუნცაძემ.

კახა კუკავას თქმით კი, ე.წ. ციხის ამბოხების შემდეგ უკვე დიდი დრო გავიდა, მაგრამ ციხეებში შექმნილი მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში ვერც იუსტიციის სამინისტრომ და ვერც პროკურატურამ ვერ გამოიძიეს.

**"მიგვაჩნია, რომ მომხდარი ფაქტების გამოსაძიებლად პარლამენტის საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას. თუ უახლოეს დღეებში პროკურატურიდან არ იქნება წარმოდგენილი მასალები, პარლამენტმა ამ საკითხების გამოძიება დამოუკიდებლად უნდა დაიწყოს,"** - განაცხადა კახა კუკავამ.

საპარლამენტო ოპოზიციისა და ომბუდსმენის შეხვედრის მიზეზი გასულ კვირას მომხდარი ფაქტი გახდა - სოზარ სუბარმა რუსთავის N6 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების კარცერებში მყოფი გაშიშვლებული პატიმრების თაობაზე ისაუბრა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე გამოძიების დაწყება მოითხოვა.

საქმე ისაა, რომ ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლებმა საპყრობილეში მონიტორინგი ჩაატარეს და აღმოაჩინეს მსჯავრდებულები, რომლებიც კარცერში საცვლებისამარა იმყოფებოდნენ.

გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს კვლავ თავის მართლება მოუწია. საპარლამენტო ოპოზიციის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ ბაჩო ახალაიამ პრესკონფერენცია გამართა და ომბუდსმენის აპარატის მიერ გამოვლენილი ფაქტი - რუსთავის N6 საპყრობილეში პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის არსებობა კატეგორიულად უარყო.

**"სახალხო დამცველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს, იგი რეალობას აცდენილია და კვლავ არაობიექტურ განცხადებებს აკეთებს. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი და ჰაერიდან მოტანილი ბრალდებები უნდა შეწყდეს,"** - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

საპარლამენტო განხილვის საგანი პენიტენციური სისტემის პრობლემები მალე გახდება. გუშინ, საღამოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა პარლამენტს ჩააბარა ომბუდსმენის 2006 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიში, რომელსაც პარლამენტი უახლოეს ხანებში მოისმენს. ომბუდსმენის ანგარიშში ძირითადი ადგილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სიტუაციის ანალიზს უკავია, რაც, არსებული ინფორმაციით, საკმაოდ კრიტიკული იქნება. ანგარიშში აუცილებლად მოხვდება საპყრობილეებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები და ყველა ის საჩივარი, რომლითაც მოქალაქეებმა სახალხო დამცველს მიმართეს და რომელთა შესახებაც "24 საათი" არაერთხელ წერდა.

*24 საათი*

# შეკითხვა, რომელსაც პასუხი მართლმსაჯულებამ უნდა გასცეს

*მძიმე დანაშაულებში ბრალდებული პოლიციის პოლკოვნიკის ბათუ საღინაძის სასამართლო პროცესი ხვალ განახლდება, სადაც გაგრძელდება საქმის მთავარი მოწმის, ვლადიმერ მურავიოვის დაკითხვა. "შეიძლება მთავარ მოწმეზე - ვლადიმერ მურავიოვზე ზეწოლა მოახდინონ და მან ჩვენება შეცვალოს," - აცხადებენ განსასჯელის ადვოკატები.*

როგორც ცნობილია, მურავიოვმა პირველი ჩვენება წინასწარი გამოძიების დროს მისცა, სადაც დააფიქსირა, რომ გატაცებული ლევან კალაძე და მარიამ გოგინაშვილი სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახში ნახა. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც კალაძის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით სიტუაცია შიცვალა, მურავიოვმაც ჩვენება შეცვალა. ძმები აფრასიძეების პროცესზე მან მისი პირველი ჩვენება უარყო და განაცხადა, რომ იგი პოლკოვნიკმა ბათუ საღინაძემ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად დააწერინა - სანაცვლოდ მას თავისუფლებას ჰპირდებოდა.

ლევან კალაძის საქმის ყოფილი გამომძიებლის ბათუ საღინაძის დაპატიმრების შემდეგ მურავიოვის ფიგურა კვლავ აქტუალური გახდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, სამართალდამცველებმა სოფელ ეცერში სამარხი მურავიოვის ჩვენების გამო გათხარეს და ამიტომ, წარუმატებელ სპეცოპერაციაშიც ბრალი საღინაძეს მიუძღვის. ბათუ საღინაძის პირველ სასამართლო პროცესზე საქმის მთავარმა მოწმემ და დაზარალებულად ცნობილმა მურავიოვმა ჩვენება კიდევ ერთხელ შეცვალა, რითაც, განსასჯელის ადვოკატების განცხადებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ბათუ საღინაძის უკანონო პატიმრობა.

ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილის განცხადებით, მურავიოვმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ მას საღინაძემ კალაძის საქმის გამოძიებისას ჩვენება არ გამოსძალა, უბრალოდ სთხოვა, რომ დაეფიქსირებინა ის ჩვენება, "რაც საჭირო იყო".

**"საღინაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მაღალჩინოსნების მიერ იდევნება, რომელთაც არ აწყობთ კალაძის გატაცების შემკვეთების გამოვლენა. საღინაძის დევნა იმიტომ ხდება, რომ მას არა მარტო კალაძის საქმესთან დაკავშირებით, არამედ სხვა ფაქტებთან დაკავშირებითაც უმნიშვნელოვანესი ინფორმაციები გააჩნია. ამის გამო საღინაძე დღევანდელი ხელისუფლებისთვის მიუღებელი პერსონა გახდა,"** - აცხადებენ ადვოკატები და სასამართლო პროცესზე მურავიოვის მიერ "გაშიფრული" მაღალჩინოსანი პოლიციელის ვინაობასაც ასახელებენ.

გელა ნიკოლეიშვილის თქმით, მურავიოვმა სასამართლოზე განაცხადა, რომ აფრასიძეების პროცესზე საღინაძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან გვაზავამ მოწმე საპყრობილედან გაიყვანა და თითქმის ცხრა თვის განმავლობაში ჯერ ვარკეთილში კონფიდენციალურ ბინაში, შემდეგ კი გოგინაშვილების სახლში აცხოვრებდა. მურავიოვის მტკიცებით, მან სწორედ გვაზავას მითითებით დაასახელა ეცერის სამარხის ადგილმდებარეობა, სადაც წინასწარ "ჯიპებით" მიიყვანეს.

პოლკოვნიკ საღინაძის პროცესზე კიდევ ერთხელ დაისვა შეკითხვა - ვინ იყო დაინტერესებული ლევან კალაძის გატაცების დეტალების მიჩქმალვით? სავარაუდოდ, ამ შეკითხვას პასუხი მიმდინარე სასამართლო პროცესმა უნდა გასცეს. უმით უმეტეს, რომ კალაძის საქმის გახსნილად გამოცხადების დღეს გენერალურმა პროკურორმა პირობა დადო, რომ პასუხისგებაში მიეცემა ყველა ის პირი, ვისი საეჭვო საქმიანობის გამოც აღნიშნული საქმე წლების განმავლობაში გაუხსნელი იყო.

*24 საათი*

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# "რუსეთს მადლობასაც გადაუხდით"

პირველი გვერდიდან

თანამდებობა მან სკანდალურად დატოვა - ილარიონოვმა განაცხადა, რომ პუტინის ადმინისტრაციაში მისი ადგილი აღარ არის, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ თქვა უარი თავისუფალი ეკონომიკის პრინციპებზე. მას შემდეგ იგი რუსეთის პოლიტიკის კრიტიკით არაერთხელ გამოსულა.

პუტინის ყოფილი მრჩეველი, ამჟამად კი აშშ-ს "გლობალური თავისუფლებისა და კეთილდღეობის" კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი თბილისს ეწვია, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის სახელწოდებაა "თავისუფლება, ვაჭრობა და მშვიდობა: რეგიონული დღის წესრიგი". გარდა ამისა, იგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, გამართა შეხვედრები მთავრობასა და პარლამენტში.

ანდრეი ილარიონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთის ეკონომიკურ სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ეფექტი ექნება. **"მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთის ბლოკადას ზარალი მოაქვს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ეკონომიკისთვისაც. უბრალოდ ეკონომიკის სხვადასხვა მასშტაბის გამო ეს ზარალი სხვადასხვაგვარად იგრძნობა,"** - აცხადებს ილარიონოვი.

რაც შეეხება გრძელვადიან ეფექტს, პუტინის ყოფილი მრჩეველი მიიჩნევს, რომ, შესაძლოა, სანქციებმა საქართველოს სიკეთე მოუტანოს.

**"სწორი და გონივრული პოლიტიკის გატარების, ეკონომიკური ლიბერალიზაციის შემთხვევაში, ბლოკადა, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს გარესამყაროსთან საქართველოს ეკონომიკის კავშირის დივერსიფიცირებისათვის, ასევე ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის. ამ მხრივ საქართველოს შეუძლია ესტონეთის გამოცდილება გაიმეოროს, რომლის ეკონომიკაც 90-იან წლებში ეკონომიკური ემბარგოს გამოცხადების შემდეგ უფრო ძლიერი, დინამიური, ადაპტირებული, დივერსიფიცირებული გახდა და უფრო დაუკავშირდა ევროკავშირს და სხვა განვითარებულ ქვეყნებს,"** - მიიჩნევს ილარიონოვი.

მისი თქმით, დღეისთვის ესტონეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 55 პროცენტით მეტია, ვიდრე სსრკ-ს პერიოდში. ეს მაშინ, როდესაც რუსეთი სსრკ-ს დროინდელ მაჩვენებელს დღესაც ვერ დაეწია.

**"თუ საქართველოს ხელისუფლება ამ გზით წავა, ასეთივე შედეგებს მიიღებს. შეიძლება ისე აღმოჩნდეს, რომ რაღაც დროის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ და მოქალაქეებმა რუსეთის ხელისუფლებას ასეთი პოლიტიკისთვის, საქართველოს განვითარების სტიმულირებისათვის და ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მადლობაც კი გადაუხადონ,"** - აცხადებს ილარიონოვი.

მისი შეფასებით, საქართველოში ეკონომიკური კლიმატი უმჯობესდება. **"შედარება არ შეიძლება იმასთან, რაც იყო სამი წლის წინ. ეს ორი სხვადასხვა სამყაროა. ქვეყანას ძალიან დიდი წარმატებები აქვს"**, - მიიჩნევს ილარიონოვი.

მან აღნიშნა, რომ წელს საქართველოში 1 მილიარდი დოლარის ოდენობის უცხოური ინვესტიციები შემოვა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 16 პროცენტს შეადგენს. **"ეს რეკორდული მაჩვენებელია. სწრაფად განვითარებად ჩინეთშიც კი ინვესტიციების წლიური ოდენობა მშპ-ს 4 პროცენტს არ აღემატება. ამ მხრივ ძნელია რაიმე ახალი გირჩიოთ,"** - აღნიშნავს პუტინის ყოფილი მრჩეველი, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას გარკვეული რეკომენდაციები გაუწია მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

კერძოდ, მისი აზრით, უნდა შემცირდეს სახელმწიფო ხარჯები, რადგან ისინი ეკონომიკურ ზრდას ხელს უშლის. საქართველოში წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა მთლიანი შიდა პროდუქტის 27 პროცენტი შეადგინა. ილარიონოვის განმარტებით, იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი ეკონომიკური ზრდაა, ეს მაჩვენებელი 15-17 პროცენტს არ აღემატება. **"ეს არა ერთადერთი, მაგრამ აუცილებელი პირობაა,"** - აცხადებს ილარიონოვი.

მისი აზრით, უნდა შემცირდეს სოციალური ხარჯები, მოხდეს სოციალური სისტემის პრივატიზება და რეფორმირება. საქართველოს სოციალური ხარჯები მშპ-ს 8 პროცენტს შეადგენს. ილარიონოვის თქმით, ამგვარი ფუფუნების უფლებას თავს მხოლოდ დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები აძლევენ. რუსეთში ეს მაჩვენებელი 5,5 პროცენტია. გარდა ამისა, ილარიონოვის აზრით, **"არ აქვს აზრი საბიუჯეტო დეფიციტის არსებობას. ის შეიძლება კანონითაც აიკრძალოს"**.

ეკონომიკური წინსვლის უმთავრეს წინაპირობად ანდრეი ილარიონოვი ეკონომიკურ თავისუფლებას მიიჩნევს. მისი აზრით, ხელისუფლება ვერ განსაზღვრავს როგორც ექსპორტის, ასევე მთლიანად ეკონომიკის ოპტიმალურ სტრუქტურას. ეს უნდა გააკეთონ მეწარმეებმა და მოქალაქეებმა, რომლებსაც სახელმწიფო თავისუფლებას მიანიჭებს.

კითხვაზე, თუ როგორ აფასებს იგი საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების დონეს და წინსვლას ამ მიმართულებით, ილარიონოვმა განაცხადა, რომ **"ამჟამად მოძრაობის მიმართულება სწორია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა მოდუნდეთ, მუდმივად უნდა იმუშაოთ ამ მიმართულებით"**.

# "რუსეთის დღე" საქართველოს პარლამენტში

პირველი გვერდიდან

**"როგორც აღმოჩნდა, შეხვედრის ორსაათიანი ფორმატი მხოლოდ დებატებისთვის იყო განკუთვნილი და არა იმისთვის, რომ დეტალური ინფორმაცია მიგვეღო. ზურაბ ნოღაიდელმა დაამტკიცა, რომ საკუთარი ქვეყნის პარლამენტის წევრებს არ ენდობა, მათ შორის - არც პარლამენტის თავმჯდომარეს, რადგან პრემიერმა კონკრეტული პასუხებისგან თავი შეიკავა და არ გაამხილა, რუსეთის მიერ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში, რომელი ქვეყნიდან და რა ფასად აპირებს ქვეყანა ენერგომატრებლების შესყიდვას,"** - აღნიშნავს ოპოზიციონერი პარლამენტარი.

განსხვავებული განწყობა აქვთ პარლამენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელობას.

**"ყველა საკითხი ისე მარტივად არ არის, რომ პრემიერ-მინისტრმა საბოლოო და დაბეჯითებითი პასუხები გასცეს, თუნდაც გაზმომარაგებაზე. მთელი რიგი საკითხები გვარდება, ზოგიერთი კი მოლაპარაკების პროცესშია. მართალია, მთავრობას რიგ შემთხვევებში კონკრეტული პასუხები არა აქვს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მინისტრთა კაბინეტი რეალურად ფლობს და აკონტროლებს სიტუაციას,"** - ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი. ვიცე-სპიკერის თქმით, ზურაბ ნოღაიდელმა ენერგომატარებლების ფასების დაკონკრეტებისგან თავი იმიტომ შეიკავა, რომ არ არსებობდა მისი საიდუმლოდ შენახვის გარანტია. როგორც მიხეილ მაჭავარიანი ირწმუნება, მთავრობას აქვს რეალური და კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ შეიძლება საფრთხეების თავიდან აცილება რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში.


ნოღაიდელთან გამართული შეხვედრის შედეგები ოპოზიციას არ აკმაყოფილებს.

ერთადერთი, რაშიც უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა შეხედულებები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, ის არის, რომ მთავრობას უდიდესი ძალისხმევის გაწევა დასჭირდება იმისთვის, რათა ქვეყანამ უსაფრთხოდ "გამოიზამთროს".

მინისტრთა კაბინეტის მსგავსად, უახლოეს თვეებში სამუშაო მრავლად ექნება დროებით საპარლამენტო კომისიასაც, რომელსაც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ქმედებების შესწავლა ევალება. წესით, ამ კომისიას მასალების დეფიციტზე საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონდეს: მოსკოვის არასამართლებრივი მოქმედების დამადასტურებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება. მთავარია მათი დროულად მოძიება და საერთაშორისო თანამეგობრობის სამსჯავროზე გატანა.

**"კომისიის სხდომებზე რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩვენება უნდა მოვისმინოთ. სამართლებრივი დასკვნა, რომელიც პოლიტიკური შეხედულებების მომცველიც იქნება, ძირითადად, ამ ჩვენებების საფუძველზე შეიქმნება,"** - აცხადებს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ნიკა გვარამია.

დროებითი საგამოძიებო კომისია, გარკვეულწილად, ცაიტნოტში იმყოფება: მან თავისი დასკვნის დაწერა ევროსასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის შეტანამდე უნდა მოასწროს, რათა ევროსასამართლოს წევრებს წინასწარი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ.

მართალია, საპარლამენტო კომისია მუშაობას მხოლოდ გუშინ შეუდგა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის თავის საქმიანობას ნულიდან იწყებს.

**"დასკვნა საკმაოდ მკაცრი იქნება იმ მასალების გათვალისწინებით, რომლებიც უკვე მოვიძიეთ,"** - რუსეთის მამხილებელი დოკუმენტის კონტურები უკვე მოხაზული აქვს ნიკა გვარამიას.

კომისიის წევრები არ გამორიცხავენ, რომ მასალების მოსაძიებლად სამუშაო ჯგუფს, შესაძლოა, რუსეთშიც მოუხდეს ჩასვლა, თუ, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობას ოფიციალური მოსკოვი მისცემს.

**"თუ რუსეთში არ შეგვიშვებენ, თავისთავად, ესეც უკვე შედეგია,"** - მიიჩნევს საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე.

როგორც კომისიის გუშინდელი სხდომიდან გაირკვა, რუსეთის მიერ გაჩაღებული ანტიქართული ისტერიის შედეგად მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები როდი ზარალდებიან. პრობლემები ექმნებათ საქართველოს დროშით მცურავ გემებზე მომუშავე არაქართველ მოქალაქეებსაც, კერძოდ, უკრაინელებსა და იტალიელებს. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, რუსეთში დევნის ობიექტები ხდებიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ეთნიკურად ქართველი ადამიანებიც. ნიკა გვარამიას განმარტებით, ზემოთ დასახელებული ორივე კატეგორიის პიროვნებების შესახებ ინფორმაციები, დასკვნის შედგენის დროს, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საგამოძიებო კომისიის გუშინდელი სხდომის ძირითადი ნაწილი საორგანიზაციო საკითხებს დაეთმო: დამტკიცდა კომისიის დებულება და სამოქმედო გეგმა, არჩეული იქნა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი. პირველი თანამდებობა სიღნაღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუგზარ შოშიაშვილმა ჩაიბარა, მეორე კი - ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ცაგარეიშვილმა.

# "განუყოფლობის რეფერენდუმი"

პირველი გვერდიდან

საქმე ისაა, რომ დოკუმენტში, რომელიც 206 მუხლისგან შედგება, შესულია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მომენტი - საკითხი კოსოვოს სტატუსის შესახებ. მასში მართალია, ჩადებულია გარანტიები ყველა ეთნიკური უმცირესობისთვის, მათ შორის ფართო ავტონომიური უფლებები, მაგრამ ცალსახად არის აღნიშნული, რომ კოსოვო ქვეყნის განუყოფელი ნაწილია.

ასე რომ, ამ გადაწყვეტილებით ოფიციალურმა ბელგრადმა ცალსახად დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება კოსოვოს პრობლემური საკითხისადმი და ხმამაღლა განაცხადა, რომ საერთაშორისო ზეწოლას არ დაემორჩილება.

ახალი კონსტიტუცია ერთგვარი შემობრუნება შეიძლება გახდეს კოსოვოს სტატუსზე მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესში. შეგახსენებთ, შარშან დაწყებული მოლაპარაკებები მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო. თუმცა, მრავალთვიანი მცდელობის მიუხედავად, გაერო-ს მანდატით აღჭურვილმა შუამავალმა, ფინელმა დიპლომატმა მარტი აჰტისაარმა ვერ შეძლო მხარეთა დარწმუნება და ეს ბუნებრივიცაა - კოსოეველი ალბანელები ხომ სრულ დამოუკიდებლობას ითხოვენ მაშინ, როცა ბელგრადი მხოლოდ ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭებაზეა თანახმა.

კოსოვოს პრობლემა უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ურთიერთობების დილემად იქცა. ერთი მხრივ აშშ, რომელმაც კოსოვოელი ალბანელების საბაბით მასშტაბური სამხედრო ოპერაცია ჩაატარა მილოშევიჩის წინააღმდეგ 1999 წელს, იძულებულია ყველა ღონე იხმაროს თავისი ნაბიჯების გასამართლებლად, მეტნაკლები სტაბილურობა შესძინოს "მფეთქავ" ბალკანეთს. ხოლო მეორეს მხრივ საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც არცთუ უსაფუძვლოდ შიშობს კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭებამ პრეცედენტის ხასიათი არ შეიძინოს და საფუძველი არ გამოაცალოს დღეისთვის არსებულ საერთაშორისო სისტემას, რომელიც საზღვრების ურღვევობასა და სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას ემყარება.

კოსოვოს სტატუსის საკითხი ფრიად აქტუალურია საქართველოში არსებული კონფლიქტების გათვალისწინებითაც. მით უმეტეს, რომ კოსოვოს შემთხვევის პრეცედენტულობაზე არცთუ ორაზროვანი მინიშნებები უკვე არაერთხელ გააკეთა რუსეთმა. პუტინმა რიტორიკული კითხვაც დასვა: თუ კოსოვო მიიღებს დამოუკიდებლობას, რატომ არ უნდა მიეცეთ ასეთი შესაძლებლობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?

სხვათა შორის, ამასწინათ გავლენიანი ამერიკული გამოცემა "უოლ სტრიტ ჯორნალი" კოსოვოს თემაზე გამოქვეყნებულ სტატიაში ხმამაღლა აცხადებდა, რომ პუტინის მისწრაფებები, კოსოვოს შემთხვევა საერთაშორისო პრეცედენტად აქციოს, შესაძლოა, მასვე ცუდად დაუბრუნდეს. "იგივე ლოგიკით გაერო-ში გაწევრიანების კანდიდატი უნდა გახდეს ჩეჩნეთიც - თუმცა კრემლის დღევანდელი რეჟიმის მხრიდან გონების კარნახით ქცევაზე მოლოდინი არ უნდა გვქონდეს," - წერდა "უოლ სტრიტ ჯორნალი".

თუმცა, მხოლოდ ერთი შეხედვით მხოლოდ გაუაზრებელ ქმედებებთან არ უნდა გვქონდეს საქმე. გაუთავებელი საუბარი ამა თუ იმ საერთაშორისო კონფლიქტის პრეცედენტულობაზე, მხოლოდ და მხოლოდ საუბარია და მეტი არაფერი. ჰიპოტეტურადაც რომ დავუშვათ სეპარატისტული რეგიონების მეტ-ნაკლები საერთაშორისო აღიარება, თავად რუსეთისთვისაც წამგებიანი უნდა იყოს ასეთი პრეცედენტის არსებობა.

მსგავსი "საკუთარ თავთან კამათის" მაგალითი იყო გუშინ რუსეთის "დუმის" საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინ კოსაჩევის კომენტარიც სერბეთის რეფერენდუმთან დაკავშირებით. რუსმა პარლამენტარმა აშკარად იჩქარა ამ შემთხვევის პრეცედენტულობაზე საუბრისას. მისი თქმით, სერბეთის თანხმობის გარეშე კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა საკამათო ტერიტორიების მომავლის განსაზღვრისას პრეცედენტი შეიძლება გახდეს. "ეს იქნება ევროპაში უსაფრთხოებისა და თაანმშრომლობის საბჭოს (ეუთო-ს წინამორბედი) 1975 წლის ხელშეკრულებათა უხეში დარღვევა, რომლის თანახმადაც ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა მხოლოდ მხარეთა თანხმობით უნდა მოხდეს," - აღნიშნა კოსაჩევმა. თუმცა, იქვე დაავიწყდა ეთქვა, რომ რუსეთი ასეთივე პრეცედენტად არ მიიჩნევს საქართველოს აშკარა წინააღმდეგობას სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის გამოყოფის თაობაზე.

# საიდუმლო ინსტრუქტაჟი და ღია მოთხოვნები

## სეპარატისტები უსაფრთხოების ზომებს აძლიერებენ

ნათია მსხილაძე

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისთვის მზადაა, თუმცა, კოკოითის განმარტებით, შეხვედრა მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ გაფორმდება მემორანდუმი საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ. **"ჩვენ არ გვჭირდება შეხვედრა მხოლოდ შეხვედრისთვის ანუ ისეთი, რომელსაც სააკაშვილი დასავლეთში, თავისი პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოიყენებს,"** - განაცხადა მოსკოვში, "ინტერფაქსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე კოკოითიმ და იქვე კატეგორიულად გამორიცხა მოლაპარაკების საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარება.

კოკოითის ზემოაღნიშნულ განცხადებამდე, "სამხრეთ ოსეთის ხსნის კავშირმა" სამხრეთ ოსეთის დეფაქტო პრეზიდენტის საიდუმლო ბრძანების ტექსტი გაავრცელა. აღნიშნული ბრძანება საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის მომზადების პერიოდში წესრიგის დაცვის ღონისძიებებს შეეხება. საიდუმლო ბრძანების თანახმად, რომელსაც დეფაქტო პრეზიდენტმა 2006 წლის 25 ოქტომბერს მოაწერა ხელი, კოკოითი ავალებს თავის ხელქვეითებს, ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი სამუშაოები ოსურ მოსახლეობაში. გარდა ამისა, კოკოითი ქვეშევრდომებისგან მოითხოვს, რომ გამოავლინონ პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანები, რათა არ დაუშვან მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარება და ჩაახშონ ქართული ტელე და რადიო გადაცემები.

**"ამგვარი ბრძანება აშკარად მოწმობს, რომ კოკოითის რეჟიმი პანიკაშია და ყველანაირი მეთოდით ცდილობს, თავიდან აიცილოს ოსი ხალხის სამართლიანი რისხვა. ყველა ჭეშმარიტ ოსს მოვუწოდებთ, მონაწილეობა მიიღოს ნამდვილ არჩევნებში და ვაფრთხილებთ კოკოითს, რომ ოსი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების გამოყენება არ გაბედოს,"** - აღნიშნულია კავშირის განცხადებაში.

სწორედ "სამხრეთ ოსეთის ხსნის კავშირის" ინიციატივით შეიქმნა ალტერნატიული ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ალტერნატიულ არჩევნებსა და რეფერენდუმს ჩაატარებს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულმა კომისიამ რეგისტრაციაში უკვე გაატარა პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატი. ესენი არიან: სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დიმიტრი სანაკოევი, ანატოლი დუდაევი, ვალერი ჯერაგოვი და მაია ცაბოშვილი-ჩიგოევა. ამასთან, ცნობილი ხდება, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნება ჯავის, ცხინვალის, ახალგორისა და ზნაურის საარჩევნო ოლქები.

# ერევნიდან მოსკოვში - თბილისზე სასაუბროდ

## ერევანს სურს რუსეთ-საქართველოს შორის შუამავლის ფუნქცია შეასრულოს

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, რობერტ ქოჩარიანის ოფიციალური ვიზიტი რუსეთში გუშინ დაიწყო. რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტებს შორის განსახილველ საკითხთა სფერო მოსკოვისა და ერევანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სომხეთს საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილი მდგომარეობა აღელვებს. ქართული პორტებისა და საჰაერო მიმოსვლის ბლოკადის გამო, სომხეთის ეკონომიკას უკვე შეექმნა პრობლემები. ერევანმა არაერთხელ გამოთქვა სურვილი მოსკოვსა და თბილისს შორის შექმნილი ვითარების განსამუხტავად შუამავლის როლი შეესრულებინა.

"სომხეთი რუსეთის მოკავშირეა და აქედან გამომდინარე, ყველა ინტეგრაციულ პროექტში მონაწილეობს. სულ სხვა საკითხია, რომ თავად ეს პროექტები არასაკმარისად ინტენსიურად ვითარდება. ამასთან ერთად, რუსეთს ჯერჯერობით სამხრეთ კავკასიის განსავითარებელი პროექტი არ გააჩნია. სწორედ ამიტომაც ცდილობენ ამერიკელები ამ რეგიონში თავიანთი გავლენის გაფართოებას. ევროკავშირმა კი მოასწრო და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს "ახლო საზღვარგარეთის ქვეყნები" უწოდა. მართალია, რუსეთმა თავისი პოზიციები ბევრი მიმართულებით გაამყარა - ეკონომიკა, საგარეო პოლიტიკა, მაგრამ დსთ-ის ფარგლებში იგი მაინც ადრე არსებულ დონეზე დარჩა. იმ დონეზე, როგორიც ის ელცინის დროს იყო - სუსტი და პასიური," - ამბობს პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი სერგეი მარკოვი.

რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტები შეხვედრისას გაზის პრობლემატიკას გვერდს ვერ აუვლიან. დღეს რუსული გაზი სომხეთს საქართველოს ტერიტორიის გავლით მიეწოდება, რაც თავისთავად ამ მარშრუტის არასაიმედოობაზე მეტყველებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ დეკემბრის ბოლოს გაზსადენი ირანი-სომხეთი ამოქმედდება, ამის შესახებ სომხეთის პრემიერმა ანდრანიკ მარგარიანმა გააკეთა განცხადება.

ამ გაზსადენის ამოქმედებას არა მხოლოდ სომხეთისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მასში სწორედ იმდენი ბუნებრივი აირი გაივლის, რამდენიც სომხეთისთვის იქნება აუცილებელი - ანუ 1,1 მილიარდი კუბური მეტრი წელიწადში. აღსანიშნავია, რომ გაზის სწორედ ამ რაოდენობას იღებს დღეს სომხეთი რუსეთიდან. ცხადია, რომ თეირანსაც და ერევანსაც აქვს ცდუნება, ეს გაზსადენი ტრანზიტულად აქციოს. ასეთ შემთხვევაში ირანული გაზი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის გვერდის ავლით საქართველოსა და ევროპაზე გაივლიდა. რა თქმა უნდა, მოსკოვმა დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ ამგვარი პერსპექტივის წინააღმდეგია.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად გაირკვა, რომ ამ გაზსადენის გარკვეული ნაწილი "გაზპრომს" ეკუთვნოდა, რომლიც ამის გარეშეც აკონტროლებს სომხეთის მთელ გაზსატრანსპორტო სტრუქტურას. ამ შემთხვევაში კი ამ გაზსადენის ტრანზიტულად ქცევა რეალური ხდება. სწორედ ამიტომაც, შემთხვევით როდი გაჩნდა ინფორმაცია ირანული გაზის მოწოდების 3-ჯერ გაზრდის თაობაზე.

ამგვარი რაოდენობის გაზი სომხეთს უბრალოდ არ სჭირდება. გაზსადენის "გაზპრომის" მიერ კონტროლი კი საქართველოსა და რუსეთის შექმნილ ურთიერთობებში რუსეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მოსკოვს ხომ საქართველოსთვის გაზის გადაკეტვა ისე შეეძლება, რომ თავისი სტრატეგიული მოკავშირე არ დააზარალოს, მით უფრო, რომ რამდენიმე თვეში ეს სომხეთზე ასახვას აღარ პოვებს. ამას გარდა, თუკი დღეს საქართველოში ტრანზიტის მოქმედება შეჩერდება, სომხეთში არის ბუნებრივი აირის მარაგი, რომელიც ირანიდან გაზის მიწოდებამდე სომხეთს ნამდვილად ეყოფა.

ცხადია, გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან გადაჯაჭვული გაზის პრობლემა რუსულ-სომხური სამიტის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი იქნება. ისიც ცხადია: ერევანი დაინტერესებულია, რუსეთის რეალური პოზიცია გაიგოს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის აღიარებასთან დაკავშირებით. სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, გადაწყვეტს თუ არა ოფიციალური ერევანი მთიანი ყარაბაღის აღიარების საკითხს.

რა თქმა უნდა, ყველა ეს თემა დახურულ რეჟიმში განიხილება. ქოჩარიანის ვიზიტის ოფიციალური ნაწილი კი მოსკოვში კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის ძეგლის გახსნა და ორი პრეზიდენტის რუსეთში სომხეთის დღეების დასკვნით ღონისძიებებზე დასწრება იქნება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# გზა უნივერსიტეტის ავტონომიისკენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინ წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები ჩატარდა. ხმის მიცემა ბიულეტენებით, ფარული კანჭისყრით 10.00 საათიდან დაიწყო. უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭო 33 წევრისგან შემდგება. მას აკადემიურ საბჭოსთან ერთად, მართვის ორგანოს ფუნქცია ექნება. ასარჩევი 33 წევრიდან ერთ მესამედს სტუდენტები შეადგენდნენ, ერთი ბიბლიოთეკის წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ. საბჭოში თანაბრად არის წარმოდგენილი ყველა ფაკულტეტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის წესდებას, ბიუჯეტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებს ამტკიცებს.

წარმომადგენლობით საბჭოს 33 წევრიდან 12 სტუდენტი და 20 ლექტორი და ერთი ბიბლიოთეკის თანამშრომელია. არჩევნები მშვიდ გარემოში მანამდე მიდიოდა, ვიდრე მათზე პოლიტიკური პარტიების აქტივობა გაიზრდებოდა. ნაცმოძრაობის მხარდამჭერმა სტუდენტებმა დღის მეორე ნახევარში განაცხადეს, რომ რესპუბლიკური პარტიის წევრები ზეწოლას ახდენდნენ ამომრჩეველზე და არჩევნების მიმდინარეობისას ეწეოდნენ საარჩევნო პროპაგანდას, რაც კანონით დაუშვებელია. უკვე დღის მეორე ნახევარში სტუდენტებიდან წარმომადგენლობით საბჭოს ერთ-ერთმა კანდიდატმა განაცხადა, რომ მის ამომრჩეველზე ხდებოდა ზეწოლა და ნაცმოძრაობის წევრები ემუქრებოდნენ მათ, რომ თუ ხმას ამ კანდიდატს მისცემდნენ, ცხოვრებას გაიფუჭებდნენ. არჩევნების საბოლოო შედეგები ცნობილი ხვალ გახდება.

*24 საათი*

# სამხრეთ ოსეთი ახალი რეფერენდუმისათვის ემზადება

*ზოგიერთი ოსი პოლიტიკოსის აზრით, კიდევ ერთი რეფერენდუმის გამართვა აუცილებელი არ არის.*

ირინა ქელეხსაევა, ცხინვალი

„გსურთ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი შეინარჩუნოს და საერთაშორისო თანამეგობრობის აღიარება მოიპოვოს?“ – ეს არის კითხვა, რომელსაც არაღიარეული რესპუბლიკის მოსახლეობამ 12 ნოემბერს დანიშნულ რეფერენდუმზე უნდა უპასუხოს.

1990 წელს საქართველოსგან ფაქტობრივი გამოყოფის შემდეგ ამგვარი პლებისციტი რესპუბლიკაში მეორედ იმართება. პირველი რეფერენდუმი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ არ სცნო, 1992 წლის იანვარში გაიმართა. მაშინ მონაწილეთა 98 პროცენტმა დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

ამომრჩევლებმა 12 ნოემბერს რესპუბლიკის პრეზიდენტიც უნდა აირჩიონ, მაგრამ სამხრეთ ოსეთს კენჭისყრის დღისათვის მზადება ერთი შეხედვით არაფერზე ეტყობა.

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის ქუჩებში იშვიათად თუ შეხვდებით პლაკატებს, რომლებიც მოსახლეობას რეფერენდუმში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს, ან სარეკლამო ფურცლებსა და პროკლამაციებს პრეზიდენტობის კანდიდატების ქება-დიდებით.

დიდი აქტიურობა მხოლოდ საპასპორტო მაგიდებთან შეიმჩნევა. 15 აგვისტოდან ადგილობრივ მცხოვრებლებს სამხრეთ ოსეთის პასპორტების მიღების საშუალება მიეცათ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ამ პასპორტების მფლობელებს ექნებათ.

ამის გამო, სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს გრძელ რიგებში უხდებათ დგომა, რომ თავიანთივე რესპუბლიკის მოქალაქეები გახდნენ, თუმცა მათ უმრავლესობას რუსული პასპორტები დიდი ხანია, აქვს. ოფიციალური ცნობით, უკვე 40 ათასი ახალი პასპორტია გაცემული.

ეს ახალი წესები არ ეხება სამხრეთ ოსეთის რამდენიმე ქართულ სოფელს – კეხვს, თამარაშენს, ქურთასა და აჩაბეთს. ამ სოფლების მოსახლეობას საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა არ სურს.

საერთაშორისო თანამეგობრობისაგან რეფერენდუმის შედეგების ცნობას სამხრეთ ოსეთში არავინ ელის. თუმცა, იმის საჯაროდ განცხადება, რომ სამხრეთ ოსეთს სურს, საქართველოსაგან განცალკევებით არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, მაინც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა მიშა სანაკოევმა ახალი პასპორტი უკვე მიიღო. „ახლა უკვე ვგრძნობ, რომ სამხრეთ ოსეთის მოქალაქე ვარ, აქედან გამომდინარე ყველა უფლებითა და მოვალეობით. დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვლება. რეფერენდუმი აუცილებლად უნდა გაიმართოს, ხალხს აზრის გამოთქმის საშუალება უნდა მიეცეს“, – ამბობს მიშა.

ამ მოსაზრებას 26 წლის მაია გიგოლაევაც ეთანხმება. „პასპორტების მიღება და რეფერენდუმის გამართვა ჩვენს სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეებს წინსვლის საშუალებას აძლევს. ბოლო წლების განმავლობაში აქ ბევრი რამ შეიცვალა. ახალი რეფერენდუმი ამიტომაც გვჭირდება“, – ამბობს მაია.

რეფერენდუმის შედეგები ყველასათვის წინასწარაა ცნობილი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს დამოუკიდებლობას დაუჭერს. ეჭვს არ იწვევს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგიც.

ამჟამად პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატია დარეგისტრირებული, თუმცა გამარჯვების შანსი მხოლოდ ერთს, რესპუბლიკის ამჟამინდელ ლიდერს ედუარდ კოკოითის აქვს.

დანარჩენი კანდიდატები არიან დროებით უმუშევარი ოლეგ გაბოძე, ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციის მეთაური ინალ ფუხაევი და ლეონიდ თიბილოვი, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი შერეულ საკონტროლო კომისიაში, რომელიც თბილისთან მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებს უწევს კოორდინირებას.

„სამწუხაროა, რომ კოკოითის რეალური ოპონენტები არ ჰყავს. ჩემი აზრით, ასეთი ხალხი აქ მოიძებნებოდა. სხვა კანდიდატები მის კონკურენტებად არ გამოდგებიან, რადგან ყველანი მისი გუნდის წევრები არიან“, – განუცხადა IWPR-ს ადგილობრივმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

მის მოსაზრებას არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი აქტივისტიც ეთანხმება. „12 ნოემბერი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კოკოითის მეორე ინაუგურაციის თარიღი“, – ამბობს იგი.

სამხრეთ ოსეთის ზოგ პოლიტიკოსს ახალი რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა კოკოითის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად მიაჩნია. ისინი ამბობენ, რომ კოკოითი პოპულარობის მოპოვებასა და საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდას ცდილობს.

სამხრეთ ოსეთის სახალხო პარტიის ლიდერი როლანდ ქელეხსაევი ამტკიცებს, რომ ხალხის ნების ჭეშმარიტ გამოხატულებად მხოლოდ 1992 წლის რეფერენდუმი შეიძლება მივიჩნიოთ.

„რეფერენდუმის გამართვის ეს მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა ამჟამინდელი მთავრობის პროპაგანდისტული ნაბიჯი“, – თქვა მან და დასძინა, რომ ამის შემდეგ პირველი რეფერენდუმი უკანონოდ შეიძლება იქნას მიჩნეული.

„ეს რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის ხალხს დააზარალებს, რადგან ის 1992 წლის რეფერენდუმის შედეგებს ეჭვქვეშ დააყენებს“, – აღნიშნა ქელეხსაევმა.

თვითონ კოკოითიმ რეფერენდუმს „ახალგაზრდა თაობისათვის საკუთარი ნების გამოხატვის უნიკალური ისტორიული შანსი“ უწოდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დაგეგმილი რეფერენდუმი „უკანონოა და სამშვიდობო პროცესის წინააღმდეგაა მიმართული“. სამინისტრომ „რუსეთის მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწეების მიერ რეფერენდუმის ღია მხარდაჭერის“ გამოც გამოთქვა წუხილი.

რუსეთის პარლამენტის რამდენიმე წევრმა პლებისციტზე მეთვალყურის სტატუსით დასწრების მზადყოფნა უკვე გამოთქვა. „ამ რეფერენდუმის გამართვისაკენ სამხრეთ ოსეთის ხალხს თბილისის პოლიტიკა უბიძგებს. ეს მათი უფლებაა და, თუ ამის სურვილი აქვთ, ჩაატარებენ კიდეც“, – აღნიშნა რუსეთის დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველოს რეფერენდუმი არ უნდა აშინებდეს. „თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ნაწილია. ამ უფლების განხორციელება სწორედ ხალხის ნების გამოხატვის გზით ხდება. რუსეთს ჩეჩნეთში რეფერენდუმის საკითხის წამოწევის არ შეშინებია და ის შედგა კიდეც“, – თქვა მან.

რუსეთის შემადგენლობაში ჩეჩნეთის ყოფნა-არყოფნის თაობაზე 2003 გამართული რეფერენდუმი პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც ახსენა. ამ რეფერენდუმის დროს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხარი ჩეჩნეთის რუსეთის ნაწილად დარჩენას დაუჭირა, თუმცა კენჭისყრის პროცესს საერთაშორისო მეთვალყურეები არ დასწრებიან.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები რეფერენდუმის კანონიერებას არ ცნობენ. ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა სექტემბერში თბილისში ყოფნისას განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის გამართვა კონტრპროდუქტიულია“.

„მის შედეგებს არც საერთაშორისო თანამეგობრობა ცნობს და არც საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძოდ კი ეუთო“, – თქვა მან.

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა რეფერენდუმს დროის ფუჭად ხარჯვა უწოდა. „არა მგონია, მისი შედეგები ვინმემ ცნოს“, – თქვა მან.

„ჩვენ რეფერენდუმს არც ეუთოსათვის ვმართავთ და არც ევროპის საბჭოსათვის. ხალხის ნება საჩუქარი არ არის. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ უზარმაზარი ფასი გადაიხადა იმისათვის, რომ თავისი მომავალი ჰქონოდა“, – თქვა ზემოხსენებული განცხადებების საპასუხოდ სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრმა იური მოროზოვმა.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანის თხილის ბიზნესს კრიზისი ემუქრება

*გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანიდან შესაძლოა თხილის ექსპორტი აიკრძალოს, მეწარმეებს პრობლემებს უქმნის.*

ქემალ ალი, ილისუ-ბაქო

აზერბაიჯანში გამუდმებით ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ ევროკომისია კანცეროგენული აფლატოქსინებით დაბინძურების გამო თხილისა და ნიგვზის იმპორტს ზღუდავს. თუმცა, ჯერჯერობით, ბრიუსელს ტოტალური აკრძალვა არ დაუწესებია. ამასთან, როგორც ჩანს, ექსპორტის შეფერხებაში ბრალი სხვა ძალებსაც მიუძღვით და ყოველივე ეს თხილის ბიზნესით დაკავებულ მეწარმეებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

ივლისში ევროპის კავშირმა 1 ოქტომბრიდან აფლატოქსინების მაღალი შემცველობის გამო თურქეთიდან თხილისა და ნიგვზის იმპორტის შეზღუდვა გადაწყვიტა. ამას მოჰყვა დეზინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ევროპის კავშირმა აზერბაიჯანიდან ნიგვზისა და თხილის იმპორტი სრულად აკრძალა. აზერბაიჯანი თავის პროდუქციას ძირითადად თურქეთში ჰყიდის.

„ცნობები ევროპის ქვეყნების მიერ აზერბაიჯანული წარმოშობის ნიგვზისა და თხილის იმპორტზე აკრძალვის დაწესების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი დოკუმენტი რომ არსებობდეს, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ოფიციალურ შეტყობინებას მიიღებდა“, – განუცხადა IWPR-ს აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეული პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საბირ ველიევმა.

ველიევი ამტკიცებს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თხილის ექსპორტი არასოდეს შეწყვეტილა. „თურქული კომპანიები ამჟამად თხილისა და ნიგვზის გადამუშავებას ზაქათალაში, კახსა და ბაქოში აწარმოებენ, შემდეგ კი პროდუქციას საექსპორტოდ გაიტანენ“, – განაცხადა მან.

ევროკომისიის ჯანმრთელობისა და მომხმარებლების დაცვის გენერალური სამმართველოს წარმომადგენელმა ფრანს ვერსტრეტემ ველიევის ნათქვამი IWPR-ს ელექტრონული ფოსტით დაუდასტურა. „აფლატოქსინების შემცველობის გამო ევროკავშირის მიერ დაწესებული შეზღუდვები აზერბაიჯანს არ შეხებია, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობას აფლატოქსინების შემცველობის თაობაზე მისი პროდუქციაც მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს“, – აღნიშნული იყო ვერსტრეტეს წერილში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანული თხილი და ნიგოზი ტოქსინების შემცველობაზე მოწმდება, მაგრამ არ აუკრძალავთ.

ზემოთქმულის მიუხედავად, აზერბაიჯანულ თხილსა და ნიგოზში ტოქსინები მაინც აღმოჩნდა. ჯანდაცვის სამინისტროს საკარანტინო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯაფარ ახმედოვმა IWPR-ს აცნობა, რომ აზერბაიჯანის გუსარის რაიონიდან რუსეთში ექსპორტირებული პროდუქცია აფლატოქსინებს ნამდვილად შეიცავდა, იტალიიდან კი 30 ტონა აზერბაიჯანული თხილი დააბრუნეს.

„მხოლოდ კონკრეტული პარტიების ექსპორტი აიკრძალა“, – ამტკიცებს ახმედოვი და აღნიშნავს, რომ „ბოლო წლების განმავლობაში აფლატოქსინებსა და სხვა ტოქსინებს მეტი ყურადღება ექცევა. ეს შხამი მაშინ გამოიყოფა, როცა შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები სათანადოდ დაცული არ არის“.

აფლატოქსინები საკვებ პროდუქტებზე, განსაკუთრებით კი თბილ და ნესტიან პირობებში მოყვანილ თხილსა და თხილის პროდუქციაში გაჩენილ სოკოვან კულტურებში წარმოიშობა.

შეზღუდვები სრული რომც არ იყოს, აზერბაიჯანის მთიან რეგიონებში მცხოვრებ ფერმერებს პრობლემები მაინც ექმნებათ. ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე გუბა-ხაჩმაზისა და ჩრდილო-დასავლეთში შექი-ბელოქანის რეგიონების ეკონომიკა თხილისა და ნიგვზის ექსპორტზე დიდადაა დამოკიდებული. თხილისა და ნიგვზის გადარჩევა-გადამუშავებით ასობით მეწარმეა დაკავებული. ამ სფეროში ათობით ათასი ადამიანია დასაქმებული.

ახალგაზრდა ფერმერი ილჰამ ისაევი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე სოფელ ილისუში ცხოვრობს. ილჰამი, რომელიც თხილისა და ნიგვზის შენახვა-გაყიდვის შემოსავლიან ბიზნესში წელს ჩაერთო, აზერბაიჯანიდან თხილის ექსპორტის აკრძალვის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა დიდად დააზარალა. ისაევმა IWPR-ს განუცხადა, რომ საბითუმო ფირმები წელს ერთ კილოგრამ ნაჭუჭგაუცლელ თხილში ერთ დოლარზე ნაკლებს იხდიან, გასულ წელს კი ფასი თითქმის სამი დოლარი იყო.

უწინ ფერმერს 30 ტონა თხილის ან ნიგვზის ფასად სახლის ან ძვირადღირებული მანქანის ყიდვა შეეძლო, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. ისაევის თქმით, ფასების ვარდნამ განსაკუთრებით მცირე საბითუმო მოვაჭრეები დააზარალა და გაკოტრების ზღვრამდეც კი მიიყვანა.

რეგიონებში ბევრი დარწმუნებულია, რომ ცნობები მოწამლული თხილისა და ნიგვზის შესახებ ზოგიერთი იმ გავლენიანი ბაქოელის მოგონილია, რომელიც აზერბაიჯანის ეკონომიკის დიდ ნაწილს აკონტროლებს. შესაძლოა, საბითუმო ფასების ვარდნა მათ ხელს აძლევდეთ.

ფერმერები იხსენებენ, როგორც გაჩნდა ამა წლის გაზაფხულზე კახის რაიონში თხილისა და ნიგვზის შემცველი საკონდიტრო ნაწარმოს სარეკლამო ბილბორდები. „თუ თხილი აიკრძალა, ეს ბილბორდები რაღა საჭიროა?“ – სიცილით იკითხა ერთმა ფერმერმა. „მთელი სიცოცხლეა, თხილს ვჭამთ და არასდროს დავავადებულვართ. შეიძლება იმიტომ, რომ არ ვიცოდით,



მოწამლული თუ იყო“, – ელიმება მეორეს.

თხილისა და ნიგვზის ბიზნესში მომუშავეები აცხადებენ, რომ პრობლემა არც ისე სერიოზულია. ისინი გასატარებელ ზომებზეც ლაპარაკობენ.

„აზერბაიჯანული თხილისა და ნიგვზის ექსპორტისას პრობლემები ხშირად ხელოვნურად იქმნება. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გარკვეულ ზომებს უკვე იღებს. ჩვენი პროდუქციის ექსპორტის ხელოვნური შეფერხების თავიდან ასაცილებლად ევროპის კავშირთან მოლაპარაკებას უკვე ვაწარმოებთ“, – განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ჰეიდარ ბაბაევმა.

აზერბაიჯანის მომხმარებელთა დამოუკიდებელი ასოციაციის თავმჯდომარის ეიუბ ჰუსეინოვის თქმით, მას უნახავს, თუ რამდენად არაჰიგიენურ პირობებში ინახებოდა თხილი გუბას რაიონში. პრობლემის ფესვებს იგი სწორედ აქ ხედავს.

„მინახავს, როგორ იზრდება ხეხილი ცუდ ეკოლოგიურ პირობებში. ვშიშობ, რომ ევროპელების მიერ დაწუნებული მოწამლული პროდუქცია აზერბაიჯანში გაიყიდა, რადგან ჩვენში საკვები პროდუქტების ვარგისიანობას არავინ ამოწმებს. ჩვენ დაწუნებული პროდუქციის განადგურებას მოვითხოვთ“, – თქვა ჰუსეინოვმა.

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ აზერბაიჯანული თხილისა და ნიგვზის გარშემო ატეხილი ხმაური მხოლოდ ჯანდაცვის პრობლემებს არ უკავშირდება.

სოფლის მეურნეობის მაღალი რანგის წარმომადგენელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, დაადასტურა, რომ პროდუქციის ამა თუ იმ პარტიაში შენახვის პირობების დარღვევის გამო ტოქსინები დროდადრო მართლაც აღმოჩნდება ხოლმე. მან განმარტა, რომ ძირითადი „მოთამაშეები“ ბაზარზე ყოველივე ამის შედეგად წარმოშობილ გაურკვევლობას სათავისოდ იყენებენ და პროდუქცია ჩალის ფასად შეძენის მიზნით საბითუმო ფასებს დაბლა სწევენ.

www.iwpr.net

# დაღესტნელი ჯარისკაცების მძიმე გამოცდა

*ახალგაზრდა დაღესტნელი მამაკაცების შემზარავი ყოფა რუსულ ჯარში.*

საფიატ მაგომედოვა, მახაჭყალა

გასულ თვეში 20 წლის ჯარისკაცმა, რომელიც რუსეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ ვოლგოდონსკიდან იყო და დაღესტანში მსახურობდა, თავი მოიკლა. თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ჯარისკაცმა სამხედრო ნაწილი დატოვა. იგი დანარჩენი ჯარისკაცებისგან შევიწროებასა და ძალადობას უჩიოდა.

ადგილობრივთა მსგავსად, რუსლან მახიანოვი კავკასიური წარმოშობის იყო. თუმცა, ეს ფაქტი მას დიდად არ დახმარებია. ჯარისკაცის მშობლების განცხადებით, მათი ვაჟი სხვა კავკასიელმა ჯარისკაცებმა სცემეს.

რუსეთის ჯარში მომსახურე დაღესტნელი ჯარისკაცები ხშირად სისტემატიური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან. თუმცა ტრადიციების მიმართ ძლიერი პატივისცემის კულტურისა და ასევე რუსეთის სხვა მოქალაქეების მხრიდან გამოვლენილი რასიზმის ფონზე, ახალგაზრდა დაღესტნელი მამაკაცები სამხედრო სამსახურის დროს ჩხუბსა და დაპირისპირებაში თავადაც ხშირად ერთვებიან.

„ჯარში გაწვეული დაღესტნელი ჯარისკაცების 80 პროცენტს სამხედრო სამსახურის დროს პრობლემები ექმნება“, – განაცხადა დაღესტნელი ჯარისკაცების დედათა კომიტეტის თავმჯდომარემ ხური პირსაიდოვამ.

წელს ამ პრობლემის ერთ-ერთი მსხვერპლი დაღესტნელი ჯარისკაცი მალიკ ჰაჯიბაბაევი გახდა. მას თავს თავისივე თანამემამულეები ესხმოდნენ. ჰაჯიბაბაევმა მშობლებს მისწერა წერილი, რომელშიც რუსეთის შორი აღმოსავლეთიდან სხვა სამხედრო ნაწილში გადაყვანის უფლების მოპოვებას სთხოვდა. მაგრამ სამხედრო პროკურატურის ჩარევისა და სხვა სამხედრო ნაწილში გადაყვანის შესახებ ბრძანების გაცემის მიუხედავად, ახალგაზრდა ჯარისკაცი ადგილზე დატოვეს.

„სხვა ჯარისკაცებს მალიკის შურდათ, რადგან იგი საავადმყოფოში მუშაობდა. ჰაჯიბაბაევი ექვსმა კაცმა სცემა, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა და ნაწილის მეთაურს ტელეფონის საშუალებით დახმარება სთხოვა. თუმცა მეთაურმა მალიკის „აზრზე მოყვანა“ მის თანამემამულეებს მიანდო“, – გვითხრა მალიკის დამ.

„16 მაისს ღრმა კომაში მყოფი მალიკი ტვინის შერყევითა და დაზიანებული ნეკნებით ამურის რეგიონულ სამხედრო საავადმყოფოში მიიყვანეს. იგი 28 მაისს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა“, – დასძინა მან.

რუსეთის ჯარში დამკვიდრებული „არასაწესდებო ურთიერთობა“ – დაშინებისა და ჩაგვრის პრაქტიკა, რასაც რუსულად „დედოვშინას“ უწოდებენ, დიდი ხანია, არსებობს. მიმდინარე წლის დასაწყისში, როცა ერთ-ერთ ჯარისკაცს, ანდრეი სუჩევს მასზე განხორციელებული ძალადობის შედეგად ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა, თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს აღნიშნულ პრობლემასთან უფრო ეფექტურად ბრძოლა მოსთხოვეს.

ივანოვის განცხადებით, მდგომარეობა უმჯობესდება და „დედოვშინას“ ფაქტები სულ უფრო მცირდება.

თუმცა, ხური პირსაიდოვა უკიდურესად შემაშფოთებელ მონაცემებზე საუბრობს.

„2005 წელს 21 დაღესტნელი ჯარისკაცი გარდაიცვალა. სისხლის სამართლის საქმე 296 ჯარისკაცის წინააღმდეგ აღიძრა და აქედან 80 მათგანი სხვადასხვა სახის დანაშაულში დამნაშავედ სცნეს. დაღესტნელი ჯარისკაცების დედათა კომიტეტში საჩივარი 500-ზე მეტმა ჯარისკაცმა შეიტანა. საქმეთა ნახევარი ჯარში „არასაწესდებო ურთიერთობას“ შეეხებოდა.

პირსაიდოვას განცხადებით, იმ ჯარისკაცების რიცხვი, რომლებიც სამხედრო ნაწილებიდან გარბიან, იზრდება. მიმდინარე წლის პირველი რვა თვის განმავლობაში ოფიციალურად გაქცევის 52 შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა ეს მონაცემი სინამდვილეში მომხდარ შემთხვევათა რიცხვის მხოლოდ მცირე ნაწილია.

„ყოველთვის როცა ოფიცრები თვრებოდნენ, რეზინის ხელკეტებითა და ნიჩბის ტარებით გვცემდნენ და მაიმუნებს გვეძახდნენ. დაღესტნიდან ექვსნი ვიყავით. ღამით აგვაყენეს და გვცემეს. ნაწილის მეთაურთან, პოლკოვნიკ ტიშჩენკოსთან წავედით და საჩივარი დავწერეთ. მან ჩვენი ნაწილის ჯარისკაცების მიერ დაწერილი 15 განცხადება გვაჩვენა, რომელშიც აცხადებდნენ, რომ ჩვენ მათ ვჩაგრავდით, მაგრამ ეს მართალი არ არის“, – წერს შინ გამოგზავნილ წერილში ერთ-ერთი ჯარისკაცი, რომელმაც სამხედრო ნაწილი სხვა დაღესტნელ ჯარისკაცებთან ერთად დატოვა.

დაღესტანში რუსული ჯარის ოფიცრებმა ცალკეული საქმეების შესახებ IWPR-თან კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.

„ჯარში ძალადობის შემთხვევებში, დაღესტნელი ბიჭები უფრო ხშირად არა მსხვერპლები, არამედ თავდამსხმელები არიან. ჩვენი ბიჭები სულიერად ძლიერები არიან და ერთმანეთს იცავენ. მაგრამ მეთაურებს სჯერათ, რომ ჯარში დაღესტნელების მიერ წესის დარღვევა მათ ეთნიკურ წარმოშობას უკავშირდება“, – განაცხადა ჯარისკაცთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის სამხედრო დეპარტამენტის უფროსმა აბაკარ დავუდოვმა.

ადამიანის უფლებების დამცველები აცხადებენ, რომ ჯარში დამკვიდრებული „არასაწესდებო ურთიერთობა“ მაღალი ეშელონების მიერ ნებადართულია.

„როცა ჯარისკაცები მეთაურებს ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ ეუბნებიან, მათ ტყუილში ადანაშაულებენ. ამ წლის აპრილში, ერთ-ერთი ასეთი „მატყუარა“ ვისირფაშა ამინოვი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ამინოვი საავადმყოფოში მხოლოდ მაშინ გადაიყვანეს, როცა გონება დაკარგა, მაგრამ მისი სიცოცხლის გადარჩენა აღარ მოხერხდა. როცა ჯარისკაცების მშობლები შვილების მოსანახულებლად ჩადიან, მათთვის ბიჭების მონახულებაზე უარის სათქმელად მეთაურებს ნებისმიერი მიზეზის დასახელება შეუძლიათ. ყველაფერი მეთაურზეა დამოკიდებული. იგი ჯარისკაცის ბატონივითაა – მას ისე მოექცევა, როგორც უნდა“, – განაცხადა პირსაიდოვამ.

პუტინის მხარდამჭერი ახალგაზრდული მოძრაობის „ნაშის“ დაღესტნის ფილიალის ხელმძღვანელი შიჰსაიდ დავიდხანოვი პირსაიდოვას ეთანხმება.

„მთავარი პრობლემა მეთაურების პოზიციაა, რომლებსაც „შავების“ მიმართ ზიზღი ამოძრავებთ. ახლა ყველაზე დიდი პრობლემა არა იმდენად ჯარისკაცების მიერ ერთმანეთის ჩაგვრა, არამედ ოფიცრების უკანონო საქციელია. ისინი ახალგაზრდა მამაკაცებს შორის კონფლიქტს იწვევენ, პატარა კლანებს ქმნიან, ზოგიერთს იცავენ, ზოგს კი, განსაკუთრებით კავკასიელებს, მიზანმიმართულად ანადგურებენ“, – განაცხადა დავიდხანოვმა.

თუმცა, ხური პირსაიდოვას განცხადებით, იგი წერილებს არა მარტო ჯარისკაცებისა და მათი მშობლებისგან, არამედ სამხედრო ოფიცრებისგანაც იღებს.

ახლახან მიღებული ერთ-ერთი წერილის მიხედვით, ციმბირში, კრასნოიარსკში განთავსებული სამხედრო ნაწილიდან ერთ-ერთმა პოლკოვნიკმა დაღესტნის ქალაქ ბუინაკსში სამხედრო კომისარს ამ ქალაქის მკვიდრი ჯარისკაცის საქციელთან დაკავშირებით წერილი მისწერა.

წერილში ნათქვამია, რომ ჯარისკაცი გაშმაგდა, სკამი ფანჯრიდან გადააგდო და ოფიცრებს შეურაცხყოფა მიაყენა. წინა ჯერზე კი „იგი საყვედურებობდა, რომ ჯარში გაიწვიეს და ფორმის ჩაცმა მოსთხოვეს, ამიტომ ტანსაცმელი სპეციალურად გაიხადა და ნაწილის ტერიტორიაზე საცვლების ამარა დარბოდა“.

„ბიჭებს, რომლებსაც ჯარში იწვევენ, ყოველთვის ვაფრთხილებ, რით შეიძლება დასრულდეს ასეთი საქციელი. ისინი თავს იცავენ და ამბობენ, ჩვენ დაღესტნელი კაცები ვართ და იატაკი არ უნდა ვწმინდოთო. ასეთმა ყოველდღიურმა საკითხებმაც კი ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს. მაინც სადაა ნათქვამი ყურანში, რომ იატაკი არ უნდა წმინდო?“ – განაცხადა პირსაიდოვამ.

დაღესტნის სულიერმა წინამძღვარმა, ახმად-ჰაჯი აბდულაევმა ადგილობრივი გაზეთის საშუალებით ამ საკითხში ჩარევა სცადა.

„ყველა მუსლიმან ჯარისკაცს მოვუწოდებ, კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა. ყურანში არაფერია ნათქვამია იმის შესახებ, რომ სახლის საქმის კეთება მამაკაცისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელია. ჯარში გაწვევა უკვე დაიწყო და მოლები გააფრთხილე, წვევამდელებს შესაბამისი მითითებები მისცენ, რათა მათ თავიანთ სამხედრო ნაწილებში პრობლემები არ შექმნან“, – წერს ახმად-ჰაჯი აბდულაევი.

ბევრი მშობელი ცდილობს, ვაჟებს სამხედრო სამსახური თავიდან აარიდოს. ყიზლარის მკვიდრმა, უბაიდატ მაგომაევამ განაცხადა, რომ თავისი უმცროსი ვაჟისთვის სამხედრო სამსახურის გასავლელად უნივერსიტეტში ადგილი იპოვა. უფროსი ვაჟისთვის კი ყალბი სამედიცინო ცნობა გააკეთა, სადაც აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა მამაკაცი ჯარისთვის გამოუსადეგარია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობას ექვემდებარება.

„როცა იგი ამ საშინელ ადგილას მოვინახულე, მითხრა, „არ იდარდო, ეს ბიჭები ნორმალურები არიან, უბრალოდ ჩემსავით ჯარს ემალებიანო“, – გვითხრა მაგომაევამ.

თუმცა ეს ისტორიაც ტრაგიკულად დასრულდა. ახალგაზრდა მამაკაცი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც ფსიქიკურად დაავადებული პაციენტი დანით თავს დაესხა და არტერია გადაუჭრა.

www.iwpr.net

# ვანგრევთ კედლებს

## "პინკ ფლოიდის" მუსიკა "თითების თეატრში"

ია ვეკუა

ბევრი, მათ შორის დადგმის ავტორიც, ამბობს, რომ ეს სპექტაკლი სიყვარულსა და სიკეთეზე და მათ შორის არსებულ ბარიერებზეა. მე კი ვიტყოდი, ეს, პირველ რიგში, არაჩვეულებრივი სპექტაკლია, რომლის 45-წუთიანი ქრონომეტრაჟი ნებისმიერ მაყურებელს აძლევს საკუთარი დასკვნების გამოტანის შანსს. ამის გაკეთება კი "თითების თეატრის" დარბაზში ორმაგად შედეგობრივია - მომცრო სივრცე თქვენს აზრებს ადვილად იგროვებს, არსად უშვებს და ყველაზე მისაღებ ვარიანტს არყის სახდელი ქვაბის ეფექტით გამოგწოვთ.



ზოგისთვის "თითების თეატრის" ბოლო ნამუშევარი "კედელი" მხოლოდ "პინკ ფლოიდის" მუსიკის ვიზუალური დანამატი იქნება, ზოგისთვის უკვე კარგად ნაცნობი კინოისტორიის ხელახალი გადამღერება. უფრო დაკვირვებულები კი აუცილებლად შეამჩნევენ, რომ რეჟისორმა ბესო კუპრეიშვილმა თავისი ისტორია დადგა.

"პინკ ფლოიდის" მუსიკისა და ალან პარკერის ფილმის შექმნის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ ნაწარმოებებს იდეოლოგიური და შინაარსობრივი კალაპოტი შეეცვალათ და ახალ საუკუნეში სრულიად სხვა ჟღერადობითა და შინაარსით დაბრუნებულიყვნენ. თუ "ფლოიდების" პინკი საზოგადოებისგან განდევნისა და გარიყულობის პრობლემის წინაშე იდგა, კუპრეიშვილთან მთავარი საწყისი სიყვარულია. "სპექტაკლი სიყვარულზე და სიკეთეზეა", - გვაუწყებს დადგმის მოსაწვევზე განთავსებული წარწერა და ეს ალბათ დღეისთვის საუკეთესო ანოტაციაა.

ბესო კუპრეიშვილის "კედელი" პარალონისგანაა აგებული. ეს, ერთი შეხედვით, სასცენო დეკორაციის საკითხის მარტივად გადაჭრის ხერხია, თუმცა მეორე მხრივ ეს მასალა საკუთარ თავში სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებს - პარალონი ანუ ღრუბელი, უფრო სწორად კი მისი აგურებად დაჭრილი ნაწილები სპექტაკლის დაწყებისთანავე იწყებენ დარბაზში შეკრებილი მაყურებლისგან ინფორმაციისა და განწყობის შეწოვას. ჩვენების დამთავრების შემდეგ კი იმავე ენერგიას, ოღონდ გაფილტრულსა და გამოხდილს, უკანვე უბრუნებს. ეს კი სწორედ მაშინ ხდება, როდესაც სპექტაკლის განმავლობაში სამჯერ აშენებული და სამჯერვე განგრეული კედელი საბოლოოდ ნადგურდება და მისი წიაღიდან ჩვენი დროის გმირები, პერსონაჟები იწყებენ გადმოსვლას - როგორც დანგრეული კედლის მიერ ნაშობი ახალი ცხოვრების სიმბოლო. მაყურებელი ნელ-ნელა განტვირთვას იწყებს და აქა-იქ მშვიდობიანად ამოსუნთქვის ოდნავ შესამჩნევი ხმაც გაისმის.

შეიძლება ითქვას, რომ "კედელი" "თითების თეატრისთვის" ექსპერიმენტული დადგმაა. ექსპერიმენტს კუპრეიშვილი არა მხოლოდ თემატიკის არჩევის მხრივ ატარებს, არამედ მსახიობებთან დაკავშირებითაც. "კედელი" სწორედ იმ დადგმად იქცა, როდესაც რეჟისორმა თავის მსახიობებს თითების გარდა სხეულის სხვა ნაწილებიც გაუთავისუფლა და შემფასებლის წინაშე ღიად გამოჩენის უფლება მისცა.

დადგმა მხოლოდ ამ თეატრისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალების ანუ თითების გარდა სხვა თეატრალურ ხერხებსაც აერთიანებს. რეჟისორი ოსტატურად იყენებს პანტომიმასა და მარიონეტებს და ამ ჟანრული აღრევითა თუ სისტემიზაციით არაჩვეულებრივ გამომსახველობით შედეგს იღებს. ამით თავად მსახიობებსაც ათავისუფლებს, აძლევს მათ თვითგამოხატვის მეტ საშუალებას და თითქოს სწორედ ეს არის ამ თაობის კედლის დანგრევის სიმბოლოც.

"კედელი" ბესო კუპრეიშვილმა "პინკ ფლოიდის" 1979 წლის კონცერტის "კედლის" მიხედვით დადგა. "ნახეთ სპექტაკლი და გვითხარით თქვენი აზრი... თუნდაც უარყოფითი, ოღონდ მუსიკაზე ნურაფერს გვეტყვით - მასზე პასუხისმგებელი არ ვარ..." - შესაძლოა ეს ბესო კუპრეიშვილის წინასაპრემიერო მღელვარების დასამალი ტექსტია ან უბრალო თავაზიანობა... თეატრმა "კედელი" თბილისელი მაყურებლის წინაშე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საჩვენებელი სპექტაკლი ითამაშა, თუმცა ბათუმელებმა და მეტიც, ერევნელებმა უკვე კარგა ხანია შეძლეს დადგმის შეფასება და დაფასებაც.

"კედლის" ნახვის საშუალება მაყურებელს ყოველ შაბათ-კვირას "თითების თეატრში" შეეძლება.

# უნივერსიტეტი ხარაჩოებში

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ისტორიულ სახეს უბრუნებენ

ია ვეკუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში განთავსებულ სამკითხველოში მალე ხარაჩოების კედლები აღიმართება. ოდესღაც სამლოცველოდ ჩაფიქრებული და აგებული სივრცე მალე თავის პირვანდელ სახეს დაიბრუნებს. ეს დიდებული არქიტექტურული ნაგებობა უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათად იქცევა და ქართული განათლების ისტორიას მოუყრის თავს. ეს ისტორია კი ანტიკური ხანიდან იწყება, თუმცა ამჯერად მხოლოდ მისი მცირედი ნაწილის შესახებ გიამბობთ.

წელს, 26 ნოემბერს ზუსტად 100 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც თსუ-ს პირველი კორპუსი ფუნქციონირებას შეუდგა. შენობა პირველი სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიისთვის აშენდა. ეს იყო ყველაზე დიდი შენობა მაშინდელ თბილისში. შენობა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, მხოლოდ სათავადაზნაურო ბანკისა და კერძო შემოწირულობებით ააგეს, ამიტომაც მისი მშენებლობა 6 წელს გრძელდებოდა.

თსუ-ს სამუზეუმო სამსახურის უფროსი **ზურაბ გაიპარაშვილი**: "შენობის არქიტექტორია სვიმონ კლდიაშვილი. იგი პირველი ქართველი არქიტექტორია, რომელსაც აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული. კლდიაშვილის პროექტის თანახმად, თავიდან შენობა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მშენებლობის მესვეურებს შორსმავალი გეგმები ჰქონდათ - წინასწარ განჭვრიტეს, რომ შეიძლებოდა აქ ოდესმე უნივერსიტეტი განთავსებულიყო, ამიტომ შენობას მესამე სართულიც დააშენეს და გუმბათიც დაადგეს."

სწორედ ამ გუმბათის ქვეშ განთავსდა სამლოცველო პანსიონის ტიპის გიმნაზიის სტუდენტებისთვის. სამლოცველო 800 ადამიანს იტევდა და დავით აღმაშენებლის სახელობისა იყო. როგორც ზურაბ გაიპარაშვილი მიიჩნევს, ეს სიმბოლური დამთხვევაა, რადგან უნივერსიტეტი სწორედ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა. საზეიმო პარაკლისი კი სწორედ ამ სამლოცველოში გადაიხადეს.

თავიდან უნივერსიტეტს შენობაში მხოლოდ სამი ოთახი ეკუთვნოდა, რადგან სათავადაზნაურო გიმნაზია კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას. აქვე იყო განთავსებული ლაზარეთი (სადაც 1915 წელს ვაჟა ფშაველა გარდაიცვალა), საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი და სხვა. 1920 წელს გიმნაზია ახლანდელ ჩიტაძის ქუჩაზე გადავიდა, შენობა კი მთლიანად უნივერსიტეტს დაუთმეს. ამ ცვლილების შემდეგ შესაბამისად სამლოცველოც გაუქმდა.

თუმცა თავისი ისტორია სამლოცველოს სივრცეს აქ არ დაუსრულებია. 1921 წელს, როდესაც საქართველოს ეროვნული მთავრობა საფრანგეთში იძულებით ემიგრაციაში მიდიოდა, აღმოსავლეთ საქართველოში მოგროვილი სიმდიდრე ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა მეთვალყურეობით სწორედ აქ მოაგროვეს, ჩაალაგეს ყუთებში, დალუქეს და საფრანგეთში გააგზავნეს.

შემდეგ სამლოცველოს ისტორია ტიპური საბჭოური სცენარით განვითარდა: სივრცე თავისი მასშტაბის გამო მალევე იქცა საწყობად. 1924 წელს კი ეს ადგილი მუზეუმად გადაკეთდა. ანტირელიგიური კამპანიის დროს დარბეული ეკლესიებიდან გადარჩენილი ძვირფასი სარიტუალო ნივთები სწორედ აქ განათავსეს, რადგან იმ დროს თბილისში არ იყო შესაბამისი სიდიდის სივრცე. ამის ინიციატორი იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც სპეციალური კომისიაც შექმნა და ამით უძვირფასესი საგანძური იხსნა განადგურების ან უცხოეთში გაყიდვისგან.

1926 წელს უნივერსიტეტში ცნობილი გადატრიალება მოხდა, რასაც ივანე ჯავახიშვილის წასვლა მოჰყვა, უნივერსიტეტი ინსტიტუტებად დაიშალა და მუზეუმიც დაიკეტა. მასში განთავსებული ექსპონატები სპეციალურ ყუთებში ჩაალაგეს. 40-იან წლებში კი სახელმწიფო და ხელნაწერთა მუზეუმებს გადასცეს.



ასეთი დიდი სივრცე სრულიად უფუნქციოდ დარჩა, თუმცა არა დიდი ხნით, იქაურობა მალე აითვისეს - ორ სართულად გადატიხრეს, იქვე კი პატარა ოთახები განათავსეს, სადაც წლების განმავლობაში უნივერსიტეტის პარტკომი, კომკავშირი, საპარიკმახერო და სხვა მსგავსი ოთახები გაჩნდა. დღემდე ამ ადგილმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და ამ დროისთვის თითქმის დაკარგული აქვს ძველი იერსახე.

**ზურაბ გაიპარაშვილი**: "უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მოსვლისთანავე დააყენა ამ სივრცისთვის ძველი სახისა და შენობისთვის არქიტექტურული სამართლიანობის დაბრუნების საკითხი. ამისთვის ჩატარდა სერიოზული კვლევა, ვინაიდან არ არსებობს არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის მიერ შესრულებული პროექტის არც ორიგინალი, არც ასლი. ამის შესახებ საუბრობს 1948 წელს პროფესორი ვახტანგ ბერიძეც, რომელმაც კლდიაშვილზე კვლევა გამოაქვეყნა და აღნიშნავს, პროექტის პირველწყაროს ვერ მივაგენიო. შეიძლება კლდიაშვილის ნახაზი 1906 წელს დაიკარგა, როდესაც გიმნაზია ჟანდარმერიამ დაარბია და მისი დირექტორი შიო ჩიტაძე მოკლეს".

სამლოცველოს პირვანდელი სახის აღდგენის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, ხოლო არქიტექტორმა დავით მახარობლიშვილმა პროექტი სრულიად უანგაროდ შექმნა. ვინაიდან უნივერსიტეტი კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი, ნახაზი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარუდგინეს, რომელმაც პროექტი მოიწონა და სამუშაოების დაწყების ნებართვაც გასცა.

უკვე დაწყებულია იმ პატარა ოთახებისა და ბნელი დერეფნების მონგრევა, რომლებიც სამლოცველოს ორ სართულად გადატიხვრის შემდეგ აშენდა. სამკითხველოს წიგნის თაროების უკან ძველი მოაჯირის ნიმუშებია შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ახალ მოაჯირს დაამზადებენ. სამუშაოების დასრულება სასწავლო წლის ბოლოსთვის იგეგმება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ აქ განთავსდება უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი, ასევე წარმოდგენილი იქნება ექსპოზიცია, რომელიც ასახავს ქართული განათლების ტრადიციებს ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული და გელათისა და იყალთოს აკადემიების ისტორიასაც მოიცავს. გარდა ამისა, გაიმართება საზეიმო სარიტუალო ღონისძიებები, დიპლომების გადაცემა, სტუდენტად კურთხევის ცერემონიალები, საპატიო დოქტორების დაჯილდოება და სხვა. დაგეგმილია მხატვრებისა და მოქანდაკეების გამოფენებიც.

**P.S.** უახლოეს მომავალში დაგეგმილია იმ ოთახის რეკონსტრუქციაც, სადაც ვაჟა ფშაველა გარდაიცვალა 1915 წელს. აქ მოეწყობა ვაჟას ცხოვრების მუდმივი ექსპოზიცია და მემორიალური კაბინეტი.


## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი 2006-2007 სასწავლო წელს მიღებას აცხადებს შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

**მათემატიკა, სტატისტიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები** (მოდულები: მათემატიკური ანალიზი; მათემატიკური მოდელირება და ინფორმაციული ტექნოლოგიები; გამოყენებითი სტატისტიკა და სადაზღვევო საქმე).
**ელემენტარული პროცესები პლაზმაში და კონდენსირებულ გარემოში.**
**ბიოსამედიცინო ფიზიკა და ინჟინერია.**
**ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია.**
**კვანტური ქიმია.**
**კვების პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპერტიზა.**
**კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა.**
**გენეტიკა** (მოდულები: გამოყენებითი გენეტიკა; გენეტიკა და ბიოუსაფრთხოება).
**მიკრობიოლოგია.**
**საბაღო-საპარკო დიზაინი.**
**ეკოლოგია** (მოდულები: რადიაციული ეკოლოგია; ბიოეკოლოგია; გეოეკოლოგია).
**სოციოლინგვისტიკა.**
**ქართველური ენათმეცნიერება.**
**ქართული ლიტერატურის ისტორია** (მოდულები: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია; ახალი (XIXს) ქართული ლიტერატურის ისტორია).
**ფილოლოგია (უახლესი ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია).**
**ინგლისური ენა და თარგმანი** (მოდულები: პროფესიული ინგლისური და ლინგვისტიკა; ინფორმაციის მენეჯმენტი და თარგმანი).
**გერმანისტიკა და თარგმნა.**
**კომპარატივისტიკა.**
**რუსისტიკა.**
**ქართულ - სლავური ლიტერატურული ურთიერთობები.**
**ისტორია** (მოდულები: საქართველოს ისტორია; ძველი მსოფლიოს ისტორია;შუა საკუნეების ისტორია; რუსეთის ისტორია).
**არქეოლოგია.**
**სოციალურ - პოლიტიკური მეცნიერებები** (მოდულები: საერთაშორისო ურთიერთობები და შავი ზღვის ქვეყნები; სოციალური ურთიერთობების მართვა; საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტექნოლოგიები (PR); ადგილობრივი თვითმმართველობა და მუნიციპალური მართვა).
**ეკონომიკა** (მოდულები: საერთაშორისო ეკონომიკა; მაკროეკონომიკა; რეგიონალური და მუნიციპალური ეკონომიკა).
**ბიზნესის ადმინისტრირება** (მოდულები: ფინანსები და საბანკო საქმე; მარკეტინგი; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი);

**სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსანტების მიღება წარმოებს გასაუბრება - ტესტირების გზით.**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 30 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით. მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ. N9, ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი N206.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 541409, 893769880. ვებ-გვერდი: www. sokhumi-su.edu.ge**


# წლის საუკეთესო ნამუშევარი გალერეა m-ში

თამთა სამსონაძე

გალერეა m-ის საგამოფენო დარბაზში მხატვარ თეიმურაზ გაგნიძის მორიგი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. 1972 წლიდან მოყოლებული, მხატვარმა თავისი ნამუშევრები გამოფინა გერმანიის, მოსკოვისა და ბულგარეთის გალერეებში. 2005 წლის დეკემბერში თეიმურაზ გაგნიძის ნამუშევარმა, სახელწოდებით "დილა", მიიღო წლის საუკეთესო ნახატის ტიტული. მხატვარი იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებიც ტრადიციული მანერით მუშაობას ანიჭებენ უპირატესობას.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია 21 ფერწერული ნამუშევარი, რომლებიც ბოლო ოთხი წლის მანძილზე შეიქმნა. ექსპონატები ორ ნაწილად არის გაყოფილი: პეიზაჟებად და ფიგურულ კომპოზიციებად. თუმცა არის წარმოდგენილი ერთი ნატურმორტიც. ნამუშევრები ძირითადად რეალისტური ხასიათისაა.

თეიმურაზ გაგნიძის თვალით დანახული სამყარო ნათელ ფერებშია გადაწყვეტილი. ხოლო პეიზაჟებში დადებული ჩრდილების სინთეზი მეტ ელფერს აძლევს ნამუშევრებს. წლის საუკეთესო ნახატად აღიარებული "დილა" წითელ, მომწვანო ტონებშია გადაწყვეტილი. ნამუშევარი 2002 წელს დაიხატა და მას შემდეგ არაერთხელ მოიპოვა უბრალო დამთვალიერებლისა თუ ექსპერტებისგან "საუკეთესოს" ტიტული.

ფიგურულ კომპოზიციებში ადამიანთა სახეები შედარებით ნაკლებად ჩანს. მხატვარი ზოგად მხატვრულ სახეში გამოვლენილ პლასტიკურ გამომსახველობაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს არის ერთ თემაზე შექმნილი ვრცელი სერია, თუმცა გალერეა m-ში მხოლოდ რამოდენიმე მათგანია წარმოდგენილი.

თეიმურაზ გაგნიძის პერსონალური გამოფენა გალერეაში 5 ნოემბრამდე გაგრძელდება.

# ჰენდრიქსის კომპოზიციები

აუქციონზე კერძო პირმა 15 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა უფლება ცნობილი ამერიკელი გიტარისტის ჯიმი ჰენდრიქსის კომპოზიციებზე. კატალოგი შეიცავს ისეთ ცნობილ სიმღერებს როგორებიცაა Hey Joe, Purple Haze, Voodoo Child და Foxy Lady. უფლებები გარდაცვლილი გიტარისტის წარმომადგენელმა მაიკლ ფრენკ ჯეფრიმ გაყიდა, რომელიც მუსიკოსის მენეჯერი იყო.

როგორც ჰენდრიქსის პირდაპირი მემკვიდრეები მიიჩნევენ, უფლებების გაყიდვა უკანონოდ მოხდა, ვინაიდან ჰენდრიქსის რეალურ მემკვიდრედ საოჯახო ფირმა Experience Hendrix სახელდება. ჰენდრიქსის მემკვიდრეები საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოში შეეცდებიან, სადაც მოპასუხედ უფლებების ახალი მფლობელი იქნება.

ჯიმი ჰენდრიქსი სიეტლში დაიბადა. იგი ისევე, როგორც იმ დროის საკულტო როკერები, სრულიად ახალგაზრდა, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამჟამადაც ყოველწლიურად მისი ჩანაწერები 600 ათასი ეგზემპლიარი იყიდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "ჯვრის ფერი" პრემიერა ამერიკაში

ამერიკის შეერთებული შტატების კინოეკრანებზე ახალი ფილმის "ჯვრის ფერი"-ს პრემიერა შედგა. ფილმის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში პირველად არის გამოსახული შავკანიანი მაცხოვარი. აღნიშნულის გარდა ფილმის სიუჟეტი სრულ თანხვედრაშია სახარებასთან.

როგორც მთავარი როლის შემსრულებელი და ფილმის პროდიუსერი ჟან კლოდ ლამარი აღნიშნავს, ფილმი მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონეა. მისივე თქმით, შავკანიანი მაცხოვრის წარმოჩენა ყველაზე ნათელი შესაძლებლობაა რასობრივი საკითხების წამოსაწევად.

"აფრიკელი-ქრისტიანები ერთადერთი რასაა დედამიწაზე, რომელიც თაყვანს სცემს ღმერთს და არ ჰგავს მას", - აცხადებს ლამარი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# უნიკალური ხელნაწერები აუქციონზე

დეკემბერში Sotheby's-ის აუქციონზე 30 იშვიათ დოკუმენტს წარმოადგენენ. მათ შორისაა მიქელანჯელოს, დოსტოევსკის, სტალინისა და სხვა ცნობილი მოღვაწეების ავტოგრაფები. ყველაზე ძველი ლოტი - მიქელანჯელოს ავტოგრაფი, 1521 წლით არის დათარიღებული. ეს არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც დასტურდება მიქელანჯელოს მიერ თავისი დამხმარე მოქანდაკეებისთვის რომის სანტა მარია სპორა მინერვას ეკლესიაში ქრისტეს ქანდაკების დადგმაში გაწეული დახმარებისათვის გასამრჯელოს გადახდის ფაქტი.

უდიდეს იტორიულ ფასეულობას წარმოადგენს ეკატერინე არაგონელის მიერ 1534 წელს თავისი ძმისშვილისთვის, იმპერატორ კარლ V-სთვის მიწერილი წერილი, რომელშიც იგი ადრესატს მიმართავს თხოვნით ხელი შეუწყოს მისი ქორწინების შენარჩუნებას ჰენრიხ VIII-სთან და ამისათვის რომის პაპის გავლენა გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ ინგლისის მეფემ მაინც მიაღწია განქორწინებას და აღნიშნულის მიზნით დააფუძნა რომის ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ანგლიკანური ეკლესია, შემდგომ კი მან კიდევ ხუთჯერ მოასწრო დაქორწინება.

აუცქიონზე ასევე გამოტანილი იქნება ლოტები კერძო კოლექციებიდან: სტალინის მიერ ხელმოწერილი შეწყალების დოკუმენტი; დოსტოევსკის წერილი მისი ხელოვნების თაყვანისმცემლისადმი; ლევ ტოლსტოის, ალბერტ აინშტაინის, ფრედერიკ შოპენის, ზიგმუნდ ფროიდის, მერლინ მონროს ხელნაწერები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ჰიუსტონს განქორწინება სურს

ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა უიტნი ჰიუსტონმა შეიტანა განცხადება მუსიკოს ბობი ბრაუნთან განქორწინების თაობაზე. მათი ქორწინება 14 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. განქორწინების მიზეზები ცნობილი არ არის.

სულ თავიდან ბევრი თვლიდა, რომ ჰიუსტონი და ბრაუნი ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს. 1992 წელს, როდესაც ისინი დაქორწინდნენ, უიტნი პოპულარობის პიკზე იყო და პოპ-მუსიკის სუპერვარსკვლავად ითვლებოდა. ამავე წელს გამოვიდა ფილმი "პირადი მცველი", სადაც მან მთავარი როლი ითამაშა.

ბობი ბრაუნი ცნობილი იყო რიტმ-ენ-ბლუზის შესრულების თავისებური სტილით. ქორწინების პერიოდში ბრაუნი რამდენიმეჯერ გაასამართლეს ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების მოხმარებისათვის. ამას გარდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები გააჩნდა ასევე უიტნი ჰიუსტონსაც. იგი ორჯერ 2005 და 2006 წლებში დაწვა კლინიკაში, რომ განთავისუფლებულიყო ნარკოტიკების დაქვემდებარებიდან.

მეოცე საუკუნის 80 და 90-იან წლებში უიტნი პრესტიჟული მუსიკალური პრემიის "გრემის" მფლობელი გახდა. ფილმმა "პირადი მცველი" მომღერალს მოუტანა ორი პრიზი კომპოზიციისთვის "მე შენ ყოველთვის მეყვარები." 2002 წლიდან მომღერალს ახალი ჩანაწერი არ გამოუშვია.

## "მარადიული ასორტიმენტი: ჭეშმარიტების გამხმარი პური და სიცრუის ფუნთუშა"

5 ნოემბერს 20 საათზე

კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო კავშირი "რუსული კლუბი" და რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის სცენაზე წარმოადგენს ცნობილი რუსი მწერალ-სატირიკოსისა და ტელესცენარისტის ვიქტორ შენდეროვიჩის შემოქმედებით საღამოს.

ბილეთების შეკვეთა თეატრის სალაროებში. მისამართი: რუსთაველის 2

ტელ: 93 11 06, 93 43 36

# "საქართველოს ბანკის" ფინანსური ანგარიშგება 2006 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 09/30/06

**საბალანსო უწყისი** (ლარებში)

| N | | საანგარიშო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | აქტივები | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 18,538,544 | 20,297,250 | 38,835,794 | 7,097,805 | 21,438,971 | 28,536,776 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 57,544,300 | 13,969 | 57,558,269 | 33,400,098 | 33,331 | 33,433,429 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 12,788,000 | 57,397,486 | 70,185,486 | 1,100,000 | 26,357,871 | 27,457,871 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,166,803 | 0 | 1,166,803 | 15,704,915 | 0 | 15,704,915 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 186,202,067 | 412,967,199 | 599,169,266 | 80,921,274 | 199,029,923 | 279,951,197 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (6,530,247) | (32,859,330) | (39,389,577) | (2,796,954) | (12,043,423) | (14,840,377) |
| 6 | წმინდა სესხები | 179,671,820 | 380,107,869 | 559,779,689 | 78,124,320 | 186,986,500 | 265,110,820 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 2,725,480 | 2,890,421 | 5,615,901 | 813,975 | 1,914,521 | 2,728,496 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 570,982 | X | 570,982 | 1,701,972 | X | 1,701,972 |
| 9 | ინვესტიციები სხვების კაპიტალში | 22,385,638 | 1,876,360 | 24,261,998 | 8,108,466 | 3,423 | 8,111,889 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 64,951,715 | X | 64,951,715 | 31,603,351 | X | 31,603,351 |
| 11 | სხვა აქტივები | 15,343,305 | 6,308,742 | 21,652,047 | 8,003,517 | 8,931,092 | 16,934,609 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 375,686,587 | 468,892,097 | 844,578,684 | 185,658,419 | 245,665,709 | 431,324,128 |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 714,294 | 15,580,669 | 16,294,963 | 2,861,001 | 3,810,121 | 6,671,122 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 112,436,150 | 108,298,681 | 220,734,831 | 58,433,100 | 61,032,868 | 119,465,968 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 19,035,494 | 36,085,218 | 55,120,712 | 9,140,134 | 24,723,919 | 33,864,053 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 26,897,988 | 141,264,856 | 168,162,844 | 11,733,726 | 105,466,601 | 117,200,327 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 1,414,600 | 0 | 1,414,600 | 506,300 | | 506,300 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 20,000,000 | 134,301,558 | 154,301,558 | 5,605,654 | 52,255,957 | 57,861,611 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 1,169,769 | 5,666,957 | 6,836,726 | 424,457 | 3,337,626 | 3,762,083 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 19,627,692 | 18,385,307 | 38,012,999 | 8,241,193 | 9,940,871 | 18,182,064 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 52,065,000 | 52,065,000 | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 201,295,987 | 511,648,246 | 712,944,233 | 96,945,565 | 260,567,963 | 357,513,528 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 16,692,768 | X | 16,692,768 | 12,965,214 | X | 12,965,214 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 60,889,521 | X | 60,889,521 | 23,053,056 | X | 23,053,056 |
| 27 | საერთო რეზერვები | 0 | X | 0 | 0 | X | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 48,472,629 | X | 48,472,629 | 31,984,781 | X | 31,984,781 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 5,579,533 | X | 5,579,533 | 5,807,549 | X | 5,807,549 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 131,634,451 | X | 131,634,451 | 73,810,600 | X | 73,810,600 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 332,930,438 | 511,648,246 | 844,578,684 | 170,756,165 | 260,567,963 | 431,324,128 |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 9/30/06

**ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი** (ლარებში)

| N | | საანგარიშო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 299,674,434 | 1,109,765,921 | 1,409,440,355 | 73,102,536 | 474,965,207 | 548,067,743 |
| 1.1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.2 | გაცემული გარანტიები | 43,083,671 | 23,051,342 | 66,135,013 | 10,267,789 | 14,063,162 | 24,330,951 |
| 1.3 | მიღებული გარანტიები | 9,507,672 | 14,101,371 | 23,609,043 | 2,197,808 | 7,924,948 | 10,122,756 |
| 1.4 | გარიგებების უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 1.5 | გარიგებების უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები | 247,083,091 | 1,072,613,208 | 1,319,696,299 | 60,636,939 | 452,977,097 | 513,614,036 |
| 1.6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2 | **ფინანსური ვალდებულებები** | 1,850,222 | 126,818,165 | 128,668,387 | 0 | 27,681,564 | 27,681,564 |
| 2.1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 0 | 24,680,677 | 24,680,677 | 0 | 17,499,949 | 17,499,949 |
| 2.2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.4 | გასაცემად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | 1,850,222 | 50,116,921 | 51,967,143 | 0 | 4,823,698 | 4,823,698 |
| 2.6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | 0 | 51,896,019 | 51,896,019 | 0 | 4,878,231 | 4,878,231 |
| 2.7 | ლიზინგის ვალდებულებები | 0 | 124,548 | 124,548 | 0 | 479,686 | 479,686 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3.1 | ტრასტის ვალდებულებები ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 3.2 | კლიენტის ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 3.3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულებები ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახავად განთავსებულ ქონებაზე** | 362,489 | 0 | 362,489 | 822,612 | 0 | 822,612 |
| 4.1 | ძვირფასი ლითონები | 205,764 | 0 | 205,764 | 184,120 | 0 | 184,120 |
| 4.2 | ფასიანი ქაღალდები | 144,788 | 0 | 144,788 | 634,818 | 0 | 634,818 |
| 4.3 | სხვა ქონება | 11,937 | 0 | 11,937 | 3,674 | 0 | 3,674 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.1 | საპროცენტო განაკვეთების სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 5.2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5.3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5.4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.1 | სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 6.2 | ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6.3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6.4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 281,781,817 | 0 | 281,781,817 | 224,574,277 | 0 | 224,574,277 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიმართ | 281,781,817 | 0 | 281,781,817 | 224,574,277 | 0 | 224,574,277 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიმართ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი სანგარიშო ფურცლები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 16,899,422 | 37,469,144 | 54,368,566 | 12,903,667 | 14,912,356 | 27,816,023 |
| 8.1 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 336,718 | 0 | 336,718 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან | 4,336,723 | 18,344,840 | 22,681,563 | 1,426,471 | 0 | 1,426,471 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | 0 | 0 | 0 | 1,232,029 | 0 | 1,232,029 |
| 8.4 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | 10,021,983 | 18,801,556 | 28,823,539 | 7,332,842 | 14,580,396 | 21,913,238 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 2,540,716 | 322,748 | 2,863,464 | 2,575,607 | 331,960 | 2,907,567 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 1,560,082 | 0 | 1,560,082 | 1,084,138 | 0 | 1,084,138 |
| 9.1 | [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9.2 | [illegible] | 1,393,999 | 0 | 1,393,999 | 1,077,994 | 0 | 1,077,994 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 166,083 | 0 | 166,083 | 6,144 | 0 | 6,144 |
| 9.4 | [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 | **სულ** | 602,128,466 | 1,274,053,230 | 1,876,181,696 | 312,487,230 | 517,559,127 | 830,046,357 |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 9/30/06

**მოგება - ზარალის უწყისი** (ლარებში)

| N | | საანგარიშო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 1,167,584 | 729,583 | 1,897,167 | 567,563 | 219,509 | 787,072 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 21,571,875 | 35,960,414 | 57,532,289 | 6,870,774 | 23,617,632 | 30,488,406 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 194,758 | 8,678 | 203,436 | 277,335 | 103,624 | 380,959 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 4,590,936 | 11,974,390 | 16,565,326 | 1,514,953 | 7,017,177 | 8,532,130 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 77,773 | 159,268 | 237,041 | 10,916 | 16,801 | 27,717 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 34,311 | 159,621 | 193,932 | 27,458 | 228,015 | 255,472 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,060,626 | 2,423,833 | 3,484,459 | 677,761 | 976,561 | 1,654,322 |
| 2.6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,698,769 | 4,638,033 | 6,336,802 | 721,459 | 2,905,703 | 3,627,162 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 233,732 | 454,808 | 688,540 | 99,915 | 459,778 | 559,693 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 12,635,116 | 12,582,206 | 25,217,322 | 3,370,930 | 10,879,242 | 14,250,172 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,045,854 | 3,559,577 | 4,605,431 | 170,047 | 1,030,731 | 1,200,779 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 352,722 | 0 | 352,722 | 2,113,228 | 0 | 2,113,228 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავლები** | 23,092,181 | 36,689,997 | 59,782,178 | 9,551,565 | 23,837,141 | 33,388,706 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1,856,521 | 1,294,052 | 3,150,573 | 204,357 | 708,935 | 913,292 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1,704,046 | 8,219,880 | 9,923,926 | 373,367 | 5,242,394 | 5,615,761 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 18,790 | 651,811 | 670,601 | 9,790 | 51,481 | 61,271 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 138,616 | 0 | 138,616 | 4,272 | 0 | 4,272 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 788,999 | 6,322,528 | 7,111,527 | 82,019 | 2,316,845 | 2,398,864 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 4,506,972 | 16,488,271 | 20,995,243 | 673,805 | 8,319,655 | 8,993,460 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 18,585,209 | 20,201,726 | 38,786,935 | 8,877,760 | 15,517,486 | 24,395,246 |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 5,082,845 | 6,898,853 | 11,981,698 | 2,413,199 | 5,208,133 | 7,621,332 |
| 14.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 5,494,499 | 8,766,048 | 14,260,547 | 2,878,680 | 6,265,293 | 9,143,973 |
| 14.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 411,654 | 1,867,195 | 2,278,849 | 465,481 | 1,057,160 | 1,522,641 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 0 | 0 | 0 | 14,445 | 0 | 14,445 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 2,825 | 0 | 2,825 | 0 | 0 | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 441,833 | 109,366 | 551,199 | 0 | 0 | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 8,122,482 | 0 | 8,122,482 | 4,624,118 | 0 | 4,624,118 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 101,192 | 0 | 101,192 | (69,273) | 0 | (69,273) |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 83,370 | 0 | 83,370 | 147,197 | 0 | 147,197 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 1,062,657 | 2,556,543 | 3,619,200 | 584,381 | 1,491,321 | 2,075,702 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 666,653 | 59,160 | 725,813 | 79,570 | 33,522 | 113,092 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 15,563,857 | 9,623,922 | 25,187,779 | 7,793,637 | 6,732,976 | 14,526,613 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 439,412 | 890,910 | 1,330,322 | 343,255 | 425,308 | 768,563 |
| 25 | ბანკის განყოფილებების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 2,782,340 | 763,685 | 3,546,025 | 1,422,396 | 42,152 | 1,464,548 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 19,681,213 | 0 | 19,681,213 | 14,473,483 | 0 | 14,473,483 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 457,531 | 0 | 457,531 | 252,359 | 0 | 252,359 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 3,361,825 | 0 | 3,361,825 | 2,544,023 | 0 | 2,544,023 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 7,754,239 | 204,862 | 7,959,101 | 5,020,880 | 126,273 | 5,147,153 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 34,476,560 | 1,859,457 | 36,336,017 | 24,056,396 | 593,733 | 24,650,129 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (18,912,703) | 7,764,465 | (11,148,238) | (16,262,759) | 6,139,243 | (10,123,516) |
| | | | | | | | |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | (327,494) | 27,966,191 | 27,638,697 | (7,384,999) | 21,656,729 | 14,271,730 |
| | | | | | | | |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 10,623,764 | X | 10,623,764 | 3,936,607 | X | 3,936,607 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | (50,723) | X | (50,723) | | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 77,331 | X | 77,331 | (91,259) | X | (91,259) |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 10,650,372 | 0 | 10,650,372 | 3,845,348 | 0 | 3,845,348 |
| | | | | | | | |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | (10,977,866) | 27,966,191 | 16,988,325 | (11,230,347) | 21,656,729 | 10,426,382 |
| 38 | მოგების გადასახადი | 3,093,212 | | 3,093,212 | 1,586,701 | | 1,586,701 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | (14,071,078) | 27,966,191 | 13,895,113 | (12,817,048) | 21,656,729 | 8,839,681 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 | | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | (14,071,078) | 27,966,191 | 13,895,113 | (12,817,048) | 21,656,729 | 8,839,681 |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 9/30/06

**ეკონომიკური მაჩვენებლები**

| | | საანგარიშო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი 8% | 8.00% | 10.07% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 12% | 12.77% | 11.39% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 133% | 129% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | 6.08% | 0 |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 11.86% | 12.57% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.17% | 3.39% |
| 7 | საოპერაციო მოგება / საშუალო წლიურ აქტივებთან | 5.34% | 5.34% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 7.70% | 9.18% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 2.76% | 3.33% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 17.26% | 19.71% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 6.74% | 5.60% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 6.57% | 5.30% |
| 13 | უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები / მთლიან სესხებთან | 68.92% | 71.09% |
| 14 | უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 55.52% | 56.96% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | 90.16% | 65.65% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 19.52% | 23.03% |
| 17 | უცხოური ვალუტით დენომინირებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 71.77% | 72.88% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 32.86% | 35.55% |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 9/30/06

**ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერების შესახებ**

**სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა**

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]

**დირექტორატის შემადგენლობა**

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

**საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით**

| | |
|---|---|
| ბანკი "Austria Creditanstalt" | 24.96% |
| ფონდი "Firebird Avrora" | 8.77% |
| ფონდი "Firebird Republics" | 8.57% |
| [illegible] | 7.79% |
| East Capital Holding | 5.07% |
| ფონდი "East Capital Bering Russia" | 4.62% |
| ფონდი "Firebird Global Master" | 4.01% |
| Concentra Limited | 3.41% |
| ფონდი "East Capital Financial Institutions AB II" | 3.06% |
| Bryum Limited | 2.33% |
| [illegible] | 2.15% |
| SEB Vilniaus Bankas | 1.85% |
| [illegible] | 1.46% |
| [illegible] | 1.42% |
| Gorge Investments Limited | 1.27% |
| [illegible] | 1.20% |

ფეხბურთი

# ევროკლასიკოთ "ნოუ კამპზე" გადაინაცვლა

დღეს და ხვალ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეოთხე ტურის მატჩები გაიმართება. სწორედ ამ ორმა დღემ უნდა გასცეს პასუხი უამრავ კითხვას. ჩვენ კი არაერთი საინტერესო დაპირისპირების მოწმენი გავხდებით. მთავარი, რა თქმა უნდა, "ნოუ კამპზე" გასამართი ევროკლასიკოა, რომელშიც ძველი მეტოქეები - "ბარსელონა" და "ჩელსი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**A ჯგუფი**
**ბარსელონა - ჩელსი**
**ლევსკი - ვერდერი**

ორი კვირის წინ "სტემფორდ ბრიჯზე" "არისტოკრატებმა" იმარჯვეს და ფაქტობრივად გაინაღდეს შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. ევროპის საკლუბო ჩემპიონს კი საქმე მეტად გაურთულდა. ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ დღეს "ვერდერი" ბულგარეთში "ლევსკის" დამარცხებას შეძლებს, ხოლო თუ "ბარსამ" "ნოუ კამპზე" ქულები დაკარგა, რაიკაარდის გუნდი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამ მატჩის წინ ორივე გუნდს სერიოზული დანაკლისი აქვს. "ჩელსი" ესპანეთს ფაქტობრივად ფორვარდების გარეშე ეწვევა. ჯერაც არავინ იცის, შეძლებენ თუ არა თამაშს ანდრეი შევჩენკო და დიდიე დროგბა. ანალოგიური დანაკლისი კატალონიელებსაც აქვთ - სამუელ ეტოო ტრავმირებულია და კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლებს თამაშს.

მიუხედავად ამისა, მეტად საინტერესო თამაშია მოსალოდნელი. ამჯერად "ბარსას" უკანდასახევი გზა არ ექნება და რაიკაარდის ვარსკვლავებმა თავისი ოსტატობა ბოლომდე უნდა გამოამჟღავნონ.

რაც შეეხება ამ ჯგუფის მეორე შეხვედრას, თუ რაიმე საოცრება არ მოხდა, "ვერდერმა" სამი ქულა უპრობლემოდ უნდა აიღოს.

**B ჯგუფი**
**სპარტაკი - ინტერი**
**ბაიერნი - სპორტინგი**

დღეს მიუნხენის "ბაიერნი" ალბათ ოფიციალურად გაიფორმებს პლეი-ოფების ეტაპზე გასვლას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ფელიქს მაგათის გუნდმა პორტუგალიურ გუნდს "ალიანს არენადან" ქულები გაატანოს. ამ ჯგუფის მთავარ მატჩს კი მოსკოვი უმასპინძლებს. მართალია, "სპარტაკს" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი თითქმის აღარ შერჩა, მაგრამ რუსები უეფას თასის საგზურისთვის მაინც იბრძოლებენ. ამისთვის მილანურ კლუბთან ქულების აღება აუცილებელია. თავის მხრივ, მოსკოვიდან სამი ქულა უნდა წამოიღოს "ინტერმა", რათა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ დაკარგოს. ერთი სიტყვით, მოსკოვურ ყინვაში ნამდვილი საფეხბურთო ომი გაიმართება. ამ მნიშვნელოვან შეხვედრაში იტალიელებს შესაძლოა იბრაჰიმოვიჩი და ვიეირა ვერ დაეხმარონ.



რონალდინიომ "ჩელსისთან" დაპირისპირებამდე ორი გოლი გაიტანა.

**C ჯგუფი**
**ლივერპული - ბორდო**
**პსვ - გალათასარაი**

ამ ჯგუფში შესაძლოა ყველაფერი დღეს დასრულდეს. საკმარისია ორი მატჩი საფეხბურთო ლოგიკის ფარგლებში ჩაჯდეს და უკვე ცნობილი გახდება პლეი-ოფების მონაწილეთა ვინაობა. წესით, "ლივერპულმა" და პსვ-მ საკუთარ მინდორზე ქულები არ უნდა დაკარგონ. ეგ კი არა, ჰოლანდიელებსა და ინგლისელებს ქულის აღებაც კი მისცემთ ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ბენიტესის გუნდი საკუთარ ჩემპიონატში არც ისე დამაჯერებლად თამაშობს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მერსისაიდელებმა "ბორდოს" "ენფილდიდან" ქულები გაატანონ. ანალოგიური რამის თქმა პსვ - "გალათასარაის" მატჩზეც შეიძლება.

**D ჯგუფი**
**რომა - ოლიმპიაკოსი**
**შახტარი - ვალენსია**

ფაქტობრივად ამ ჯგუფშიც ყველაფერი გარკვეულია - "ღამურებს" დონეცკში ქულაც დააკმაყოფილებთ, "რომა" კი სავარაუდოდ დღეს მოუგებს "ოლიმპიაკოსს" და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებასაც დაიბევებს.

# ოცნება ლიგის თასზე

**მიხაელ ბალაკი "ჩელსისთან" ერთად ლიგის მოგებას ესწრაფის**

ზაფხულის სატრანსფერო ბუნდესნაკრებისა და მიუნხენის "ბაიერნის" ლიდერის მიხაელ ბალაკის ალბიონზე გადაბარგებამ დიდი ხმაური გამოიწვია. ხმაური, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო ფრანკ ლამპარდთან. პრესაში ეჭვობდნენ, რომ გერმანელი ინგლისელს ღირსეულ კონკურენციას ვერ გაუწევდა და ამიტომ "სტემფორდ ბრიჯზე" სკამის ხეხვა მოუწევდა. თუმცა, ბუნდესლიგის დარად, ბალაკს არც პრემიერლიგაში შეურცხვენია თავი და მისმა პირველმა ლონდონურმა გოლმაც "ჩელსის" გულშემატკივარში ერთობ დიდი მოწონება დაიმსახურა.

გოლების სერია გერმანელმა ნახევარმცველმა გასულ უქმეებზე "შეფილდ იუნაიტედთან" გააგრძელა. მისი და ლამპარდის შეთამაშებულმა წყვილმა კი ყველა იმ სკეპტიკოსის ყურადღება მიიპყრო, ვინც მანამდე ვარაუდობდა, რომ ეს ორი ნახევარმცველი მოედანზე ერთმანეთს ადგილს შეეცილებოდა.

"მიხაელი განსაკუთრებულად ჭკვიანი ფეხბურთელია. ის მსუბუქად თამაშობს, რაც არც ისე იოლია. მის საუკეთესო თვისებად კი მეორე სართულზე იდეალურად თამაშს მივიჩნევ. რაც შეეხება ჩვენს შორის ვითომდა არსებულ კონკურენციას, მე ვიტყოდი, რომ ჩვენ სრულიად განსხვავებულ სტილში ვთამაშობთ, განსხვავებული საფეხბურთო თვისებებით გამოვირჩევით და ვფიქრობ, ამის დემონსტრირებას მოედანზეც ვახერხებთ", - ასე დაახასიათა კონკურენტი ფრანკ ლამპარდმა.

"ახალ გუნდში და მით უმეტეს, ახალ ჩემპიონატში მისვლა ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. მაგრამ როცა ახალი გულშემატკივარი კარგი თამაშისთვის დიდი ოვაციით გაჯილდოებს, ეს ცხოვრების ბოლომდე არ დაგავიწყდება", - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ბუნდესნაკრების კაპიტანმა.

"ჩელსის" გულშემატკივარმა საოცრად მალე შეიყვარა 30 წლის ნახევარმცველი, რომლის ზუსტი გადაცემები "არისტოკრატთა" შუახაზს დიდ სამსახურს უწევს. თუმცა, მათ, ვისაც ადრეც უნახავს მიხაელ ბალაკის თამაში, დღემდე არ ტოვებს მოსაზრება, რომ გერმანელ ნახევარმცველს ახლაღა დაუმთავრდა ადაპტაციის პერიოდი და თანდათან ისე იწყებს გაბრწყინებას, როგორც ამას მიუნხენის "ბაიერნში" ახერხებდა. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ "ჩელსის" პირველივე ოფიციალურ მატჩში ყოფილმა ბაიერნელმა ტრავმა მიიღო, რის გამოც ინგლისის სუპერთასზე ახალ გუნდს "ლივერპულთან" შეხვედრაში ვერ დაეხმარა. სექტემბერში, როცა მეტოქეები ხელახლა წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ, მსაჯმა ბალაკს მოედანი დაატოვებინა.

"ნურავინ ჩამითვლის გადაჭარბებულად, მაგრამ იმაზე მეტი შემიძლია, ვიდრე ახლა ვაკეთებ. უბრალოდ, დრო მჭირდება, რათა ბოლომდე გავითავისო "სტემფორდ ბრიჯზე" თამაში. მართალია, ამისთვის არაფერს ვიშურებ, მაგრამ საკუთარი თავით მაინც უკმაყოფილო ვარ. მიხარია, რომ გუნდი პრემიერლიგაში მატჩიდან მატჩში უმატებს და არც ჩემპიონთა ლიგაზე ვირცხვენთ თავს", - მიხაელ ბალაკი.

გარდა იმისა, რომ გერმანელი ნახევარმცველი უშუალოდ "ჩელსიში" თამაშით კმაყოფილია, ის არ მალავს, რომ ამას პირველ რიგში ლონდონელთა ენერგიული თავკაცი ჟოზე მოურინიო განაპირობებს, რომელთან მუშაობაც ბალაკს დიდ სიამოვნებას ჰგვრის.



"ბარსელონასთან" მატჩის წინ "ჩელსის" ნახევარმცველი იმედიანადაა.

"მართალია, მწვრთნელებს ერთი საქმე აერთიანებთ, მაგრამ ყველა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ასე რომ, მოურინიოსთან მუშაობა ჩემთვის ახალი გამოცდილებაა", - ამბობს ბალაკი.

დღეს ბალაკსა და კომპანიას რთული მატჩი ელით, თუმცა "ლურჯების" ნახევარმცველი იმედოვნებს, რომ "ბარსას" არაფერს დაუთმობენ, მიუხედავად იმისა, რომ "კამპ ნოუზე" უწევთ თამაში.

"ყოველ სეზონში ნებისმიერ გუნდს უწევს ორი ან სამი პრინციპული მატჩის გამართვა. "ბარსასთან" ჩვენი დაპირისპირება სწორედ ასეთთა რანგს განეკუთვნება. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კატალონიელებთან საკუთარ მოედანზე გამარჯვებას. "სტემფორდ ბრიჯზე" რაიკაარდის გუნდის დამარცხებით საკუთარი თავის რწმენა შეგვემატა, მით უმეტეს, რომ შთამბეჭდავი თამაში ვაჩვენეთ. იმედია, ესპანეთშიც იგივეს გავიმეორებთ", - იმედიანადაა "ბარსელონასთან" მატჩის წინ "ჩელსის" ნახევარმცველი, რომლის მიზანი წლევანდელ სეზონში ჩემპიონთა თასის აწევა გამხდარა.

2002 წელს იმავე გათამაშების ფინალში ბალაკი "ბაიერნთან" ერთად თამაშობდა, თუმცა ზინედინ ზიდანის ბრწყინვალე გოლმა "რეალის" ტრიუმფი განაპირობა. რა იქნება წლეულს? - ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, მანამდე ბალაკსა და კომპანიას რთული და დამღლელი გზის გავლა მოუწევთ.

# მწვრთნელობა მსხვერპლს მოითხოვს

თითქმის სამი ათეული წელია, შოტლანდიელი სერ ალექს ფერგიუსონი სამწვრთნელო საქმიანობითაა დაკავებული. სამიდან ორი ათეული წელი კი ინგლისში "სერ"-ის წოდებამინიჭებულმა "მანჩესტერ იუნაიტედს" მიუძღვნა და დღემდე ამ კლუბის გაწვრთნითაა დაკავებული.

თუმცა, თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა, ალექს ფერგიუსონი უეფასთანაც თანამშრომლობს, სადაც ბებერი კონტინენტის ელიტური კლუბების მწვრთნელთა საბჭოს თავკაცობს. უეფას მორიგ გამოცემაში ევროპის საფეხბურთო საბჭოს ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბერი სწორედ ტექნიკურ საკითხებზე ესაუბრა "მანჩესტერის" დამრიგებელს.

**- სერ ალექს, თქვენი აზრით, რა ძირითადი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მაღალი დონის კლუბის თავკაცი?**

- როცა მწვრთნელობას ვიწყებდი, მივხვდი, რომ პირადად ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია დაკვირვების პროცესი. თუმცა, გუნდის გაწვრთნა და მოედანზე სიტუაციისთვის თვალის დევნება, არცთუ იოლია. როცა მწვრთნელი ვარჯიშის დეტალებითაა გატაცებული, ადვილი შესაძლებელია სხვა მნიშვნელოვანი დეტალები გამორჩეს. ამიტომ ვარჯიშის ჩატარებას ხშირად ვანდობ ჩემს თანაშემწეებს, მე კი ამ დროს გარედან ვუყურებ მოედანზე მოვლენების განვითარებს. ეს მეხმარება რეალურად შევაფასო ჩემი გუნდის შეცდომები.

ელიტური კლუბის თავკაცს, პირველ რიგში, წარმოსახვის უნარი მოეთხოვება. თუ ხვდება, რომ მისი ჩანაფიქრი წარმატების მომტანია, აუცილებლად უნდა განახორციელოს და ფეხბურთელებამდე მიიტანოს. ამას კი გადაცემის კარგი უნარი სჭირდება. ხშირად შევსწრებივარ სიტუაციას, როცა რომელიმე მწვრთნელი დაუსრულებლად საუბრობს, თუმცა ფეხბურთელებს ვერაფერს აგებინებს. მწვრთნელი უნდა შეეცადოს იყოს ლაკონიური და თავისი სათქმელი მოკლედ, მაგრამ გასაგებად თქვას. ბევრი ლაპარაკი ნებისმიერი რანგის სპეციალისტისთვის დამღუპველია.

**- ახალბედა მწვრთნელებს რას ურჩევდით?**

- ახალგაზრდა მწვრთნელთა უმრავლესობა ფეხბურთელობისას განებივრებული იყო - მათ ყველა პირობას უქმნიდნენ, რათა სათანადო დონეზე ეთამაშათ. ისინი ცხოვრობდნენ გადაჭარბებული ყურადღების პირობებში. მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ მწვრთნელობისას გარკვეულ მსხვერპლზე უნდა წავიდნენ. ყოველდღიურად უნდა ფიქრობდნენ თავიანთ ახალ პროფესიაზე - მწვრთნელის სამუშაო მარტო ფეხბურთელებთან ერთად თეორიული და პრაქტიკული ვარჯიში არ არის. ის მუდმივად ინფორმაციის ძიებაში უნდა იყოს როგორც მეტოქე გუნდებზე, ისე ახალი ფეხბურთელების თაობაზე. ერთი სიტყვით, როდესაც ფეხბურთელი მწვრთნელობას ირჩევს, პროფესიის ტყვე ხდება და ხშირად ამას ოჯახურ მოვალეობებსაც სწირავს. ერთი სიტყვით, ყველა დამწყებს ვურჩევ - თუ უნდა, რომ მაღალი დონის მწვრთნელი იყოს, ვალდებულია დაივიწყოს თითქმის ყველაფერი, გარდა საკუთარი სამუშაოსი! ყოველი დღე პროფესიული შიმშილით დაიწყოს და ახსოვდეს: წინ რთული და გრძელი გზა ელის, რომელზეც ხშირად შეხვდება ეკალ-ბარდები.

**- როგორ ფიქრობთ, თანამედროვე მწვრთნელი ყველაზე ხშირად რა პრობლემებს აწყდება?**

- დროსთან ერთად, ბუნებრივია, იცვლებიან ფეხბურთელებიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რა ტიპის მოთამაშესთანაც არ უნდა გქონდეთ საქმე, სიტუაცია თქვენს კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. ნებისმიერი ფეხბურთელი ვალდებულია თქვენი მითითებები შეასრულოს. ძლიერი დისციპლინა ეფექტიანი სამუშაოს გარანტია. მწვრთნელთა პრობლემა ძირითადად უდისციპლინობაში აისახება.

**- რამდენად მნიშვნელოვანია გუნდის თავკაცისთვის დამხმარე პერსონალი?**

- როცა "მანჩესტერ იუნაიტედში" მივედი, მხოლოდ რვა ადამიანი დამხვდა. ჩვენს განკარგულებაში პირადი ექიმიც კი არ იყო. საბედნიეროდ, დღეს ოპტომეტრისტიც კი გვყავს, რომელიც ვარჯიშის განმავლობაში ფეხბურთელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდება. შტატში გვყავს ასევე ხუთი ფსიქოთერაპევტი, ფიზმომზადების მწვრთნელი, დიეტოლოგი. კარიერის დასაწყისში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი დონის სამედიცინო შტაბი მეყოლებოდა.

**- თანამედროვე მწვრთნელთაგან ვის გამოარჩევთ?**

- უდიდეს პატივს ვცემ ადამიანს, რომელიც რთულ სამუშაოს ნებისმიერი დონის კლუბში გაართმევს თავს და გაიმარჯვებს ყველგან, რომელი ქვეყნის ჩემპიონატშიც არ უნდა მუშაობდეს. იტალიაში ჩემს დიდ სიმპათიას იმსახურებს მარჩელო ლიპი. ამ ადამიანის ტიტულებზე არ შევჩერდები - მან უდიდეს წარმატებებს მიაღწია. თუმცა, მე, როგორც მწვრთნელმა, კარგად ვიცი, ამისთვის რა სირთულეები უნდა გადალახო. ცხადია, მაღალი დონის სპეციალისტია ფაბიო კაპელო. მჯერა, "რეალთან" ერთად ის აუცილებლად მიაღწევს იგივეს, რასაც თავის დროზე "რომასთან" და "მილანთან" ერთად მიაღწია. ანდა რაფა ბენიტესი, კაცი, რომელმაც "რეალის" იუნიორთა თავკაცად დაიწყო მუშაობა, რამდენიმე წელიწადში კი "ლივერპულთან" ერთად ჩემპიონთა თასი ასწია. აღარაფერს ვამბობ ჟოზე მოურინიოზე, ერთ დროს ბობი რობსონის თარჯიმანზე - დღეს კი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტზე.

თუმცა, უნდა ვთქვა, რომ წინააღმდეგი ვარ, როდესაც წარუმატებლობის გამო კლუბში ახალმისულ მწვრთნელს ათავისუფლებენ. დაუშვებელია ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ ოთხი წაგების გამო თანამდებობა დაგატოვებინონ. მერწმუნეთ, ეს საკმაოდ ცუდად აისახება ფეხბურთზე. მწვრთნელს დრო, კლუბის ხელმძღვანელთა და გულშემატკივართა ნდობა სჭირდება. ჩემს მიერ ჩამოთვლილმა ყველა სპეციალისტმა მხოლოდ მათ მიერ გამოცხადებული ნდობის ხარჯზე მიაღწია უდიდეს წარმატებას.



დავით კოვზირიძის სვეტი

# კომუნიზმის ნამცეცი და მეზობელი ბომჟები

ერთი სამხედრო მეგობარი მყავს, ყოფილი მოკრივე, მორაგბე და სპორტის დიდი მოყვარული კაცი. გასულ ზამთარს ერაყში იყო წასული რამდენიმე თვით და იმისთვის, რომ იქ არ მოეწყინა, დანარჩენებმა ასეთი ხერხი გამოვიგონეთ - შევქმენით ინტერნეტ-ქსელი, რამდენიმე კაცისგან შემდგარი ჯგუფი. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვწერდით წერილებს და ერთმანეთს ვუგზავნიდით, ისე რომ თითოეულ მათგანს ყოველი ჩვენგანი კითხულობდა. ამ წერილებში ყველაფერზე იყო ლაპარაკი, თბილისსა და ერაყში მიმდინარე ამბებით დაწყებული და, რაღა თქმა უნდა, სპორტით დამთავრებული.

ამ თვეების განმავლობაში უამრავი საინტერესო აზრი გამოითქვა, იყო კამათი და ერთი ამბავი. საბოლოოდ ნოვატორულმა ვირტუალ-მეგობრობამ აშკარად გაამართლა. თუნდაც იმიტომ, რომ ცხრა მთას იქით ომში მყოფ ჩვენს ძმაკაცს წამითაც არ მოუწყენია.

ელექტრონული მიმოწერისას ყველაზე დიდი დრო და ენერგია ერთმა თემამ წაიღო და ჩვენც ორად გაგვყო - ნაწილი ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ხან ერთი გუნდის გულშემატკივარი იყო და ხან მეორესი, უნდა აირჩიო ერთი და ბოლომდე მისი ერთგული დარჩე. დანარჩენები, მათ შორის მეც, საწინააღმდეგო აზრის გახლდით. გამარჯვებული ვერ გაირკვა, მაგრამ მაინც მგონია, რომ საინტერესო თემაა და თითოეულ თქვენგანს ერთხელ მაინც უფიქრია ამაზე.

პირადად მე რამდენიმე კლუბი და ნაკრები გამოვიცვალე. თავიდან საფრანგეთის ნაკრებს ვგულშემატკივრობდი, პლატინი და ტიგანა მიყვარდა. მერე ჰოლანდიურმა დინებამ გამიყოლა ვან ბასტენის, რაიკაარდისა და გულიტის გადამკიდე. ამ ტრიოს წყალობით გავხდი "მილანის" ქომაგი. მერე, როგორც ჯაზი მოდის ასაკთან ერთად, ისე გამიჩნდა სიმპათიები ბრაზილიური ფეხბურთის მიმართ და ვინაიდან საუკეთესო ბრაზილიელების დიდი ნაწილი კატალონიაში იქნევდა ჯადოსნურ ჯოხს, გავხდი "ბარსელონას" გულშემატკივარი. ჯერჯერობით ამ პოზიციაზე მყარად ვდგავარ, მაგრამ სულაც არაა გამორიცხული, დროთა განმავლობაში საფეხბურთო გემოვნება შემეცვალოს.

ჩვენი ოპოზიციის ლიდერი, რომელიც ბავშვობიდან მხოლოდ ინგლისის ნაკრებსა და "ლივერპულს" გულშემატკივრობს, სტილიაგებს და მოღალატეებს გვეძახის დღემდე.

კი მაგრამ, რატომ უნდა ვიყო მე მთელი ცხოვრება სხვა გუნდის გულშემატკივარი, თან მხოლოდ ერთის? ბანგლადეშში რომ ვცხოვრობდე, კიდევ გასაგებია, იქ ხომ ფეხბურთი პირველყოფილ დონეზეა. მთელ ამ დისკუსიაში, მგონი, ერთი ამოსავალი წერტილია - სიყვარულზე ვლაპარაკობთ თუ მოწონებაზე.

მე არასდროს მეყვარება რომელიმე კლუბი თუ ნაკრები თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ეროვნულ გუნდზე მეტად. შეიძლება სხვისი თამაში უფრო მომწონდეს, მაგრამ სიყვარული რადიკალურად განსხვავებული ცნებაა და რამდენიმე ფრონტზე მისი თანაბრად განაწილება გამორიცხული მგონია.

ამ შემთხვევაში სიყვარული სულაც არ ნიშნავს მოწონებას. შეიძლება შენი გუნდი გულისამრევად თამაშობდეს, ნერვებს გიშლიდეს, გინების რეცეპტორებს გიღიზიანებდეს, ამ დროს კი ფანტასტიკურად ათამაშდეს აზოვიანის "კოტაიკი". შენ მოგწონს "კოტაიკი", მაგრამ გიყვარს შენი გუნდი, რომელიც მთელ მსოფლიო ფეხბურთს გირჩევნია.

ჩემთვის შაშის ზღაპრული გოლი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წელს ნანახი ყველა გოლი ერთად. არა იმიტომ, რომ ის საუკეთესო იყო, არამედ იმიტომ, რომ იმ წამს ყველაფრისგან განსხვავებული გრძნობა გამიჩნდა. ადრენალინის რაოდენობამ ყველა ზღვარს გადააბიჯა. ასე იყო კიევშიც. და ზუსტად ამ დროს ხვდები, რას ნიშნავს შენის, შენიანების სიყვარული წმინდა საფეხბურთო ამბავში.

მოწონებით კი ბევრი შეიძლება მოგეწონოს და ასეთ შემთხვევაში არ ღირს ემოციების მოთოკვა რაღაცის გამო. თუ ქომაგობ ბრაზილიას და საფრანგეთი უკეთ თამაშობს, არ უნდა დაიბოღმო და "დისქავერიზე" არ უნდა გადართო. სწორედ ბოლო ბრაზილია-საფრანგეთი მინდა გავიხსენო. ამ მატჩს გელზენკირხენის "ალტინსის" პრესცენტრში ვუყურე და უზარმაზარი სიამოვნება მივიღე ზინედინ ზიდანისგან. ეს მისი საუკეთესო თამაში იყო გერმანიაში და ბრაზილიელთა ჩასვრილი ფეხბურთის გამო ზიზუს ბრწყინვალების არაღქმა საოცარი გულუბრყვილობა, სიამოვნების დაკარგული წუთები იქნებოდა.

საერთოდ, ესეც კომუნიზმის ნამცეცები მგონია - გონების დაკარგვა უცხო გუნდებისთვის. დასაბამიდან დღემდე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებმა ისე ჩაიარა, რომ ჩვენს გუნდს იქ არ უთამაშია. იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელიც უმრავლესობას ეზიზღებოდა და ტურნირს რომ მუღამი არ დაეკარგა, ვეძებდით საკუთარ გემოვნებაზე ყველაზე მეტად მორგებულ ნაკრებს, რომელიც ძალაუნებურად გვიყვარდებოდა. თუმცა ეს არ იყო ნამდვილი სიყვარული.

P.S. ზუსტად ვერ გეტყვით, მგონი საუდის არაბეთში მოხდა ეს ამბავი - მეორედ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ბომჟებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსებმა დიდებულად ითამაშეს და ზედიზედ მეორედ გახდნენ საუკეთესოები. ვულოცავ დიდ რუს ერს გამარჯვებას და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებ ამ ქვეყნის ბომჟ ფეხბურთელებს!

*მომავალ სამშაბათამდე*

მოკლედ

## ტური ინგლისში აიღებს სტარტს

ლეგენდარული ველორბოლა "ტურ დე ფრანსი" მომავალ სეზონში ლონდონში აიღებს სტარტს. როგორც ველორბოლის ორგანიზატორებმა განაცხადეს, 2007 წელს ტურის პროლოგი ბრიტანეთის დედაქალაქის ქუჩებში გაიმართება. 7 ივლისს ტურის 8-კილომეტრიანი პროლოგი უაიტჰილში დაიწყება და ბუკინგემის სასახლესთან დასრულდება.

## ბლატერმა ბოდიში მოიხადა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა შეაფასა 2006 წლის მუნდიალზე მსაჯების მუშაობა და აღნიშნა, რომ მსაჯობა დამაკმაყოფილებელი არ იყო. "ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობა ჯეროვან დონეზე არ იყო. არბიტრები ასეთი დიდი ტურნირისთვის მზად არ იყვნენ. ფეხბურთელებიც ცდილობდნენ მსაჯების მოტყუებას. ავსტრალიელებს კი მინდა პირადად მოვუხადო ბოდიში. იტალიასთან ავსტრალიის ნაკრები მოგონილი პენალტის გამო დამარცხდა", - აღნიშნა ზეპ ბლატერმა. ამავე დროს ფიფას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 2010 წლის მუნდიალი აუცილებლად სამხრეთ აფრიკაში გაიმართება. საქმე ის არის, რომ აფრიკელები ბოლომდე ვერ ასწრებენ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და გაჩნდა იდეა, რომ მუნდიალი სადმე სხვაგან გადაიტანონ, თუმცა ზეპ ბლატერი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. "სამხრეთაფრიკელები ყველაფერს მოასწრებენ და ამაში მათ ფიფაც დაეხმარება", - აღნიშნა ფიფას პრეზიდენტმა.

## ფორვარდის გარეშეც ვითამაშებთ

ლონდონის "ჩელსის" მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს "ბარსელონასთან" მატჩის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. კერძოდ, "არისტოკრატები" ფაქტობრივად თავდამსხმელის გარეშე დარჩნენ. "ნოუ კამპზე" გასვლას ვერ შეძლებენ ანდრეი შევჩენკო და დიდიე დროგბა. მართალია, ეს სერიოზული პრობლემაა, მაგრამ მოურინიო მაინც არ ტყდება. "ბარსელონასთან" პირველი მატჩი ორი ძირითადი მეკარის გარეშე ვითამაშეთ და მაინც მოვიგეთ. ასე რომ, დიდ პრობლემას ვერ ვხედავ. ახლა ფორვარდების გარეშეც ვეთამაშებით", - აცხადებს მოურინიო.

## სასამართლო კორექტივები

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საარბიტრაჟო სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი ოთხი დასჯილი კლუბის აპელაციასთან დაკავშირებით, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სერია A-სა და სერია B-ს გათამაშების ცხრილზე. "იუვენტუსმა" სეზონი 17-ქულიანი დეფიციტით დაიწყო. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელი შემცირდა და ტურინელებს 8 ქულა დაუმატეს. ამრიგად, "ბებერი ქალბატონი" ერთი ხელის მოსმით მე-20 დან მე-11 ადგილზე აღზევდა. 8 ქულით შეუმცირეს სასჯელი "ლაციოსაც", რამაც რომაული კლუბი მე-18-დან მე-13 ადგილზე გადაიყვანა. "ფიორენტინას" ოთხი ქულით შეუმცირეს სასჯელი. მიუხედავად ამისა, "იები" კვლავ ბოლო ადგილზე რჩებიან. რაც შეეხება "მილანს", ამ კლუბს სასჯელი არ შეუმსუბუქეს.

## კლინსმანი დაბრუნდება

სულ ცოტა ხნის წინ გერმანიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს იურგენ კლინსმანს მსოფლიო მედია მექსიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებდა, თუმცა ახლა ვითარება შეიცვალა. შაბათს 42 წლის გერმანელმა, რომელიც უკვე 8 წელიწადია აშშ-ში ცხოვრობს, განაცხადა, რომ, სულ მცირე, კიდევ ნახევარი წელიწადი დაისვენებს ფეხბურთისგან და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდება სამწვრთნელო სამუშაოს. სავარაუდოდ, კლინსმანი აშშ-ს ნაკრებს ჩაიბარებს და ამ გუნდს 2010 წლის მუნდიალისთვის მოამზადებს.

## დელ პიეროს 200 გოლი

შაბათს ტურინის "იუვენტუსის" კაპიტანმა ალექს დელ პიერომ თავისი მეორასე გოლი გაიტანა "ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში. "ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გოლია ჩემს კარიერაში. ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს - გუნდთან ერთად დავბრუნდე ელიტურ დივიზიონში", - განაცხადა ალექსმა.

## ბექჰემი ამერიკაში გადადის

სულ უფრო ბევრს საუბრობენ დევიდ ბექჰემის შესაძლო ტრანსფერზე. ინგლისელი ვარსკვლავი კაპელოს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, რის გამოც დევიდმა "რეალთან" კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა. იყო ვარაუდი, რომ "ბეტსი" ინგლისში დაბრუნდებოდა, თუმცა გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად ბრიტანელი სუპერვარსკვლავი კარიერას აშშ-ში გააგრძელებს და ლოსანჯელესურ კლუბში ითამაშებს ფეხბურთს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დევიდისთვის კარიერის გაგრძელება კალიფორნიაში იდეალური ვარიანტი იქნება. ბექჰემი ხომ მხოლოდ ფეხბურთელი არ არის. ის თითქმის პოპ-ვარსკვლავის პოპულარობით სარგებლობს.

## კარვალიოთი "ბარსა" დაინტერესდა

მოსკოვის ცსკას ბრაზილიელ ვარსკვლავს დანიელ კარვალიოს უკვე არაერთმა გრანდმა დაადგა თვალი. აშკარაა, რომ არმიელებს ამ ნიჭიერი ბრაზილიელის შენარჩუნება გაუჭირდებათ. ჯერ კიდევ ზაფხულში კარვალიოს რამდენიმე ფრანგული კლუბი იწვევდა, მაგრამ, ეტყობა, დანიელს უფრო დიდი ამბიციები აქვს, ვიდრე უბრალოდ ფრანგულ გუნდში თამაშია და მან ზაფხულში მოსკოვში დარჩენა ამჯობინა. ახლა კი ცნობილი ხდება, რომ ბრაზილიელი პლეიმეიკერით კატალონიური "ბარსელონა" დაინტერესდა. ესპანურ გაზეთ "ასის" ცნობით, კარვალიო ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადავა "ბარსელონაში".

არ გაუშვათ ბოლო შანსი!

EKO GEORGIA

შპს „ეკო ჯორჯია" აცხადებს ტენდერს გაყიდვაზე.

იყიდება 4020 მ² მიწის ფართობი, მდებარე ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74, მე-8 სართული, შპს „ეკო ჯორჯია"
ტელ: 29 23 64; 25 15 07; 25 18 67
საკონტაქტო პირი: ლიკა ფირანიშვილი მობ. 877 41 43 72

ბრიტანული ენის დარბაზი
გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.
■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიფიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)
■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის. სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**

ფეხბურთი

# კაპელოს ბექჰემი არ აინტერესებს

დევიდ ბექჰემი მადრიდის "რეალისთვის" კარგა ხნის განმავლობაში იყო ნამდვილი ოქროს საბადო. ეტყობა, ბრიტანელი ვარსკვლავი, როგორც ფეხბურთელი, "სამეფო კლუბს" თავიდანვე არ სჭირდებოდა. დევიდი მადრიდელებისთვის ფულის კეთების სიმბოლოდ იქცა. ფეხბურთელსა და კლუბს შორის არსებული კონტრაქტის თანახმად, ბექჰემის სარეკლამო შემოსავლების სოლიდური ნაწილი "რეალს" ეკუთვნოდა. გარდა ამისა, "რეალმა" ბექჰემის იმდენი მაისურა გაყიდა და ისეთი საკლუბო რეკორდი დაამყარა, რომელსაც კიდევ კარგა ხანს ვერავინ მოხსნის.



ბექჰემი "რეალს" ტოვებს.

ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. "რეალის" მთავარ მწვრთნელად ფაბიო კაპელო დაინიშნა, რომელიც დიდად არ არის დაინტერესებული კლუბის ბიზნეს-საქმიანობით და მხოლოდ საფეხბურთო ასპექტები აღელვებს. კაპელომ დევიდი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, რაც ბრიტანელ ვარსკვლავს არ ესიამოვნა და გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა.

კაპელომდე დევიდს "რეალის" ძირითადში ადგილი გარანტირებული ჰქონდა და ხშირად მინდორზე საუკეთესოც კი იყო, მაგრამ დონ ფაბიოს სათამაშო სქემაში დევიდის ადგილი აღარ მოიძებნა. ახლა კლუბმა უნდა გადაწყვიტოს, რა ბედი ეწევა ბექჰემს.

ბრიტანელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში კაპელო ამბობს: "ბექჰემს მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თუ ვათამაშებ. ჯერჯერობით მიმაჩნია, რომ ის ძირითადში არ უნდა იყოს. სულ არ მაინტერესებს რა ხდება მის კონტრაქტთან დაკავშირებით. ეს კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა. თუ უნდათ, გააგრძელონ კონტრაქტი დევიდთან, მე კი ბექჰემს ძირითადში თამაშის გარანტიას ვერ მივცემ".

როგორც ხედავთ, კაპელო შეუვალია. თავის მხრივ, პოზიციებს არც ბექჰემი თმობს. მან უკვე თქვა, რომ თუ ისევ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა, კონტრაქტს არ გააგრძელებს და კლუბს შეიცვლის. სავარაუდოდ, დევიდის ტრანსფერი ამ ზამთარს უნდა განხორციელდეს. გამორიცხული არ არის, რომ მადრიდელთა ვარსკვლავმა ამერიკისკენ აიღოს გეზი. თუმცა არც მისი ბრიტანეთში დაბრუნება უნდა გაგვიკვირდეს.

# არგენტინელი ვუნდერკინდი "არისტოკრატების" წინააღმდეგ

ერთი წლის წინ "ჩელსისა" და "ბარსელონას" დაპირისპირების ბედი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში არგენტინელმა ვუნდერკინდმა ლეო მესიმ გადაწყვიტა. კატალონიელთა ამომავალმა ვარსკვლავმა "სტემფორდ ბრიჯზე" ნამდვილი ფოიერვერკი მოაწყო და განაპირობა კიდეც რაიკაარდის გუნდის გამარჯვება. სულ რაღაც ორი კვირის წინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში "ჩელსიმ" რევანშის აღება შეძლო. მესი, ისევე როგორც მთელი "ბარსა", უფერულად გამოიყურებოდა. ახლა იმისთვის, რომ ესპანური გრანდი შემდეგ ეტაპზე გავიდეს, აუცილებელია "ჩელსის" დამარცხება "ნოუ კამპზე". ამ მატჩის წინ ესპანელი ჟურნალისტი ლეო მესის შეხვდა. ფეხბურთელის ინტერვიუ გაზეთ "მუნდო დეპორტივოში" გამოქვეყნდა.



მესი "ჩელსის" გამწარებას აპირებს.

**- ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში იძულებითი დასვენება გამოგივიდათ. ალბათ მოუთმენლად ელით მინდორზე გასვლას და "ჩელსის" წინააღმდეგ თამაშს.**

- მხოლოდ მე კი არა, მთელი გუნდი. ეს მატჩი ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, მარცხის გამო რევანში გვაქვს ასაღები. მეორეც, სატურნირო თვალსაზრისით მოგება აუცილებლად გვჭირდება. ასე რომ, მოტივაციის ნაკლებობას არ ვუჩივით.

**- რას ფიქრობთ, როცა თქვენ და თქვენი თანაგუნდელები "ჩესლიზე" საუბრობთ?**

- ეს არის ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც უაღრესად მაღალი დონის მწვრთნელი ჰყავს. თუმცა არც ჩვენ ვართ ნაკლებნი.

**- თქვენი აზრით, რა მოხდა ორი კვირის წინ, რატომ დამარცხდით ლონდონში?**

- პირველ ტაიმში გოლის გატანის რამდენიმე შანსი ვერ გამოვიყენეთ. თანაც, ჩვენს კარში, ცოტა არ იყოს, შემთხვევითი გოლი გავიდა და ამან ჩვენი თამაში არია.

**- იმ მარცხმა სატურნირო მდგომარეობა ძალიან გაგიფუჭათ?**

- თავიდანვე ვამბობდით, რომ ურთულეს ჯგუფში მოვხვდით. ვიცოდით, რომ არც ერთ მატჩში იოლი გასეირნება არ გველოდა.

**- გუნდში ხომ არ არსებობს იმის შიში, რომ შემდეგ ეტაპზე ვერ გახვალთ?**

- ამაზე არც კი ვფიქრობთ. მეტიც: დარწმუნებული ვართ, რომ ჯგუფური ეტაპის ბარიერს აუცილებლად გადავლახავთ.

**- რა არის აუციელებლი "ჩელსის" დასამარცხებლად?**

- უნდა ვითამაშოთ ისე, როგორც შეგვიძლია. ლონდონური მატჩის პირველ ტაიმში ურიგოდ არ გამოვიყურებოდით, "ნოუ კამპზე" კი ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ და აუცილებლად მოვიგებთ.

**- "ჩელსის" ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ?**

- დიდიე დროგბა. უნიკალური ფორვარდია. "ჩელსისთვის" შეუცვლელ ფეხბურთელად მიმაჩნია.

**- მცველებიდან?**

- ჯონ ტერი. ის ნამდვილი ლიდერია.

**- გავიხსენოთ ორი კვირის წინანდელი მატჩი. ილარიოს კარგმა თამაშმა არ გაგაკვირვათ?**

- არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. მის შესახებ ბევრს წერდნენ. თუმცა ერთი რამ ფაქტია: ლონდონურ კლუბში მესამე მეკარედ ითვლებოდა. ჩემი აზრით, ლონდონური მატჩი მის კარიერაში საუკეთესო იყო.

**- "ჩელსისთან" მატჩისთვის რაიმე განსაკუთრებული მეთოდით ხომ არ ემზადებით?**

- არა. რატომ უნდა მოვემზადოთ განსაკუთრებულად? ეს ჩვეულებრივი თამაშია, როგორც ნებისმიერი სხვა, რომელშიც მოგება გვჭირდება. ჩვენ ყველა მატჩს მოსაგებად ვთამაშობთ.

**- "სტემფორდ ბრიჯზე" მეტოქემ მოქმედების საშუალება არ მოგცათ. ახლა რას იზამთ?**

- თამაშის წინ მეტოქეზე არ ვფიქრობ. შევეცდები ჩემი ფეხბურთი ვაჩვენო და მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება.

**- მატჩის წინ რაიმე სპეციალური რიტუალი ხომ არ გაქვთ?**

- თამაშზე არ ვფიქრობ მანამ, სანამ მინდორზე არ გავალ.

**- თქვენი თანაგუნდელების დიდი ნაწილი მატჩის წინ ლოცულობს. თქვენ?**

- მეც. ეს ნორმალურია.

**- მატჩის წინ ვინმე ხომ არ გირეკავთ ხოლმე?**

- ჩემი ძმა. და თავის ერთი წლის ბიჭთან მალაპარაკებს. მართალია, პატარამ ჯერ ლაპარაკი არ იცის, მაგრამ რაღაც ბგერები მესმის და ძალიან მიხარია ხოლმე.

**- თქვენი გუნდისთვის რა შედეგი იქნება მისაღები?**

- 2:0. რა თქმა უნდა, ჩვენს სასარგებლოდ.

**- და, რა თქმა უნდა, გოლები რომ თქვენ გაიტანოთ...**

- რატომაც არა.

**- როგორ ფორმაშია რონალდინიო?**

- ფანტასტიკურში. არ მესმის, რატომ არ ასვენებთ. ის ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებს გუნდისთვის. შესაძლოა ზოგჯერ მისი თამაში ისეთი სანახაობრივი არ იყოს, მაგრამ გუნდისთვის უაღრესად სასარგებლოა. ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და ბედნიერი ვარ, რომ მის გვერდით მიწევს თამაში.

**- და მაინც, ახლა ის მთლად კარგ ფორმაში არ არის. თანაგუნდელები თუ ამხნევებთ?**

- დაანებეთ თავი და ყველაფერი კარგად იქნება. გამხნევება არ სჭირდება. თავადაც მშვენივრად იცის, რომ გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და მის გარეშე თამაში ჩვენთვის წარმოუდგენელია.

**- სამუელ ეტოოს არყოფნა "ბარსელონას" აშკარად დაეტყო...**

- რა თქმა უნდა, ის ჩვენი მთავარი მეგოლეა და მის გარეშე თამაში ჭირს.

**- ბოლო დროს "ბარსას" ხშირად აკრიტიკებენ. გუნდში ამის თაობაზე თუ გისაუბრიათ?**

- რა თქმა უნდა. და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს კრიტიკა აღარ გვესმოდეს.




ცნობილი სახალხო მკურნალი **ანდრო სამხთუაშვილი** იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

ჩვენ მივდევთ დროს!

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ულტრათანამედროვე
სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს
ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### მომავალი ათწლეულის საუკეთესო პროფესიები

ამერიკულმა ჟურნალმა Money Magazine-მ შეადგინა უახლოესი მომავლის ყველაზე შემოსავლიანი და პოპულარული პროფესიების რეიტინგი, რომლის მიხედვითაც, 2016 წლისათვის ყველაზე კარგად კომპიუტერული, განათლების და მედიცინის სფეროს წარმომადგენლები და ფინანსური ანალიტიკოსები იცხოვრებენ. ეროვნული სტატისტიკური ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვლიეს მხოლოდ ის პროფესიები, რომელთა საშუალო წლიური ანაზღაურება 50 ათას დოლარს აღემატება და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

რეიტინგში პირველი ადგილი პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერმა დაიკავა, მეორე კი კოლეჯის მასწავლებელმა. როგორც აღინიშნა, ამ პროფესიებზე მოთხოვნილება გამუდმებით მატულობს. მესამეზე მედიცინის სფეროს წარმომადგენლები გავიდნენ, რომლებიც, მართალია, საკმაოდ დიდ ანაზღაურებას იღებენ, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღწევად ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სწავლა სჭირდებათ და თანაც, ამ სფეროში ერთობ სერიოზული კონკურენციაა. მეოთხეზე ფინანსური კონსულტანტის პროფესია გავიდა, მეხუთეზე კი ბაზრის მკვლევის.

# ნიკი, რომელიც სხვის პროექტებს ხმარდება

## ქართველი დიზაინერის მსოფლიო კონცეფცია

მერაბ ლორთქიფანიძე

*საქვეყნოდ ცნობილი, ელეგანტურობის კონკურსი "ვილა დ'ესტე" (კონკორსო დ'ელეგანცა ვილა დ'ესტე), იმითაა ცნობილი, რომ ცნობილ რარიტეტულ ავტომობილებთან ერთად, იქ მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები თავიანთი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ შექმნილ კონცეპტუალურ ნამუშევრებსაც გამოფენენ ხოლმე. ხანდახან კი, დამთვალიერებელი შეიძლება მსოფლიო პრემიერის მოწმეც კი გახდეს.*





B4



### რისთვის გვჭირდება სომელიეს რჩევა

B3

# სად შევინახოთ ფული?

## "თიბისი ბანკი" ანაბრების მრავალსახეობას გვთავაზობს

*უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ბანკი სწორედ იმ ორგანიზაციად იქცა, რომელსაც მოსახლეობა ენდობა და, მეტიც, პარტნიორად მიიჩნევს, რომელსაც შეიძლება დაგროვილი ფული ანდო, დახმარება სთხოვო ან უბრალოდ კონსულტაციისათვის მიაკითხო, თანაც, საბოლოო შედეგით კმაყოფილი და მოგებული დარჩე. "თიბისი ბანკში" დანერგილი დეპოზიტების მრავალსახეობისა და თავისებურებების, ასევე მოსახლეობისათვის მათი გამოყენების სარგებლიანობისა თუ მომგებიანობის შესახებ "თიბისი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი ნინო მასურაშვილი საუბრობს.*

- სტანდარტული ვადიანი ანაბარი
- ვისთვის არის "ვადიანი+"?
- ზრდადი შემნახველი - ყველასათვის ხელმისაწვდომი ანაბარი
- ყველაზე მოქნილი ანაბარი
- როგორ ეხმარება ბანკი კლიენტს არჩევანში
- იჩქარეთ, საშემოდგომო აქციის დასრულებამდე დარჩა 30 დღე
- საჩუქარი ქალბატონებს
- საჩუქარი ავტომფლობელებს

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3083 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9823 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4731 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7375 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8114 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1323 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2969 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3032 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2150 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4165 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3341 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1461 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1493 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2988 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1886 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2473 |
| 1 | ისრაელის სიქელი | ILS | 0,4022 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5596 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1648 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4478 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3143 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2664 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5589 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5837 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0964 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4531 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5136 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4135 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4694 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8100 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0086 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1369 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4416 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2385 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4026 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2195 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |




# უძრავი ქონება წარმტაც ბარბადოსზე

გოჩა ქიმუცაძე

*რა სჯობია კარიბის ზღვისა და ატლანტიკის ოკეანის გასაყარზე მდებარე ულამაზეს კუნძულზე საკუთრების ქონას, სადაც მთელი წლის განმავლობაში დიდებული ამინდებით, პლაჟით და ზღვით დატკბებით. მით უმეტეს, თუ თქვენი საკუთრება ერთობ პრესპექტიული იქნება და გვარიან მოგებასაც მოგიტანთ.*





B3

## საქართველო ევროპის საბჭოს განვითარების ბანკში

საქართველო ევროპის საბჭოს განვითარების ბანკში წევრიანდება. შესაბამისი პროცედურა ჩვენმა ქვეყანამ მიმდინარე წლის მარტიდან დაიწყო. აპრილის დასაწყისში საქართველომ ევროპის საბჭოს განვითარების ბანკისგან გაწევრიანების ოფიციალური პირობები და დამფუძნებელი ხელშეკრულება მიიღო, რომელიც ამჟამად უკვე შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების ბოლო ეტაპს გადის, რაც პარლამენტში დოკუმენტის რატიფიკაციას გულისხმობს. დამფუძნებელი ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, მთავრობა დოკუმენტს უკვე ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს გადაუგზავნის. დეკლარაციის მიღებისთანავე, საქართველო ბანკის სრულუფლებიან წევრად ჩაითვლება. 1956 წელს დაფუძნებული ბანკის ყველაზე მსხვილი აქციონერები არიან: გერმანია, საფრანგეთი და იტალია. მათთან ერთად ბანკის დამფუძნებელთა სიაში შედიან: ბელგია, საბერძნეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი და თურქეთი. პოსტ-საბჭოთა სივრციდან მისი წევრები არიან: მოლდოვა, ლატვია და ესტონეთი. გასულ წელს ბანკის საწესდებო კაპიტალმა 3,295 მილიარდი ევრო შეადგინა.

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი პრიორიტეტულად ჯანდაცვისა და სოციალური, აგრეთვე, განათლების, გარემოს დაცვისა და კულტურის სფეროს განვითარების პროექტებს აფინანსებს და მის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ: ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები და ემიგრანტები; ბუნებრივი კატასტროფით დაზარალებულები; სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობა; მიუსაფარი ბავშვები და უნარშეზღუდული პირები; ეთნიკური უმცირესობები. ბანკი გრძელვადიან სესხებს (20-წლიან) 5-7-წლიანი შეღავათიანი პერიოდით სწორედ სოციალური პროექტების დაფინანსებისათვის გასცემს. საქართველოსთვის გაწევრიანების ოფიციალური პირობებით შემოთავაზებულია 5,928,000 ევროს ოდენობის წილი, რაც ბანკის აქციების 0,18%-ია. საბოლოო ჯამში, საქართველოს გაწევრიანების შენატანი 2 391 000 ევროა. ამ თანხის გადახდა ოთხ წლიურ თანაბარ შენატანად უნდა მოხდეს. ბანკში გაწევრიანების შემდეგ კი პირველ ორ წელიწადში საქართველოში შესაძლებელია, 30-40 მილიონი ევროს მოცულობის ინვესტიციები განხორციელდეს. ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის შემოთავაზებული პირობები ადასტურებს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები წარმატებულად აფასებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, სრულ მხარდაჭერასა და ნდობას უცხადებენ ქვეყნის მთავრობას სამომავლო რეფორმების გატარების მიმართულებით. **24 საათი**

## რუსეთის ბლოკადა საქართველოს ბიუჯეტს სერიოზულ დანაკარგებს მოუტანს

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ბლოკადა საქართველოს ბიუჯეტს წლის ბოლოსთვის სერიოზულ დანაკარგებს მოუტანს. "როდესაც რუსეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა ჩაიკეტა, სანამ გადამზიდავი ფირმები სხვა ალტერნატიულ გზებს მოძებნიდნენ, მათ გარკვეული დანაკარგი უკვე განიცადეს. ამავდროულად, ის პროდუქცია, რომელიც რუსეთის ბაზარზე იყიდებოდა, სხვა ქვეყნის ბაზრებზე აღმოჩნდა. ბაზრის დივერსიფიკაციის პირობებში მწარმოებლებმა სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადეს, რაც წლის ბოლოს მოგების გადასახადზე სერიოზულად აისახება. შესაბამისად ბიუჯეტს სოლიდურ თანხა დააკლდება, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე დღეს აქცენტს არავინ აკეთებს," - მიაჩნია ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს დავით ნარმანიას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეკონომიკის სამინისტრომ საპრივატიზაციოდ 7 ობიექტი გამოიტანა

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ 7 ობიექტი გამოიტანა, საიდანაც მილიონ 100 ათასი დოლარის მიღებას ვარაუდობს. საპრივატიზაციოდ გამოტანილია ლაგოდეხის სოფელ ბაისუბნის ბაზარის შენობა, რომლის გასაყიდი ფასი 300 ათასი დოლარია. იყიდება, აგრეთვე, დუშეთის სოფელ წითელისოფლის ბაზრის შენობაც, საიდანაც 100 ათასი დოლარის მობილიზება იგეგმება. აღნიშნული ობიექტები 30 ნოემბერს გასხვისდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა 20-21 ნოემბერს დაიწყება

პარლამენტში სესიაზე ბიუჯეტის განხილვის დაწყებას 20-21 ნოემბრისთვის ვარაუდობენ. როგორც საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ ბიუროს სხდომაზე განაცხადა, 1 ნოემბრისთვის მთავრობამ პარლამენტს ბიუჯეტი ხელახლა უნდა წარუდგინოს, რადგან გათვალისწინებული იქნება ის შენიშვნები, რაც პარლამენტს მთავრობის მიმართ გააჩნია, და ირაკლი კოვზანაძე ფინანსთა სამინისტროს სთხოვს, რომ ჩატარდეს სემინარები და შეხვედრები, რათა სამინისტროების მიხედვით მოხდეს ბიუჯეტის დაწვრილებითი განხილვა. 21 ნოემბრისთვის კი უკვე ყველანაირი შესწორებაშეტანილი ბიუჯეტის პროექტის განხილვა სესიაზე დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული ბიზნესის განვითარებას ყველა საბაჟო გადასახადის განულება სჭირდება

კეიკოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი ტომ ბალნერი მიიჩნევს, რომ საქართველომ კიდევ მრავალი რეფორმა უნდა გაატაროს, მათ შორის, საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაცია.

"გასაგებია, რომ საბაჟო კოდექსის ლიბერალიზაცია განხორციელდა, თუმცა ინვესტიციების მოსაზიდად და ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა ყველა საბაჟო გადასახადის განულება, რაც თავისთავად ექსპორტსა და იმპორტს ერთნაირად წაახალისებს და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს. საქართველომ ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე უნდა იზრუნოს და სხვა ბაზრების ათვისება დაიწყოს," - განაცხადა ტომ ბალნერმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ცხრა თვეში "საქართველოს რკინიგზით" 2 მლნ 908 ათასი მგზავრია გადაყვანილი

შპს "საქართველოს რკინიგზის" მუშაობის ცხრა თვის შედეგების მიხედვით, რკინიგზაზე მნიშვნელოვანდ გაიზარდა მგზავრთნაკადი. "საქართველოს რკინიგზის" მონაცემებით, 2006 წლის ცხრა თვის განმავლობაში 2 მლნ. 908 ათასი მგზავრია გადაყვანილი, რაც 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 239 ათასი მგზავრით მეტია. 2006 წლის ცხრა თვის განმავლობაში სამგზავრო გადაყვანებიდან შემოსავლები 11 მლნ. 675 ათასი ლარი დაფიქსირდა, რაც 2 მლნ. 906 ათასი ლარით აღემატება 2005 წლის ანალოგიურ პერიოდის შემოსავლებს (2005 წლის ცხრა თვის მონაცემებით, შემოსავლებმა სამგზავრო გადაყვანებიდან 8 მლნ. 769 ათასი ლარი შეადგინა). **ჯი-ეიჩ-ენი**

# სად შევინახოთ ფული?

პირველი გვერდიდან

### სტანდარტული ვადიანი ანაბარი

დღეისათვის "თიბისი ბანკში" დანერგილია რამდენიმე ტიპის დეპოზიტი, რომლებიც ერთმანეთისგან როგორც პირობებით, ასევე შინაარსით და მიზნობრიობით განსხვავდებიან.

ყველაზე გავრცელებული და სტანდარტულია ვადიანი დეპოზიტი. დეპოზიტის ეს სახეობა შესაფერისია იმ შემთხვევისთვის, როდესაც ადამიანს ერთბაშად უჩნდება დიდი მოცულობის თანხა. იცის, რომ ეს ფული მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ დასჭირდება. მაგალითად, ადამიანმა გაყიდა მანქანა ან ბინა და მომდევნო სამი თვის განმავლობაში ის ამ თანხის გახარჯვას არ აპირებს. ასეთ შემთხვევაში ვადიანი ანაბარი მისთვის ყველაზე მისაღებია.

ვადიანი ანაბრის მფლობელი ადამიანთა ის კატეგორიაც შეიძლება იყოს, რომელიც ფულს გარკვეული პერიოდის განმავლობაში აგროვებდა. მაგალითად, პედაგოგები, რომლებიც აბიტურიენტებისგან ყოველთვე იღებენ შემოსავალს და წლის ბოლოს მათ დაუგროვდათ გარკვეული თანხა, რომელიც აღარ შეიძლება, სახლში გაჩერდეს. პედაგოგმა ზუსტად იცის, რომ ამ ფულს მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში არ დახარჯავს. ასეთ შემთხვევებში ზედგამოჭრილია სტანდარტული ვადიანი ანაბარი.

აქვე აღვნიშნავდი, რომ "თიბისი ბანკის" ვადიანი ანაბრების პორტფელში ყველაზე დიდი პროცენტი რაოდენობრივად ზუსტად ასეთი ტიპის ანაბრებს უჭირავს, როდესაც ბანკში კონკრეტული თანხა ფიქსირებული ვადით არის შემოტანილი.

### ვისთვის არის "ვადიანი+"?

სტანდარტული ანაბარი იყო ანაბრებს შორის პირველი. მერე პირობების დახვეწა მოხდა, რადგან კლიენტის ქცევა იცვლებოდა. შესაბამისად, ბანკი მათ მოთხოვნებზე რეაგირებას ახდენდა და ახალ-ახალი ტიპის ვადიანი ანაბრების შემოღება დაიწყო.

ერთ-ერთი ასეთია "ვადიანი+" ანაბარი. რითი განსხვავდება ეს ანაბარი ჩვეულებრივი, სტანდარტული ვადიანი ანაბრისგან? იგივე, მასწავლებლის ქეისი რომ გავიხსენოთ: დავუშვათ, მასწავლებელს ძალიან ბევრი მოსწავლე ჰყავს. პედაგოგი იმდენ შემოსავალს იღებს, რომ მას გარკვეული თანხის გადადება, დაგროვება შეუძლია. ვადიანი პლიუსის შემთხვევაში ამ პედაგოგს შეუძლია, თავის გახსნილ ანაბარზე ყოველთვე დაამატოს ეს ზედმეტი თანხა, მაშინ, როცა სტანდარტული ანაბრის შემთხვევაში თანხის დამატება დაშვებული არ არის.

### ზრდადი შემნახველი - ყველასათვის ხელმისაწვდომი ანაბარი

თუკი ადამიანს უფრო დაბალი, მაგრამ სტაბილური შემოსავალი აქვს, მისთვის ყველაზე შესაფერისია "ზრდადი შემნახველი" ანაბარი. ეს ანაბარი არის უკვე ფართო მასებისთვის და მაქსიმალურად ყველასათვის ხელმისაწვდომი პროდუქტი. ზრდადი შემნახველი ანაბრის შემთხვევაში პირველადი და შემდგომშიც შენატანების მინიმალური ზღვარი ბევრად დაბალია, ვიდრე ვადიანი ანაბრების შემთხვევაში. ანაბრის ეს სახეობა განსაკუთრებით მათთვის არის ხელსაყრელი, ვისაც ხელფასი პლასტიკურ ბარათზე ერიცხება. ასეთ შემთხვევაში კლიენტს ბანკი დანაზოგის გაკეთებაში ეხმარება და მის ანაბარზე ავტომატური გადარიცხვების საშუალებით ხელფასიდან ირიცხება გარკვეული თანხა. ეს მოსახერხებელია თუნდაც იმიტომ, რომ მეანაბრეს ყოველთვე ბანკში სიარული და ანაბარზე თანხის დამატება არ უწევს.

დავუშვათ, კლიენტი არ იყენებს ავტომატური გადარიცხვების სისტემას და მას ბანკში მისვლა უწევს; მოხდა ისე, რომ კლიენტმა ბანკში დროულად მისვლა და ანაბარზე თანხის დამატება ვერ მოახერხა. არც ეს არის პრობლემა, რადგან ბანკი კლიენტს უფლებას აძლევს, ანაბარზე თანხის განთავსება ორჯერ გამოტოვოს.

### ახალი ანაბარი ქართულ ბაზარზე

"ჩემი სეიფი" - ეს არის სრულიად ახალი საბანკო პროდუქტი, რომელიც წელს დაინერგა ბაზარზე და "თიბისი ბანკმა" პირველმა შესთავაზა კლიენტებს. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ანაბრის ეს სახეობა ხელსაყრელი? ვთქვათ, ადამიანმა გაყიდა რაღაც ნივთი, მიიღო ერთბაშად დიდი შემოსავალი ან დივიდენდი, და ზუსტად არ იცის, ეს თანხა როდის დასჭირდება. ასეთ შემთხვევაში მისთვის ზედგამოჭრილია "ჩემი სეიფი" - ეს არის ანაბარი მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ამ შემთხვევაში ადამიანს შეუძლია, მის ანაბარზე არსებული თანხის მისთვის სასურველი ნაწილი ნებისმიერ დროს გამოიტანოს, მაშინ, როცა ვადიანი ანაბრის ან ზრდადი შემნახველი ანაბრის შემთხვევაში ვადამდე ადრე თანხის გახარჯვა დაშვებული არ არის.

### ყველაზე მოქნილი ანაბარი

არის კიდევ ერთი, ყველაზე მოქნილი ანაბრის სახეობა - ეს არის შემნახველი ანაბარი. ის ძალზე მოხერხებულია რამდენიმე მიზეზის გამო: კლიენტს ანგარიშიდან ნებისმიერ დროს ნებისმიერი მოცულობის თანხის დამატება და გატანა შეუძლია. შემნახველი ანაბრის შემთხვევაში მოქმედებს ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი - 2%, თუმცა ის ანაბრებს შორის ყველაზე მოქნილია. კლიენტს ამ შემთხვევაში არანაირი შეზღუდვა არა აქვს. ანაბრის ეს სახეობა ყველაზე უფრო ხელსაყრელია მათთვის, ვისაც ხშირი ბრუნვები აქვს. მაგრამ თუკი კლიენტს არა აქვს სწრაფი ბრუნვები, მას ერთჯერადად უფრო დიდი თანხები შემოაქვს და შემდეგ ნელ-ნელა აკლებს ანგარიშიდან თანხას, მაშინ მისთვის უმჯობესია "ჩემი სეიფის" გახსნა.

### როგორ ეხმარება ბანკი კლიენტს არჩევანში

მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა ისეთი კატეგორიაა, რომელსაც აქვს გარკვეული თანხა და მისი ბანკში შენახვა სურს, თუმცა არ იცის, როგორ, და რა პირობები იქნება მისთვის ხელსაყრელი. ასეთ დროს მას ანაბრის არჩევაში ეხმარება ანგარიშის გახსნისა და კონსულტაციების მენეჯერი. თავდაპირველად მენეჯერი უსმენს კლიენტს, იგებს, რა მიზნით სჭირდება მას ბანკში თანხის შენახვა, და ურჩევს, ყველაზე უფრო მისთვის ანაბრის რომელი ტიპი ან, ზოგადად, საბანკო სერვისია მისაღები. ასეთი გასაუბრება ეხმარება კლიენტს და ბანკს ზუსტად იმის დადგენაში, თუ რა საბანკო პროდუქტი სჭირდება მომხმარებელს.

საერთოდ უნდა გითხრათ, რომ ძალიან ცოტაა ისეთი მომხმარებელი, რომელიც ბანკში მოდის და პირდაპირ ამბობს, თუ რა ტიპის ანაბარი სურს. ასეთი შეიძლება ასში ერთი იყოს, ისიც ძველი კლიენტი, რომელსაც ამის გამოცდილება წარსულში ჰქონდა. უმეტესად არიან ახალი კლიენტები, რომლებიც ბანკში პირველად მოდიან, ან ასეთი ტიპის ოპერაცია მანამდე არ ჩაუტარებიათ და ზუსტად არ იციან, რა ტიპის ანაბარი სჭირდებათ.

### იჩქარეთ. საშემოდგომო აქციის დასრულებამდე დარჩა 30 დღე

ამჟამად ბანკში მიმდინარეობს საშემოდგომო აქცია, რომელიც ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება. აქციის მიზანია დეპოზიტების მობილიზება, მაგრამ ამავდროულად "თიბისი ბანკი" ბენეფიტებს დამატებით სარგებელს სთავაზობს. კერძოდ, "ვადიანი ანაბრისა" და "ჩემი სეიფის" გახსნის შემთხვევაში კლიენტს ერიცხება დამატებითი საპროცენტო სარგებელი - ლარებში 2%, ხოლო დოლარისა და ევროს შემთხვევაში 1%.

გარდა ამისა, თუკი საშემოდგომო აქციის პერიოდში მეანაბრე გახსნის ანაბარს 4 ათასი აშშ დოლარის და მეტის ოდენობით, ბანკი მას უფასოდ სთავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევას. ასეთ დროს მეანაბრე სარგებლობს "ჯიპიაი ჰოლდინგის" ჯანმრთელობის დაზღვევით იმ ვადით, რა ვადითაც აქვს მას ბანკში ანაბარი გახსნილი.

### საჩუქარი ქალბატონებს

მთელი წლის განმავლობაში "თიბისი ბანკმა" ბაზარზე საკმაოდ ბევრი სიახლე დანერგა, და ამ წლის მიწურულს გვსურს მომხმარებელს კიდევ ორი ახალი პროდუქტი შევთავაზოთ. ერთ-ერთი უკვე მზად არის, ეს არის "თიბისი კოსმო", რომელმაც განსაკუთრებით ქალბატონები გაახარა. ბარათი გამოშვებულია 5 დიზაინით, რომელსაც ჩვეულებრივი სტანდარტული ფუნქციები აქვს, თუმცა ამ ბარათით სარგებლობის შემთხვევაში ქალბატონები სავაჭრო ცენტრებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ დარბაზებში, სილამაზის სალონებსა და სხვა დაწესებულებებში, ანუ იქ, სადაც ქალბატონები ყველაზე ხშირად სტუმრობენ, ისარგებლებენ ფასდაკლებებით. ამ დაწესებულებების რიცხვი დღითიდღე იზრდება. წარმოიდგინეთ, ბარათების გაცემა ჯერ მხოლოდ ახლა იწყება და ამ დროისთვის 40-ზე მეტი ობიექტია ჩართული ამ პროექტში. "თიბისი კოსმოს" მომხიბვლელობა კიდევ ისაა, რომ ის განსხვავებულია, სპეციალურად ქალებისთვის დამზადებული დიზაინით.

### საჩუქარი ავტომფლობელებს

მამაკაცები რომ არ დაგვეჩაგრა, "თიბისი ბანკი" მათთვის იწყებს ახალ აქციას "ლუკოილთან" ერთად. წლის ბოლომდე გამოვუშვებთ ახალ ბარათებს "თიბისი ლუკოილი", რომელიც მანქანის მფლობელებისთვის არის განკუთვნილი. ამ ბარათის სარგებლიანობა გამოიხატება იმაში, რომ თუ ავტომობილის მფლობელი ამ ბარათის მეშვეობით "ლუკოილის" ავტოგასამართ სადგურებში ჩაასხამს ბენზინს, მიიღებს ბონუსებს, ანუ მას ყოველთვე გარკვეული თანხა უკან დაუბრუნდება, ოღონდ სანვავის სახით. დამატებით, ამ აქციის ფარგლებში იქნება ლატარია. გათამაშებაშია ავტომობილი, შავი ფერის "პეჟო 307", რომელიც გათამაშდება 1 წლის თავზე და მისი მფლობელი გახდება ერთი, ყველაზე აქტიური მომხმარებელი.




## მშპ-ს ზრდაში წვლილი მშენებლობის სექტორმა შეიტანა

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მშენებლობის სექტორმა შეიტანა. სოფლის მეურნეობის სფერო ტრადიციული მერყეობით გამოირჩეოდა. თუ 2003 და 2005 წლებში მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში 2 პროცენტი იყო, 2002 და 2004 წლებში სახეზე იყო სასოფლო სამეურნეო აქტივობის კლება, რაც პირველ რიგში, აღნიშნულ წლებში დაფიქსირებული არახელსაყრელი კლიმატური პირობებით და ცუდი მოსავლიანობით აიხსნება. 2005 წელს საფინანსო საქმიანობამ ეკონომიკურ ზრდაში 0,7 პროცენტი შეადგინა, რაც 2,3-ჯერ აღემატება გასულ წლებში დაფიქსირებულ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. მოსალოდნელია, რომ ფინანსური შუამავლობის ზრდის ამგვარი ტემპი 2006 წელსაც შენარჩუნდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სემეკის სხდომაზე ცხრა საკითხს განიხილავენ

ხვალ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) სხდომა გაიმართება. დღის წესრიგით დაგეგმილია 9 საკითხის განხილვა. მათ შორისაა ელექტროენერგიის გატარების ტარიფების საკითხი, რამდენიმე ენერგოკომპანიისთვის ელექტროენერგიის ლიცენზიის ვადის გაგრძელება, ადრე მიღებულ დადგენილებებში ცვლილებების შეტანა ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადება. მათივე ინფორმაციით, სემეკი აპირებს დაამტკიცოს სს "თელასისა" და სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი. ხვალვე ცვლილებები და დამატებები "ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესის და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" 1999 წლის 8 სექტემბრის დადგენილებაშიც შევა. **ინტერპრესნიუსი**

## ქართული ჩაი მალე საექსპორტო ბაზრებზე გამოჩნდება

წყალტუბოს რაიონის სოფელ თერნალში იმერეთის რეგიონში პირველი ელიტური მწვანე ჩაის გადამამუშავებელი მიკრო-ფაბრიკა გაიხსება. ჩაის ფაბრიკა USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის AgVANTAGE-ისა და ადგილობრივი კომპანიის შპს "თერნალი-ჩაის" ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. AgVANTAGE-ის დახმარებით საწარმო აღჭურვილია თანამედროვე დანადგარით, რომელიც მაღალი ხარისხის მწვანე ჩაის საწარმოებლად არის აუცილებელი. ფაბრიკას ყოველწლიურად შეუძლია, 10 ტონა მაღალი ხარისხის დაუფასოებელი კონკურენტუნარიანი ელიტური მწვანე ჩაი აწარმოოს, რომლის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 7 დოლარს, საექსპორტო ბაზარზე კი 15 დოლარს შეადგენს. მომავალში კომპანია გეგმავს 100-გრამიან პაკეტებში დაფასოებული მწვანე ელიტური ჩაის წარმოებას, რომლის ფასი (1კგ) ადგილობრივ ბაზარზე, სავარაუდოდ, 17 დოლარი იქნება. საწარმოს ამუშავებით რვა მუდმივი და 34 სეზონური სამუშაო ადგილი შეიქმნა. სტაბილურად მაღალი ხარისხისა და პროდუქციის მუდმივი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ არენდით 10 ჰექტარი პლანტაცია აიღო, რომელიც ფაბრიკას ყოველწლიურად 45 ტონა მაღალი ხარისხის ჩაის ფოთლით მოამარაგებს. AgVANTAGE-ი კომპანიას ასევე საექსპორტო ბაზრების მოძიებაშიც ეხმარება. იგეგმება ჩაის უკრაინის ბაზარზე გატანა. **GBC**

## გაზი გაძვირდება

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ ენერგობლოკადაზე საუბრობს და აცხადებს, რომ რუსული გაზის ფასი გაიზრდება. "ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გაზის ფასი იქნება პოლიტიკური და არა ეკონომიკური," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა ორშაბათს ჟურნალისტებთან საუბარში, თუმცა გაზის მოსალოდნელი ფასი არ დააკონკრეტა. ამ საკითხს ორშაბათს პარლამენტში პრემიერ-მინისტრთან ფრაქციათა ლიდერების დახურული შეხვედრა მიეძღვნება, რომელიც ოპოზიციის თხოვნით იმართება. წინასწარი განცხადებებით, შეხვედრაზე ყველა ის პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულების საკითხი განიხილება, რომელიც რუსეთ-საქართველოს გამწვავებულ ურთიერთობებს უკავშირდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## მსოფლიო ეკონომიკას დათბობა ემუქრება

გლობალურმა დათბობამ შეიძლება ისეთივე გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვიოს, როგორიც ორ მსოფლიო ომს და დიდ დეპრესიას მოჰყვა, აღნიშნულია ბრიტანეთის მთავრობის დაკვეთით შედგენილ მოხსენებაში. მისი ავტორი სერ ნიკოლას სტერნი გახლავთ, რომელიც თავის დროზე მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი იყო. მის აზრს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ნეიტრალურ ფიგურად ითვლება და მისი დასკვნები მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორებს ემყარება. სტერნის მოხსენების მიხედვით, თუ პლანეტის საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდა გაგრძელდება, მოსალოდნელია წყალდიდობები, შიმშილობა, მასიური მიგრაცია და ცხოველთა მთელი სახეობების განადგურება. სტერნის აზრით, ნახირჟანგის ატმოსფეროში გაფრქვევის დღეს შემცირება მსოფლიოს შიდა პროდუქტის მოცულობის 1 პროცენტი დაუჯდება, ხოლო თუ ეს ახლო მომავალში გაკეთდება, კაცობრიობა 5-დან 20 პროცენტამდე შიდა პროდუქტს იზარალებს. ექსპერტთა განცხადებით, სტერნის პროგნოზები სრულიად რეალურია. მათი აზრით, პლანეტის საშუალო წლიური ტემპერატურის 3 გრადუსით მომატებას მინიმუმ 200 მილიონი ადამიანის მიგრაცია, ყინულის ლღობა და ზღვის დონის ზრდა მოჰყვება, რომელიც მსოფლიოს ყოველ მეოცე მცხოვრებს დაუმექრება. ანალიტიკოსები თვლიან, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ღარიბი ქვეყნები აღმოჩნდება, რომლებიც პირველად იგემებენ წყალდიდობის, გვალვის და პროდუქტების დეფიციტის სიმწარეს.

## 2006 წლის III კვარტალში Statoil-ის მოგება 25 პროცენტით გაიზარდა

ნავთობზე ფასების ზრდის წყალობით, ნორვეგიული გაზისა და სანავთობო ჯგუფის Statoil-ის მოგება ოპერაციებიდან 2006 წლის მესამე კვარტალში 26 პროცენტით გაიზარდა. ივლისი-სექტემბრის პერიოდში მოგებამ ოპერაციებიდან 30,06 მლრდ ნორვეგიული კრონი (4,59 მლრდ დოლარი) შეადგინა წინა წლის ანალოგიური პერიოდის მოგებასთან - 23,87 ნორვეგიულ კრონთან შედარებით. ამ წელს ანალიტიკოსები 28,23 მლრდ კრონის პროგნოზს აკეთებდნენ. "ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ბაზის შექმნას და წარმოებაში ახალ აქტივებს ვრთავთ. ნორვეგიის კონტინენტურ შელფზე წარმოების დროებითი ჩავარდნის მიუხედავად, Statoil კარგ შედეგებს აღწევს" - ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი ჰელგე ლუნგი. Statoil-მა დაადასტურა, რომ 2006 წელს მათ 1,14 მლრ ბარელი ნავთი მოიპოვეს. 2007 წელს მოპოვებული ნავთის რაოდენობა 1.3 მილიონამდე გაიზრდება.

## ეკოლოგიის გაუარესებამ შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკა დაანგრიოს

ასეთ აპოკალიპსურ პროგნოზს ბრიტანელი ეკონომისტი, მსოფლიო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი სერ ნიკოლას სტერნი აკეთებს, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების დაკვეთით შესაძლო ეკოლოგიური კატასტროფის შედეგები გააანალიზა. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ეკოლოგიაზე წელიწადში, ყველაზე მცირე, 350 მლრდ დოლარი უნდა დახარჯონ. თუ ეს ახლა არ გაკეთდა, გლობალური დათბობის შედეგების ლიკვიდაციაზე 20-ჯერ მეტი დაიხარჯება. ზარალი კი მსოფლიო ეკონომიკაში უცებ გადააჭარბებს იმ ზიანს, რაც ორმა მსოფლიო ომმა და 1930-იანი წლების "დიდმა დეპრესიამ" გამოიწვია.

## კოლუმბია და ჩრდილოეთ კორეა ყალბი ვალუტის ბეჭდვის ლიდერები არიან

აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, მსოფლიოში არსებული ათასი ამერიკული ბანკნოტიდან ერთი ყალბია. როგორც აღინიშნა, ყალბი დოლარების დამზადების მხრივ მსოფლიოში პირველობას არავის უთმობს აშშ-ს ნარკოტიკებით მთავარი მომმარაგებელი კოლუმბია, რომელზეც მსოფლიოში არსებული ყალბი ვალუტის 15 პროცენტამდე მოდის. მეორე ადგილზე კი რჩდილოეთ კორეა გახლავთ. ამ ორმა ქვეყანამ უკან ჩამოიტოვა ადრინდელი ლიდერი ბულგარეთი, რომელიც ძირითადად ყალბი ევროს დამზადებაზე გადაერთო.

# უძრავი ქონება წარმტაც ბარბადოსზე

პირველი გვერდიდან

### მზარდი ოფშორი

ბარბადოსი პატარა, 430 კვადრატული კილომეტრის ფართობის კუნძულზე მდებარეობს, რომელიც სულ რაღაც 300 ათასამდე ადამიანითაა დასახლებული. კუნძულის სანაპირო ზოლი 97 კმ სიგრძის წარმტაცი სანაპირო გახლავთ. ქვეყანა ბრიტანეთის თანამეგობრობის დამოუკიდებელი წევრია, რაც უმაღლეს დონეზე განვითარებული საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის არსებობას ნიშნავს, და იმას, რომ ფორმალური მმართველი გაერთიანებული სამეფოს დედოფალია.







ბარბადოსი ოფშორული ზონა გახლავთ და საკურორტო ბიზნესთან ერთად სწორედ ეს არის ქვეყნის შემოსავლის წყარო. ბარბადოსზე შექმნილია სტაბილური, ბიზნესის წარმოებისათვის დიდებული პირობები გონივრულად დივერსიფიცირებული, სუპერპროფესიონალური ფინანსური სექტორით. უმაღლეს დოზეა განვითარებული სატელეკომუნიკაციო სფერო, საგადასახადო და, ზოგადად, კანონმდებლობა ლიბერალური და მოქნილია, როგორც ეს ოფშორს შეესაბამება, რაც ბიზნესის წარმოებისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნის.

თავისთავად ცხადია, ყვავის ტურისტული ბიზნესი. ბარბადოსზე დასვენება ხომ ზეპრესტიჟულად ითვლება. ამასთან, კუნძული ძალზე მიმზიდველია წყალქვეშ ცურვისა და თევზაობის მოყვარულთათვის.

ამიტომაც არის, რომ ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო ვითარდება და, შესაბამისად, უძრავი ქონების ფასიც გამუდმებით მატულობს. მიუხედავად ამისა, ბარბადოსული ქონების შეძენის მსურველთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს. ბოლო დროს ბარბადოსზე უძრავი ქონება წელიწადში საშუალოდ 7-9 პროცენტით ძვირდება და, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ აქაური კაპიტალი ერთობ პოპულარულია მსოფლიოს შოუ-ბიზნესის და სპორტის ცნობილ წარმომადგენელთა შორის.

### ძვირი და სასიამოვნო

ბარბადოსზე საცხოვრებელი ფართი და მიწა შეუზღუდავად იყიდება. უცხოელისათვის საკმარისია ქვეყნის ცენტრალური ბანკის ნებართვის აღება, რაც ფორმალური პროცედურაა და მისი არსი ანგარიშსწორებისას სწორედ ამ ბანკის მომსახურების გამოყენებაში მდგომარეობს. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ბარბადოსზე ხანგრძლივად ყოფნას აპირებთ, მაშინ სამუშაო უნდა იშოვნოთ, ან საკუთარი ბიზნესი წამოიწყოთ, რადგან უცხოელს ქვეყანაში ცხოვრების უფლება მაშინ ეძლევა, თუ მის განვითარებაში წვლილი შეაქვს.

კაპიტალდაბანდებისას ამავე, ცენტრალური ბანკის საშუალებით, სახელმწიფოს ხაზინისათვის შეძენილი ქონების ღირებულების 10 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. გარდა ამისა, საშუამავლო და იურიდიულ ფირმებს კიდევ 2-2 პროცენტი უნდა გადაუხადოთ. რაც შეეხება ყოველწლიურ ბეგარას, იგი საკუთრების 3-5 პროცენტს, დაზღვევა კი 0,4-0,9 პროცენტს შეადგენს. აქვე უნდა ითქვას, რომ საკუთრების საბაზრო ღირებულების შემდგომი გაზრდისა და მისი სარფიანად გაყიდვის, ასევე, მემკვიდრეობით გადაცემის ან გაჩუქების შემთხვევაში არ დაიბეგრებით. ხოლო თქვენი საკუთრების იჯარით გაცემის შემთხვევაში, რასაც საკმაოდ სარფიანად მოახერხებთ, შემოსავლის 10-12 პროცენტს გადაიხდით.

რაც შეეხება ბარბადოსული უძრავი ქონების ფასს, იგი იაფი ნამდვილად არ არის. მარტივად რომ ვთქვათ, თბილისურზე საკმაოდ ძვირია. მაგრამ ერთია გქონდეს მშვენიერი ვილა კარიბის ზღვის პლაჟზე, და მეორე - სახლი, ვთქვათ, საირმის გორაზე.

თავისთავად ცხადია, ბარბადოსზე მხოლოდ ზღვისპირას მდებარე ვილებით ან მიწის ნაკვეთებით დაინტერესდებით. ძნელი წარმოსადგენია, კურძულის ცენტრში გსურდეთ საკუთრების შეძენა. განსაკუთრებით პოპულარული და ძვირი კუნძულის სამხრეთ და დასავლეთ სანაპირო გახლავთ. მასთან შედარებით აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი დაახლოებით 20-30 პროცენტით იაფია, მაგრამ ეს მხარე ამჟამად ვითარდება, ერთობ პერსპექტიულად ითვლება და მალე არანაკლებ პრესტიჟული გახდება.

ამ მშვენიერ კუნძულზე სრულიად კეთილმოწყობილი, მშვენიერი ვილას ფასი 300-400 ათასი დოლარიდან იწყება. თუმცა, თუ ბევრი ფული გაქვთ, მაშინ 10 მილიონად და კიდევ მეტად ღირებულ ზეპრესტიჟულ ვილას შემოგთავაზებენ, ისეთს, თქვენს მეზობლად რომ ჰოლივუდის ვარსკვლავი იჭყუმპალავებს. ქალაქის ტიპის დასახლებებში, მაგალითად, დედაქალაქ ბრიჯთაუნში შესაძლებელია ზღვასთან ახლოს მდებარე შენობებში საცხოვრებელი ფართის 1 კვადრატული მეტრის 2-დან 5 ათასამდე დოლარის ფარგლებში შეძენა.

რაც შეეხება მშენებლობისათვის ვარგის მიწის ნაკვეთს, 1 კვადრატულ მეტრს 7-12 დოლარის ფარგლებში შეიძენთ. ცხადია, ეს საკმაოდ ძვირია, მაგრამ თუ სამშენებლო ბიზნესს წამოიწყებთ, პერსპექტივის და სამშენებლო მასალებისა და მუშახელის არცთუ სიძვირის გათვალისწინებით, კარგ მოგებას ნახავთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ბარბადოსზე 50-მდე ოფშორული ბანკი მოქმედებს, რომლებიც შეძენილი ქონების გარანტიით, მისი ღირებულების 70-80 პროცენტის ოდენობის კრედიტს 15-20 წლით, წლიური 12-16 პროცენტით სიამოვნებით მოგართმევენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, ამ მშვენიერ კუნძულზე კაპიტალდაბანდება იმდენადვე მომგებიანია, რამდენადაც სასიამოვნო.

# რისთვის გვჭირდება სომელიეს რჩევა

## ღვინის მთავარი კონსულტანტის პროფესია მოდური ხდება

თინა შავაძე



ქართული ღვინის ღირსებების შესახებ ბევრს საუბრობენ, მაგრამ მისი საუკეთესო თვისებების სათანადო შეფასება და პოპულარიზაცია ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. ბუნებრივია, ღვინის შეფასებას ზოგადი ცოდნა და პრაქტიკაში მისი გამოვლენა სჭირდება. ვფიქრობ, საკამათო არ არის - საერთაშორისო საზოგადოებისთვის დღემდე არ არის ცნობილი, ქართული ღვინო რამდენად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. როცა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური აფეთქდა, მაშინ კახეთიდან ღვინო "საფერავი" დაზარალებულების სამკურნალოდ წაიღეს. სპეციალისტების განმარტებით, ღვინო (განსაკუთრებით შავი მშრალი) ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში კიბოს განვითარების პროცესს აფერხებს. ასეთი ეფექტის მისაღწევად უნდა ვიცოდეთ, რომელი ქართული ღვინო რომელ კერძთან ერთად უნდა მივირთვათ. განვითარებული ქვეყნების რესტორნებსა და სასტუმროებში ეს პრობლემა მოგვარებულია. კერძოდ, დაქირავებული ჰყავთ სომელიე, რომელიც რესტორნის სტუმრებს ღვინის არჩევისას კომპეტენტურ რჩევას აძლევს. ამ ტიპის მომსახურება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ რესტორნების მესაკუთრეებისთვის მოგება მოაქვს. ამ მიმართულებით ქვეყანაში საქართველოს სომელიეთა ასოციაცია მუშაობს.

ასოციაციამ გასულ კვირას ექვსი სახის ქართული ყველისა და წამყვანი ქართული ღვინის კომპანიების საუკეთესო ნიმუშების დეგუსტაცია გამართა. ამ მეთოდით სომელიეებმა და მოწვეულმა სტუმრებმა 10-ქულიანი სისტემით შეაფასეს, თუ რომელ ყველთან რომელი ღვინის მირთმევა იყო სასიამოვნო. შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი, მაგრამ აშკარა იყო, რომ ქართულმა წითელმა ღვინოებმა ძროხისა და კამეჩის სულგუნთან ერთად ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

"24 საათთან" საუბარში რესტორან "ქალაქურის" სომელიე მაგდა სურგულაძე ამბობს, რომ "დასავლეთ საქართველოს ღვინოებს უფრო მაღალმჟავიანობა ახასიათებს, ვიდრე აღმოსავლურს. ამიტომაც ეს ღვინოები იმერულ ყველთან და შებოლილ სულგუნთან კარგად "მიდის". ჩვენს რესტორანში ღვინის შერჩევა კერძის მიხედვით ხდება. სტუმრები უფრო ხშირად ქართულ თეთრ ღვინოს ირჩევენ, ქათმის ხორცთან ერთად."

დეგუსტაციაში მონაწილეობა მიიღო უკრაინის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა დიმიტრი სიდორენკომ. მან ჩაატარა მასტერკლასი თემაზე: უკრაინის ღვინის ბაზარი; ქართული ღვინო და უკრაინა; სომელიეს პროფესიის საიდუმლოებანი.

სომელიე ფრანგული სიტყვაა და ღვინის ექსპერტს ნიშნავს. ის პასუხისმგებელია რესტორანში სასმელის მიწოდებაზე. უცხოეთში სომელიეთა ასოციაციაში გაერთიანებული არიან რესტორნებისა და სასტუმროების მენეჯერები და თანამშრომლები, ღვინის მწარმოებლები, ღვინის ბუტიკის მენეჯერები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

საქართველოს სომელიეთა ასოციაცია 2003 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა. მისი პრეზიდენტია მარანი "ხეცურიანის" დამფუძნებელი შალვა ხეცურიანი. ამჟამად ასოციაციაში გაერთიანებულია 30 სომელიე.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მთვარი მიზანია, წარმოაჩინოს და პოპულარიზაცია გაუწიოს უძველესი ისტორიის მქონე ქართული მეღვინეობის ტრადიციებსა და, აგრეთვე, მსოფლიოში მეღვინეობის წამყვანი ქვეყნების თანამედროვე მიღწევებს; ხელი შეუწყოს ღვინის მოხმარებისა და მიწოდების კულტურის დონის ამაღლებას საქართველოში, მოსახლეობის მოთხოვნების გაზრდას ხარისხიან ღვინოზე.

ამ მიზნით ასოციაცია საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობას ეწევა; აწყობს სემინარებს, დეგუსტაციებს, გასტრონომიულ შოუებსა და მასტერკლასებს. სწორედ სომელიეთა ასოციაციამ მოამზადა 2004 წელს პირველად საქართველოში რამდენიმე სომელიე და მოაწყო პირველი გასტრონომიული შოუ ქართული ღვინოებისა და კერძების შეფარდების დასადგენად.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე




გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე კვლავ ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა კვლავინდებურად არადამაიმებებელმა მაკროეკონომიკურმა ინფორმაციებმა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებამ განაპირობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,61 პროცენტით, 12.091,30 პუნქტამდე შემცირდა. 1,04 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.350,57 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,81 პროცენტით, 1.377,51 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობი კვლავ გაიაფდა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების მცირე კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,8 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,61 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ოდნავ მოიკლო ბუნებრივი აირის ფასმაც და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,032 დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი კვლავინდებურად აშშ-ში ამ საწვავის მარაგის ზრდა გახლდათ.

ანალიტიკოსთან აზრით, "შავი ოქროს" გაიაფება მოგების ფიქსაციამ და აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დიდი მარაგის არსებობამ განაპირობა. თუმცა, ისინი თვლიან, რომ ეს დროებითი მოვლენაა და ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირების შემდეგ "შავი ოქროს" ფასი ისევ მოიმატებს.

მოიკლო "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმაც, რომლის ღირებულება 56 დოლარი/ბარელის ნიშნულს კვლავ ჩამოსცდა და 55,53 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 604,75 დოლარი შეადგინა, ვერცხლი 12,87 დოლარი/უნციამდე, პლატინა 1080,81 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 324,25 დოლარი/უნციამდე გაძვირდა ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი კვლავინდებურად არადამაიმედებელი მაკროეკონომიკური ინფორმაციებია. გარდა ამისა, გავლენას ახდენს რჩდილოეთ კორეის ირგვლივ სიტუაციის კვლავინდებურად დაძაბვის მოლოდინი. როგორც ცნობილია, პენტაგონის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეა კიდევ ერთ ბირთვულ გამოცდას გეგმავს.

## Schneider Electric-ს American Power Conwersion-ის შეძენა სურს

ელექტროხელსაწყოების მწარმოებელმა ფრანგულმა კომპანიამ Schneider Electric-მა განაცხადა, რომ კვების სარეზერვო წყაროების მწარმოებელი ამერიკული კომპანია American Power Conwersion-ის ყიდვას აპირებს. სავარაუდოდ, გარიგება ნაღდი ანგარიშსწორებით, ამერიკული კომპანიის ერთ აქციაზე 31 დოლარის ოდენობით განხორციელდება, რაც მთლიანობაში 6,1 მილიარდ დოლარს შეადგენს. როგორც Schneider Electric-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ამისათვის კომპანია 1,2 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტის აღებას აპირებს. თავის მხრივ, American Power Conwersion-ის დირექტორთა საბჭომ ფრანგული კომპანიის წინადადება უკვე მოიწონა და აქციონერებს მისი მხარდაჭერისაკენ მოუწოდა.

## უკრაინელი ბიზნესმენები უთანხმოებებს ქრთამების მეშვეობით აგვარებენ

უკრაინელი მეწარმეები თავიანთი საქმიანობის რეგულირების მთავარ საშუალებად ბიზნეს ასოციაციების წევრობასა და მასმედიის მხარდაჭერას მიიჩნევენ. ამას საზოგადოებრივი ორგანიზაციის "კონკურენტული საზოგადოების ინსტიტუტის" მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებიც მოწმობს. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მეწარმეების 43,4 პროცენტი თვლის, რომ ბიზნესის პრობლემების მოგვარება სპეციალიზებულ ასოციაციებში მონაწილეობით არის შესაძლებელი. ბიზნესმენების 42,2 პროცენტი პრობლემის გადაჭრის გზას მასმედიაში ხედავს. 38.8 პროცენტი დარწმუნებულია, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად საჯარო კამპანიებში პერსონალური მონაწილეობა წარმატების საწინდარია. თავიანთი საქმიანობის რეგულირების ყველაზე ნაკლებად ეფექტურ საშუალებად დეპუტატებზე გავლენა დაასახელეს - 30,6 პროცენტი. გამოკითხვა 2006 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა, უკრაინის ცხრა ქალაქში გამოკითხული იქნა 2524 მეწარმე სუბიექტი. გარდა ამისა, მეწარმეს შემოთავაზებული სიიდან რამდენიმე პასუხის არჩევა შეეძლო.

# ნიჭი, რომელიც სხვის პროექტებს ხმარდება



პირველი გვერდიდან

გამონაკლისი არც წლევანდელი კონკურსი ყოფილა, რომელზეც ანტიკვარული ავტომობილების გვერდით თავს იწონებდნენ "პინინფარინას", "როლს როისის" და "რენოს" უახლესი კონცეპტუალური ავტომობილები. მათ გარდა, მნახველის წინაშე წარდგა კიდევ ორი კონცეპტუალური მოდელი, რომლებისთვისაც ეს მსოფლიო დებიუტი იყო. ერთი მათგანია "ფერარი 575 GTZ", მეორე კი "რუსო-ბალტ იმპრესია" (შთაბეჭდილება). ამ ორიდან განსაკუთრებული ინტერესი მეორემ, რუსულ-გერმანულმა (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქართულმაც) ნამუშევარმა მიიქცია.

პროექტის ინიციატორია რუსული სტუდია "A: ლეველი", რომელმაც თავის დროზე, მე-8 სერიის "ბეემვეს" და "ვოლგა 21-ის" ბაზაზე შექმნილი "ვოლგა V12-ით" გაითქვა სახელი. სტუდიამ რევოლუციამდელი რუსული მარკის, "რუსო ბალტის" გაცოცხლება მოინდომა. პირველ მსოფლიო ომამდე ამ ფირმის მიერ გამოშვებულ 30-ცხენისძალიან ავტომობილს მონტე კარლოს რალი ჰქონდა მოგებული, რის შემდეგაც "რუსო ბალტის" ავტომობილებმა თვით მეფე ნიკოლოზ მეორის საავტომობილო ფარეხი შეავსო. თუმცა მოგვიანებით, ბოლშევიკების რევოლუციამ სახელოვან ისტორიას წერტილი დაუსვა.

"A: ლეველმა" თავისი წამოწყების პირველი სტადია დამოუკიდებლად, მოსკოვის გარეუბანში, შესანიშნავად აღჭურვილ სახელოსნოში შეასრულა, თუმცა მოგვიანებით დადგა მომენტი, როცა აშკარა შეიქნა - ამ საქმეში გამოცდილი უცხოელი პარტნიორის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ჰოდა, "A: ლეველმა" დახმარებისთვის გერმანულ კომპანია "გერგს" მიმართა, რომელიც გერმანული ავტოკომპანიებისთვის კონცეპტუალური მოდელების შექმნითაა ცნობილი. მთავარი კი, რითაც "A: ლეველმა" მუშაობა დაიწყო, იყო ავტომობილის დიზაინი.

"A: ლეველმა" ჯერ კიდევ 2001 წელს ჩაატარა დიზაინ-კონკურსი სახელწოდებით "ბუგატის ახალი ხედვა", რომელიც ქართველი დიზაინერის ზვიად ციკოლიას გამარჯვებით დასრულდა. მოგვიანებით, სწორედ მის მიერ საკონკურსოდ შექმნილი ესკიზები დაედო საფუძვლად "რუსო-ბალტ იმპრესიას" დიზაინს, რომლის ინტერიერის სტილის დამუშავებას ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი დიზაინერი ვლადიმირ პიროჟკოვი (ტოიოტაში მუშაობს).

რა თქმა უნდა, ციკოლიასთვის ეს არც პირველი ცნობილი ნამუშევარი იყო და არც უკანასკნელი. მისი ქმნილება საერთაშორისო საზოგადოებამ პირველად ჯერ კიდევ 1997 წელს, ფრანკფურტის 57-ე საერთაშორისო ავტოშოუზე იხილა. ციკოლიამ იქაც "ბუგატის" თემაზე შექმნილი კონცეპტცუალური ნამუშევარი წარადგინა, რამაც სპეციალისტთა დაინტერესება გამოიწვია.



ფრანკფურტამდე ციკოლია სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობდა. ის იყო სატელევიზიო ფესტივალ "მანას" მთავარი დიზაინერი, მოიგო ავიაკომპანია "ეარ ჯორჯიას" კონკურსი და მოგვიანებით, ამავე კომპანიის ლაინერების გაფორმების სტილი შეიმუშავა. ფრანკფურტის შემდეგ კი მან მოიგო კომპანია "ჯორჯიან გლასს ენდ მინერალ უოტერის" მიერ ჩატარებული კონკურსი, რომელიც ბორჯომის წყაროების ეტიკეტის დიზაინის შემუშავებას ითვალისწინებდა. 1999 წელს ციკოლიამ შექმნა "ბუგატის" კონცეპტუალური მოდელის სამგანზომილებიანი ესკიზი.

ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე, მან ველოსიპედის მოტოციკლად გადაკეთება სცადა, რისთვისაც ელექტროძრავის გამოყენება სურდა. მიუხედავად იმისა, რომ წამოწყება არ გამოუვიდა, მისი შემოქმედებითი სწრაფვა ამას არ შეუნელებია.

ციკოლიამ დიზაინერის ნიჭი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში გამოავლინა, როცა სატვირთო ავტომობილის მისეულმა დიზაინმა ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური კონკურსი (მასში 130-ზე მეტი კონკურსანტი მონაწილეობდა) მოიგო და მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის ანალოგიურ კონკურსში, მესამე ადგილი დაიკავა. ციკოლია თავის ნიჭს აშალაშინებდა და გამოცდილებას აგროვებდა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სატრანსპორტო ლაბორატორიაში, სადაც 1986 წელს მან სამი განსხვავებული ასაკისთვის სამი მოტოციკლი შექმნა, რის შემდეგაც ბავშვებისთვის ფორმულა ერთის მოდელების შექმნას შეუდგა.

1997 წელს, მას შემდეგ, რაც ფრანკფურტის ავტოშოუზე გამოფენილი თავისი ნამუშევრით გაითქვა სახელი, ციკოლიამ ჩამოაყალბა საკუთარი დიზაინ-სტუდია სახელად "ციკოლია დიზაინ", რომელიც დღემდე შესრულებული სამუშაოების წყალობით, ინტერნეტ-საიტ "ბრენდს ოფ დი უორლდს" ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო დიზაინ-ბრენდების სიაშია შეყვანილი.

ზვიად ციკოლიას სტუდია სხვადასხვა დროს მონაწილეობდა ისეთი კომპანიის კონცეპტუალური მოდელების შექმნაზე, როგორიცაა "პეჟო". კერძოდ, ქართველმა დიზაინერმა მონაწილეობა მიიღო მოდელ 1007-ის ექსტერიერისა და 307-ის ინტერიერის შემუშავებაში.

თუმცა, სტუდია მხოლოდ ავტომობილების დიზაინით როდი შემოიფარგლება. მისი პროფილი ავტოინდუსტრიაზე გაცილებით ფართოა და მოიცავს ინდუსტრიულ, სამშენებლო და სხვა სახის პროექტებს. მაგალითად, ამ ეტაპზე ციკოლია მუშაობს ბიზნეს-კლასის ორი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის დიზაინის შექმნაზე. სამუშაოს პირველი ეტაპი დასრულებულია. ახლა კი ჯერი მის განხორციელებაზეა, რაც უკვე დიზაინერზე ნაკლებადაა დამოკიდებული...

და მაინც, ციკოლიას მთავარი ინტერესი და მიმართულება საავტომობილო დიზაინია. თბილისელ დიზაინერს ახლაც არაერთი საინტერესო იდეა და ჩანაფიქრი აქვს, თუმცა მათი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი ინვესტიციაა საჭირო. ციკოლიას ათვისებული აქვს სისტემა CAD, ურომლისოდაც თანამედროვე დიზაინერების მუშაობა წარმოუდგენელია. თუმცა, დიზაინერის ნააზრევის განსახორციელებლად აუცილებელია ძვირადღირებული დანადგარები, რომლებითაც სრულფასოვანი მასტერმოდელები იქმნება.

კითხვაზე, ისურვებდა თუ არა თავისი ნააზრევის დამოუკიდებლად განხორციელებას, ციკოლია პასუხობს, რომ შესაბამისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, ნებისმიერი წამოწყება წყლის ნაყვა იქნება. ყველაფერთან ერთად, ერთი ადამიანისთვის ესოდენ დიდი სამუშაოს შესრულება თითქმის წარმოუდგენელია, საჭირო გამოცდილების (პირველ რიგში, კომპიუტერული მოდელირების მცოდნე) მქონე კადრების მოძიება კი ამ ეტაპზე საქართველოში შეუძლებელია.

არადა, ხომ შეიძლება, რომ ჟენევის, დეტროიტის, ფრანკფურტის ან პარიზის ავტოსალონზე ქართველი დიზაინერის ნააზრევი ქართულმა დიზაინ-სტუდიამ გაიტანოს? მაშინ ხომ "მაზერატი ბირდქეიჯის", "რენო ალტიკასა" და "როლს როისის" 101EX-ის გვერდით, "რუსულ-ბალტიური შთაბეჭდილების", ნაცვლად, დამთვალიერებელი "ციკოლია X-კონცეპტს" იხილავდა...

ცნობისათვის, იყო დრო, როცა მთელ მსოფლიოში უამრავი მცირე საავტომობილო კომპანია მუშაობდა, რომლებიც თავიანთი ავტომობილების ძარებს სხვა სახელოსნოებს და სტუდიებს უკვეთდნენ. ამგვარად, ერთ პლატფორმაზე არაერთი საინტერესო მოდელი იქმნებოდა, რითაც პირველ რიგში, მოგებული მყიდველი რჩებოდა.

მასობრივმა წარმოებამ ეს დრო წარსულს დაუტოვა, თუმცა თანამედროვე ავტოინდუსტრია იქით მიდის, რომ მალე ინდივიდუალური შეკვეთებით დამზადებული ავტომობილები კვლავ გამოჩნდება საერთო სარგებლობის გზებზე. მაგალითად თუნდაც ერთ საინტერესო ფაქტს მოგიყვანთ: სულ ახლახან, ამერიკელმა კინოპროდიუსერმა ჯეიმს გლიკენჰაუსმა "პინინფარინას" "ფერარი ენცოს" ბაზაზე ინდივიდუალური დიზაინის მქონე მოდელი შეუკვეთა.

შემკვეთის მთავარი მოთხოვნა შემდეგი იყო: ახალი ავტომობილი უნდა ყოფილიყო 60-იან წლებში ცნობილი მოდელის "ფერარი P3/4-ის" რეტრო-ვარიანტი. გლიკენჰაუსს თავისი სურვილის შესრულება მთლიანობაში 4 მილიონი დოლარი დაუჯდა. აქედან მილიონი მან "ფერარი ენცოს" შესაძენად გაიღო, დანარჩენი კი "პინინფარინას" გადაუხადა.

შედეგი ბრწყინვალეა - საავტომობილო სამყაროს მოევლინა სუპერავტომობილი "ფერარი P4/5", რომელმაც კალიფორნიაში, პებლ ბიჩის ელეგანტურობის კონკურსის დამთვალიერებელთა აღფრთოვანება გამოიწვია.

და ბოლოს, კვლავ "რუსო-ბალტიკ იმპრსიას" დავუბრუნდეთ. "A: ლეველის", ჩანაფიქრით, ეს ავტომობილი მეფეებისთვისაა განკუთვნილი. ის "მერსედეს-ბენც CL 65 AMG-ს" ბაზაზეა შექმნილი. ავტომობილებს "გერგის" საწარმო შეკვეთებით დაამზადებს. სულ გათვალისწინებულია 10-15 ცალი "იმპრესიას" წარმოება, რომელთა ღირებულება 1.8 მილიონი დოლარი იქნება. გერმანული კომპანია აცხადებს, რომ ავტომობილს შეკვეთის მიღებიდან 12-18 თვეში დაამზადებს.

P.S. სულ ახლახან ზვიად ციკოლიამ მოიგო დიზაინის სამყაროში მეტად პოპულარული კონკურსი "რედ დოტ ევარდ" (დიზაინში იგივეა, რაც კინემატოგრაფიისთვის კანის ფესტივალი). ავტორიტეტულმა ჟიურიმ "რედ დოტის" პრიზით დააჯილდოვა ქართველი დიზაინერის მიერ შემუშავებული მაჯის საათი.






## ამერიკის კომპანიებმა აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებს თხოვნით მიმართეს

ამერიკის 13-მა უმსხვილესმა კომპანიამ, რუსეთის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დაჩქარების შესახებ, აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებს თხოვნით მიმართეს.

შესაბამისი წერილი რუსეთში ამერიკის სავაჭრო პალატის მიერაა მომზადებული და მას ხელს აწერენ ისეთი უმსხვილესი კომპანიები, როგორებიცაა: Shell-ი, Ford-ი და Boeing-ი.

აღნიშნულ მოთხოვნას უერთდება, აგრეთვე, რამდენიმე უმსხვილესი ბანკის წარმომადგენელიც. წერილში კონკრეტული ეკონომიკური დასაბუთება და დაანგარიშება არ არის, უბრალოდ, ხელისმომწერნი თავიანთი კომერციული ინტერესებიდან გამოდიან და ჯორჯ ბუშსა და ვლადიმირ პუტინს რუსეთის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის დაჩქარებას სთხოვენ. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ჯორჯ ბუში და მისცემს თუ არა იგი ვიზირებას რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას, 18-19 ნოემბერს, ორი პრეზიდენტის ხანოვში გასამართი შეხვედრის შემდეგ გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოს თანხმობის შემდეგაა შესაძლებელი. აქამდე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას აშშ და საქართველო ეწინააღმდეგებოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამერიკის ეკონომიკის ზრდის ტემპები შემცირდა

ლოკომოტივმა სიჩქარე დააგდო: მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის - ამერიკის ეკონომიკის ტემპები მთელი სამი წლის მაჩვენებლის მინიმალურ ზღვარს მიუახლოვდა. ექსპერტები ყოველივე ამას კომერციული მარაგების კლებასა და უძრავი ქონების ბაზრის "გაცივებას" უკავშირებენ - ამერიკელების დანახარჯები საცხოვრებლის შესაძენად 17 %-ით შემცირდა. ეს უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში რეკორდული მაჩვენებელია.

მესამე კვარტალში ამერიკის მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 1,6 პროცენტით გაიზარდა. მეორე კვარტლის მონაცემებზე დაყრდნობით, როდესაც ზრდის ტემპები თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ანალიტიკოსები ზრდას 2,2%-ით ვარაუდობდნენ. აქ საუბარი რეცესიაზე - განახლებაზე არ მიდის. ამერიკელთა სამომხმარებლო დანახარჯები 3 %-ით გაიზარდა.

ყოველივე ამის ფონზე საქმიანი მსოფლიო ელოდება, თუ რას იტყვის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელობა. განსაკუთრებული ინტერესით საქმოსნები სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს ელოდებიან. ერთი შეხედვით, ამერიკის ფედერალურ სარეზერვო სისტემას არა აქვს საფუძველი, საბაზო კრედიტების პროცენტი ასწიოს. როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, ამ უწყებამ საკუთარი სასესხო პოლიტიკით ეკონომიკას სტიმული უნდა მისცეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 31/10 | 1/11 | 2/11 |
|---|---|---|---|
| კიევი | -2 | 6 | 6 |
| რიგა | 0 | -6 | -9 |
| ვილნიუსი | 2 | -10 | -2 |
| მოსკოვი | 1 | 0 | 0 |
| მინსკი | -2 | -2 | 3 |
| პარიზი | 18 | 17 | 11 |
| რომი | 23 | 20 | 18 |
| ლონდონი | 16 | 17 | 16 |
| მადრიდი | 24 | 22 | 21 |
| ბონი | 14 | 16 | 8 |
| ვარშავა | 3 | 3 | 5 |
| ათენი | 18 | 14 | 17 |
| ბერნი | 17 | 18 | 9 |
| ამსტერდამი | 15 | 13 | 6 |
| ოსლო | 6 | 2 | -8 |
| ანკარა | 17 | 13 | 3 |
| ვარნა | 15 | 13 | 10 |
| დელი | 33 | 33 | 32 |
| ტოკიო | 19 | 21 | 20 |
| კოპენჰაგენი | 9 | 5 | -2 |
| ბაქო | 13 | 20 | 20 |
| ერევანი | 16 | 18 | 19 |
| ასტანა | 6 | 7 | 6 |
| ჰელსინკი | -4 | -7 | -14 |
| დუბლინი | 12 | 12 | 7 |
| ლისაბონი | 25 | 24 | 23 |
| პრაღა | 13 | 8 | 5 |
| სოფია | 5 | 15 | 15 |
| ბუდაპეშტი | 7 | 9 | 13 |
| ბუხარესტი | 10 | 8 | 15 |

## საიმპორტო ნავთობის ღირებულება შემცირდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები, ბენზინის გარდა, ყველა სახეობაზე შემცირდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს. კავშირის ცნობით, 2006 წლის 28 ოქტომბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, შეადგენდა: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 529,50 (+ 3,00); ნაფთა (NAFTA) 491,25 (- 3.50); ნავთი (Jet Fuel (max)) 561,75 (- 7.75); დიზელი (Gasoil.0.2%) 535.25 (- 5.75); მაზუთი (Maze) 255.50 (- 5.25); ნავთობი (Brand) 58.27 (- 0.68) ბარელზე; ნავთობი (Urals) 56.49 (- 0.45) ბარელზ.ეკავშირის ინფორმაციით, მსოფლიოში ნავთობზე ფასი უმნიშვნელოდ გაიზარდა - 27 ოქტომბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 61,08 (+0,31) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა - ბარელზე 60,75 (+0,39) აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ახალი სამშენებლო კანონმდებლობა

ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ინიციატივით, ახალი სამშენებლო კანონმდებლობა ბიზნესსაინფორმაციო ცენტრში ორშაბათს განიხილება. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოდან აცნობეს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები ახალი სამშენებლო კანონმდებლობის უპირატესობებისა და მშენებლობაში სანებართვო პროცედურების ოპტიმიზებაზე ისაუბრებენ. განხილვაზე მიწვეულნი არიან საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის, ამერიკის სავაჭრო პალატის, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის, საერთაშორისო სავაჭრო პალატის, მეწარმეთა კავშირისა და სამშენებლო სფეროდან კერძო კომპანიების წარმომადგენლები. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აუქციონზე 12 ობიექტს გამოიტანენ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 2 ნოემბერს თორმეტი ობიექტის პრივატიზაციას აპირებს. ათი მათგანი თერჯოლაში, თითო კი თბილისსა და გარდაბნის რაიონში მდებარეობს. თერჯოლაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტებია: უნივერმაღის, პურკომბინატის, საწყობ "ანგარას", გასტრონომის, სამეურნეო მაღაზიის, კვების კომბინატის, რაიკოოპერატივის ყოფილი ადმინისტრაციული და რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე შენობები და მათი მიწის ნაკვეთები. ასევე, სოფელ ქვემო სიმონეთში მდებარე ყოფილი რესტორნის შენობა და სოფელ ზედა საზანოში მდებარე ბაზრის შენობა მიწის ნაკვეთებით. ყველაზე ძვირად სწორედ ეს უკანასკნელი ობიექტია შეფასებული. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 85 000 დოლარი. გარდაბნის რაიონში კი ეკონომიკის სამინისტრო სოფელ თელეთის საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობებსა და მიწის ფართს ყიდის. ობიექტი 100 000 დოლარად არის შეფასებული. თბილისში მდებარე ობიექტთაგან კი დიდი დიღმის მე-3 მიკრორაიონში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი გაიყიდება. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 30 000 დოლარი. თორმეტივე ობიექტი აუქციონის წესით გაიყიდება. **მედიანიუსი**

## რუსეთში ადამიანები იწამლებიან

რუსეთში, ქართული და მოლდავური აკოჰოლური სასმელის აკრძალვის შემდეგ, ალკოჰოლის სუროგატით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იწამლება. სარატოვის ოლქის ქალაქ ბალაშოვში, 9 ოქტომბრის შემდეგ, ამ გზით მოწამლული 113 კაცი მოათავსეს საავადმყოფოში. ამის შესახებ ჟურნალისტებს სარატოვის ოლქის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური განვითარების მინისტრმა ალექსეი სოროკინმა განუცხადა. "აღმოვაჩინეთ ტოქსიკური პრეპარატი, რომელიც სამართალდამცავებმა ამოიღეს," - განაცხადა მან და დასძინა, რომ ალკოჰოლის სუროგატთან ბრძოლის სპეციალური კომისია იქმნება, რომელშიც, ექიმებთან ერთად, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და სამართალდამცავებიც შევლენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 31 ოქტომბრიდან აცხადებს ტენდერს ხორბლის გადასაზიდი ვაგონების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ***ხორბლის გადასაზიდი ვაგონების შესყიდვის შესახებ*** და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, (რკინიგზის საიდენტიფიკაციო კოდი - 202886010) და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. **შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურებანი | მოცულობითი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხორბლის გადასაზიდი ვაგონი | 2006 წელს აშენებული; მოდელი - 19-4109; ლიანდაგის სიგანე-1520 მმ; ტვირთამწეობა - 70 ტ; მასა (ტარა) - 23 ტ; წყვილთვალის რელსზე დაწოლის მაქსიმალური საანგარიშო სტატისტიკური დატვირთვა - 230 კნ; ავტოგადასამბმელების ღერძებს შორის მანძილი არანაკლებ - 14720 მმ; ვაგონის სიმაღლე რელსის თავიდან - 4710 მმ; ვაგონის სიგანე - 3286 მმ; ძარის მოცულობაა - 94 კბ/მ; კონსტრუქციული სიჩქარე - 120 კმ/სთ; ვაგონის ბაზა - 10 500 მმ; გაბარიტი - 1 BM | ცალი | 200 |

3. **საქონლის მიწოდების სასურველი ვადები**

ვაგონების მიწოდება მოხდება ეტაპობრივად:

1) 40 ცალი ვაგონი - 2006 წლის 31 დეკემბრამდე;

2) დარჩენილი 160 ცალი შემსყიდველის მოთხვონის შესაბამისად 2007 წლის განმავლობაში.

**4. მიწოდების პირობა და ადგილი**

CIP თბილისი

5.პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **22 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული მსგავსი სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისათვის გაწეული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში;

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში **დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე**;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# О.О.О. "Грузинская железная дорога" объявляет тендер на закупку оборудования

***О.О.О. "Грузинская железная дорога"***, г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет тендер на закупку оборудования и приглашает принять участие всех заинтересованных физических и юридических лиц.

1. Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере 200 (двести) лари (А/О банк "Республика" центральный филиал: код - 220101757, Р/С - 3407003205) и предъявить квитанцию вместе с заявкой на выдачу тендерной документации по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. "Грузинская железная дорога"*** Агентство закупок (3-этаж), после чего им будет выдана тендерная документация заполненная на грузинском языке.

2. **Объекты закупки**

лот №1 - вагон для перевозки зерна, количество - 200 единиц

Основные характеристики вагона
Постройка 2006 года
Модель-19-4109-01;
Ширина колей-1520мм;
Грузоподъемность - 70т;
Масса (Тара)-23т;
Максимальная расчетная статистическая нагрузка колесной пары на релс-203 кН;
Расстояние между осями автосцепок - не менее 14720мм;
Высота вагона от уровня головки рельса - 4710мм;
Ширина вагона - 3286мм;
Объем кузова - 94 кб.м
Конструктивная скорость - 120км/час
База вагона - 10500мм;
Габарит - 1ВМ

3. Условия и место поставки - CIP, г. Тбилиси;

4. сроки поставки - 40 единиц до 31 декабря 2006 года;
остальные 160 единиц по требованию закупщика на протяжении 2007 года

5. Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузинском и/ или русском языках.

n Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов 22 ноября 2006 года**

n Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. "Грузинская железная дорога"*** Агенство закупок (3-этаж).

6. Квалификационные данные должны содержать следующую информацию:

**Для юридических лиц:**

1) Регистрационную документацию и выписку из предпринимательского реестра.

2) Справку выданную налоговой инспекцией о том что в отношении претендента не происходит реорганизация или ликвидация.

3) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство банкротства или санаций.

**4)** В силу обеспечения тендерного предложения - банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложеного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

**Для физических лиц:**

1) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство банкротства.

2) Копию документа, удостоверяющего личность претендента.

3) Документ о регистрации инд./производителя.

4) В силу обеспечения тендерного предложения - банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложеного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

**Всем претендентам необходимо представить:**

1. Подписанное (юридическим лицом и инд.производителем и заверенное печатью) тендерное предложение (образец представлен в тендерной документации), в котором необходимо указать стоимость лота, срок действия тендерного предложения, желательные для претендента условия оплаты.

2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной валюте **(без НДС)**.

Претенденты не смогут пройти отбор если представленные ими тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агенстве закупок ***О.О.О. "Грузинская железная дорога"***, тел: 56-33-51

***Тендерная комисия***

1. Представители зарубежных стран квалификационные данные должны преслать от государственных органов соответствующих стран в легализированном виде и установленными законными нормами.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტისათვის სამედიცინო და საოფისე ავეჯისა და ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტის შესაბამისად:

ლოტი 1 -სამეგრელო-ზემო სვანეთის ცენტრალური სამხარეო ჰოსპიტლის სამედიცინო და საოფისე ავეჯი და ინვენტარი;

მიწოდების დასრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 დეკემბერი DDP-დანიშნულების ადგილი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 ნოემბერს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

| № | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>. | | | |

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიური მიწოდებაზე (ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 31 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

6. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

# ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები აცხადებს ტენდერს

ფედერაცია **გადავარჩინოთ ბავშვები (Save the Children)** ახორციელებს იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა კომუნალური ცენტრების რეაბილიტაციის პროექტს. პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

ვიწვევთ შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფირმებს თბილისში, ლილოს დასახლებაში მდებარე, პროფესიული სასწავლებელი "სერვისის" (ყოფილი N 68) ოთხსართულიანი კომუნალური ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერში მონაწილეობისათვის.

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ტენდერში მონაწილეობის ინტერესის და ფირმის წარმომადგენლზე გაცემული მინდობილობის წერილები, რომლის საფუძველზეც ისინი მიიღებენ სატენდერო დოკუმენტაციას.

წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი დალუქულ კონვერტში **2006 წლის 10 ნოემბრის 13:00 საათამდე** ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები

თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8 , ტელ. 99 54 54 , ერეკლე ჩხიკვაძე

ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები, უფლებას იტოვებს მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი შემოთავაზება ან გააუქმოს ის, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეაჩეროს შერჩევის პროცესი და უარყოს ყველა შემოთავაზება ახსნა-განმარტებების გარეშე, ნებისმიერ დროს, და ამისათვის მას არ დაეკისრება ვალდებულება შერჩევაში მონაწილე მხარეების წინაშე.

# სს "ერისიმედი" აცხადებს ვაკანსიას

გვესაჭიროება 35 წლამდე ასაკის გამოცდილი მარკეტინგის მენეჯერები. მაღალი ანაზღაურებით.

**საკონტაქტო პირი გიორგი ჩილაძავე (ოფისის მენეჯერი). 895 58-21-25.**

**30 ოქტომბერი, 2006 წელი**
**ბრძანება N262/ა**

## დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის 18.04.2006 წლის N96/ა ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" (შემდგომში ნავსადგური) ახორციელებს რა სანავსადგურე მომსახურებას, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვან საქმიანობის სახედ მოიაზრება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, ბუნებრივია დაინტერესებულია აღნიშნული საქმიანობის წარმატებით, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მომსახურების ხარისხის მუდმივ სრულყოფასთან ერთად ტვირთბრუნვის გაზრდის უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო პარტნიორების მოზიდვა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ნავსადგურის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მაქსიმალურად ოპერატიული უზრუნველყოფა, ნავსადგურის პოტენციალის სრულად ათვისება და ამით ნავსადგურის მომსახურების მიმღებ პირთა მაქსიმალური დაინტერესება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნავსადგურისადმი სახელშეკრულებო და პოტენციური პარტნიორების დაინტერესების, აგრეთვე ნავსადგურის საქმიანობის მოცულობის, მისი ტვირთბრუნვის გაზრდის, დამატებითი ტვირთების მოზიდვის უზრუნველყოფის, შესაბამისად ნავსადგურის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცების მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დატვირთვა გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის 18.04.2006 წლის N96/ა ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1.1. შევიდეს ცვლილება ბრძანების მესამე კარის მესამე პუნქტში, ასევე დაემატოს მეოთხე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 3* | ტვირთის მიმღების ან გამგზავნის მიზეზით დასამუშავებელ გემზე ნავმისადგომის მოცდენა, თუ აღნიშნულმა გამოიწვია სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილება. | | |
| 4 | მოცდენად არ ითვლება და შესაბამისად, მოცდენის ანაზღაურებას არ ექვემდებარება გემის თავისუფალი პრაქტიკის შემდეგ საბაჟო პროცედურებისათვის სამი საათი დროის შუალედი და ხოლო, სატვირთო ოპერაციების დასრულების შემდეგ სატვირთო დოკუმენტაციის გაფორმებისათვის ექვსი საათი დროის შუალედი. | | |

1.2. შეტანილ იქნას დამატება ბრძანებაში 11 მუხლის სახით და შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"11 წინამდებარე ბრძანების მესამე კარის მესამე პუნქტი არ გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც ტვირთის დიდი მოცულობის (20 000 ტონაზე მეტი) გამო, მისი ***გადატვირთვის სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელებისათვის*** საკმარისი რაოდენობით დასაწყობება ვერ ხერხდება ნავსადგურის საწყობებში, (ეს არ ეხება იმ ტვირთს, რომელიც დასაწყობებას არ ექვემდებარება). ასეთ შემთხვევებში, საკითხის ***(ტვირთის ნაწილ-ნაწილ მიწოდების განრიგი, ტვირთის ცალკეული ნაწილის მოცულობა, ტვირთის ცალკეული ნაწილების მიწოდებებს შორის დროის შუალედი და ა.შ. რაც ნავსადგურს მისცემს სამუშაოს დაგეგმვისა და დროის ჯეროვნად განაწილების შესაძლებლობას***) დარეგულირება მოხდება ნავსადგურსა და შესაბამის სუბიექტს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ტვირთის მოწოდებისა და გადატვირთვის შესაძლებლობების, მათი თანაფარდობის გათვალისწინებით".

2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გენერალური დირექტორი:**
**ფ. სურმანიძე**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო დარბაზებისათვის საჭირო ავეჯის შესყიდვაზე.**

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.*

შესყიდვის ობიექტი:

მცხეთის სასამართლო:

| დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა |
|---|---|---|
| კედლის მოპირკეთება | კვ. მეტრი | 170 |
| პადაკოლნიკი + პლინტუსი | გრძ/მ | 82 |
| ტუსაღის გალია | 190*105*90 | 1ც |
| მოსამართლის მაგიდა | 550*115 | 1ც |
| მხარეების მაგიდა | 180*85*60 | 2ც |
| მოწმის კათედრა | 115*50 | 1ც |

თბილისის სააპელაციოს 4 დარბაზი:

| დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა |
|---|---|---|
| მოსამართლის მაგიდა | 220*85*60 | 4ც |
| მხარეების მაგიდა | 180*85*60 | 8ც |
| მოწმის კათედრა | 115*50 | 4ც |

ბათუმის სასამართლო:

| დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა |
|---|---|---|
| ტუსაღის გალია | 190*105*90 | 1ც |

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 21 ნოემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით;

5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900, N300033133

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი). ტ. 92 11 89;

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.**

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.*

**1. ლოტი**

თელავის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. თაბაშირ-მუყაოს ჭერის მოწყობა - 495,9 მ$^2$
2. კედლების მოპირკეთება გრანიტით - 163,0 მ2
3. ტერიტორიის შემოღობვა ბლოკის ღობით - 45 გ.მ
4. ტერიტორიის შემოღობვა ლითონის ღობით - 35 გ.მ
5. მთავარი ფასადის გაუმჯობესებული შელესვა - 308,0 მ$^2$
6. მთავარი ფასადის მოპირკეთება ხელოვნური ფილებით - 30,0 მ$^2$

**2. ლოტი:**

სამტრედიის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. გამაგრებითი სამუშაოები რკინის კონსტრუქციებით - 178 მ$^2$
2. თაბაშირ-მუყაოს ჭერის მოწყობა - 300 მ$^2$
3. კედლების მოპირკეთება ხელოვნური გრანიტით - 180 მ2 h =0,8მ
4. საკანალიზაციო ორმოს მოწყობა - 8,6 მ$^3$
5. წყლის რეზერვუარის მოწყობა 10მ-ის სიმაღლეზე -1 ცალი
6. ფასადის გაუმჯობესებული შელესვა -140 მ$^2$
7. შემოღობვა ბლოკის ღობით h = 2,0 მ - 60გ.მ
8. ალაყაფის კარების მოწყობა - 8 მ$^2$
9. შემოღობვა ლითონის ბადით h = 2,0 მ - 17 გ.მ
10. ფასადის მოპირკეთება ხელოვნური ფილებით - 10 მ$^2$

**3. ლოტი:**

სიღნაღის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. დრენაჟის წყალაცილების მოწყობა შენობის წინ - 28,5 მ$^2$
2. ტროტუარის მოპირკეთება ბაზალტით - 28,5 მ$^2$
3. წყლის რეზერვუარის მოწყობა 5 მ მოცულობის - 1 ცალი
4. მთავარი ფასადის გაუმჯობესებული შელესვა -250 მ$^2$
5. მთავარი ფასადის მოპირკეთება ხელოვნური ფილებით - 60 მ$^2$
6. შიდა ეზოს მოპირკეთება ჭერემის ქვით - 170 მ2
7. ეზოს კედლის ამოყვანა და მოპირკეთება ჭერემის ქვით -25 მ$^3$
8. ლითონის ჭიშკრის მოწყობა - 8 მ$^2$
9. კედლების მოპირკეთება ხელოვნური გრანიტით - 44 მ2 h = 0,8 მ სიმაღლეზე
10. მ.დ.ფ. -ის პლინტუსის მოწყობა მოპირკეთების ორივე მხარეზე - 110 გ.მ.

**4 ლოტი:**

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. ბალასტის შეტანა სარდაფში და კომპაქტირება -200 მ$^3$
2. მონოლითური რკინა-ბეტონის ფილის მოწყობა პირველ სართულზე-23,64მ3
3. ფილის არმირება - 1,7 ტ.

5. ლოტი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. სარდაფში მიწის სამუშაოები - 134,4 მ$^3$
2. სარდაფში ცემენტის ხსნარის მოჭიმვის მოხსნა - 62,2 მ$^3$
3. სარდაფში ცემენტის ხსნარის მოჭიმვის მოხსნა - 56,0 მ$^3$
4. მონოლითური რკ/ბეტონის ფილის მოწყობა - 10,8 მ$^3$
5. გარე კედლის იზოლაციისათვის მიწის სამუშაოები -37 მ$^3$
6. გარე კედლის იზოლაცია (ბითუმით და ბიკროსით) - 45,5 მ$^3$
7. ბეტონის შემონაკირწლის მოწყობა - 61,85 მ$^2$
8. ლითონის ღობის მოწყობა - 36,81 მ$^2$
9. ლითონის ჭიშკრის მოწყობა (2ც) ბეტონის საფუძვლით - 16,87 მ$^2$
10. 5ტ. წყლის რეზერვუარის მოწყობა ლითონის საყდენებზე -1ც
11. სახურავის ხის კონსტრუქციების მოწყობა - 14,2 მ$^3$
12. მოთუთიებული თუნუქის სახურავის მოწყობა - 460,9 მ$^2$
13. მთავარი შესასვლელი კიბის საფეხურების და ბაქნების მოპირკეთება ბუნებრივი გრანიტით - 39,3 მ$^2$
14. კედლების მოპირკეთება ხელოვნური გრანიტით - 28 მ$^2$
15. მთავარი ფასადის გაუმჯობესებული შელესვა - 320 მ$^2$
16. საქვაბის სანათურის ("ფარსუნკა") მონტაჟი - 2 ც

**6 ლოტი:**

გორის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. საკნების მიშენება (სარდაფიდან ამოტანა):
- მონოლით. ფილის დანგრევა - 42 მ2
- ბეტონის კედლის დანგრევა - 17,25 მ$^3$
- გრუნტის ამოთხრა ხელით -119 მ$^3$
- მონოლ. ბეტონის კონსტრუქციის მოწყობა - 33,73 მ3
- მონოლ. რკ. ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა - 64,93 მ$^3$
- კედლების მოწყობა წვრილი ბლოკებით - 27,6 მ$^3$
- ტიხტრების მოწყობა ბლოკებით - 92 მ$^2$
- შლაკის ჩაყრა - 14,1 მ$^2$
- ცემენტის მოჭიმვა სისქით 5 სმ. -112 მ$^2$
- სახურავის მოწყობა "ლიმოკრომით" -112 მ2
- მეტალოპლასტიკის ფანჯრების მოწყობა -3,78 მ$^2$
- საძირკველის და იატაკის იზოლაცია -132,7 მ$^2$
- ლითონის გისოსების მოწყობა ფანჯრებზე - 3,78 მ$^2$
- ფასადის კედლების შელესვა ცემენტის ხსნარით - 81 მ$^2$
- ფასადის კედლების შეღებვა -81 მ$^2$

2. წყალსადენისა და კანალიზაციის გადატანა - 42 გ.მ.
3. წყალსადენ-კანალიზაციის ჭების მოწყობა -2ც
4. სხვადასხვა სამუშაოები:
- კედლების მოპირკეთება ხელოვნური გრანიტით - 82 მ$^2$
- პლინტუსების მოწყობა (მდფ-ის) =0,8 მ - 205 გ.მ.
- ფასადის გაუმჯობესებული შეღებვა - 280 მ$^2$
- ფასადის ხელოვნური ქვით მოპირკეთება -37 მ$^2$
- ჭერის მოპირკეთება თაბაშირ - მუყაოს ფილებით -300 მ$^2$
- ცემენტის მოჭიმვის მოწყობა 5 სმ. სისქით - 310 მ$^2$
- ახალი პარკეტით იატაკის მოწყობა, მოხვეწა მოხვეწა და ლაქის წასმა -310 მ$^2$
- შიგა გათბობის მილების შეცვლა - 500 გ.მ.
- დარბაზების მდფ-ის კარებების - 16,32 მ$^2$
- შემოღობვა წვრილი ბლოკით კედლების ბეტონის საფუძვლის მოწყობით - 12,14 მ$^3$
- ლითონის ორფრთიანი ჭიშკრის მოწყობა - 8 მ$^2$
- ღობის შელესვა და შეღებვა - 142,9 მ$^2$
- ხრეშის მოწყობა ასფალტის ქვეშ - 20 მ$^3$
- ასფალტის მოწყობა - 200 მ$^2$

**7 ლოტი:**

რუსთავის რაიონული სასამართლოს შენობის სარეკონსტრუქციო დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესახებ:

1. ახალი ცემენტის მოჭიმვის მოწყობა სისქით 5 სმ - 280 მ$^2$
2. ახალი პარკეტის იატაკის მოწყობა, მოხვეწა და ლაქის წასმა - 280 მ$^2$
3. ჭერის მოპირკეთება (არსებულ შენობაში) თაბაშირ მუყაოთი -370 მ$^2$
4. კარებების საკეტების შეცვლა - 35 ც
5. მთ. ფასადის გაუმჯობესებული შელესვა - 260 მ$^2$
6. მთ ფასადის მოპირკეთება ხელოვნური ქვით - 79,4 მ$^2$
7. დარბაზებში მ.დ.ფ -ის კარებების მოწყობა - 23 მ$^2$
8. შემოღობვა წვრილი ბლოკების კედლით - 60 მ$^2$
9. ღობის შელესვა და შეღებვა - 120 მ$^2$
10. ბორდიურების მოწყობა - 37 გ.მ.
11. ლითონის ჭიშკრის მოწყობა - 10 მ$^2$
12. კედლების მოპირკეთება ხელოვნური გრანიტის ფილებით - 150,4 მ$^2$
13. მ.დ.ფ-ის პლინტუსების მოწყობა - 378 გ.მ.
14. შიგა გათბობის მილების შეცვლა არსებულ შენობაში - 406 გ.მ.
15. ახალი ქვაბის მონტაჟი, სიმძლავრით 200 კვტ - 1 ც.
16. ეზოს ხელოვნური ქვით მოპირკეთება - 245 მ$^2$
17. ხრეშის მოწყობა ასფალტის ქვეშ - 15 მ$^3$
18. ასფალტის საფარის მოწყობა - 515 მ$^2$.

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 21 ნოემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.*

*ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

*ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;*

*ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).*

*მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;*

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133;

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია თელია, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

**ტელ: 92 11 89**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისში თავისუფლების მოედნის მოკირწყვლის სამუშაოების (გრანიტის ქვაფენილით ზომით 100X100X130მმ საერთო ფართით 1400მ2) საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 21 ნოემბრის 12 საათიდან 21 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 31 ოქტომბრის 12 საათიდან 2006 წლის 20 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გ. მეტრეველი, საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ფონდი „ირმის ნახტომი" აცხადებს კონკურსების საშემოდგომო სერიას:

*1. მსოფლიოს და საქართველოს ისტორიული პირების დიდი ქართული სასკოლო ლექსიკონის შესაქმნელად.*

პროექტის მიზანია, თავი მოუყაროს იმ ისტორიულ პირთა აღწერებს, რომლებიც მოსწავლეთათვის ცნობილია მსოფლიო და საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. ლექსიკონში თითოეული ლიტერატურული პერსონაჟი წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ალტერნატიული აღწერის სახით. ისტორიული პირის აღწერა-დახასიათება უნდა მოიცავდეს მისი ვინაობის, ამა თუ იმ ეპოქაში მისის ადგილის და ისტორიაში მისი მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციებს; დახასიათება უნდა ეყრდნობოდეს აღსაწერი ისტორიული პირისა და მისი ისტორიული კონტექსტის ცოდნას, მაგრამ შეზღუდული არ უნდა იყოს პედაგოგიურ სივრცეში, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში მასზე არსებული სტერეოტიპული შეხედულებებით. უპირატესობა მიენიჭება მასალებს, რომლებშიც დამოწმებული იქნება არა სასკოლო სახელმძღვანელოები, არამედ ისტორიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. პროექტი ითვალისწინებს ლექსიკონის ილუსტრირებას მოსწავლეთა ნახატებით;

*2. ლიტერატურული პერსონაჟების დიდი ქართული სასკოლო ლექსიკონის შესაქმნელად.*

პროექტის მიზანია, თავი მოუყაროს იმ პერსონაჟთა აღწერებს, რომლებიც მოსწავლეთათვის ცნობილია ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. ლექსიკონში თითოეული ლიტერატურული პერსონაჟი წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ალტერნატიული აღწერის სახით. ლიტერატურული პერსონაჟის აღწერა-დახასიათება უნდა მოიცავდეს პერსონაჟის ვინაობის, ნაწარმოებში მისი ადგილის და ფუნქციური დატვირთვის შესახებ ინფორმაციებს; დახასიათება უნდა ეყრდნობოდეს პერსონაჟის და ნაწარმოების ცოდნას, მაგრამ შეზღუდული არ უნდა იყოს პედაგოგიურ სივრცეში, ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში პერსონაჟის შესახებ არსებული სტერეოტიპული შეხედულებებით. უპირატესობა მიენიჭება მასალებს, რომლებშიც პერსონაჟის ხასიათისა თუ ნაწარმოებში მისი ფუნქციონირების ნიუანსები წარმოჩენილი იქნება ორიგინალური და არასტანდარტული კუთხით, მაგრამ თვითმიზნური ორიგინალობის გარეშე და დასაბუთებებით განმტკიცებული. პროექტი ითვალისწინებს ლექსიკონის ილუსტრირებას მოსწავლეთა ნახატებით;

*3. მწერლის საუკეთესო ვებ-გვერდის გამოსავლენად.*

სკოლები, რომლებიც მონაწილეობენ ქართველ და საზღვარგარეთელ მწერალთა ციფრული ვერსიებისა და ვებ-გვერდების შექმნაში, მიმდინარე წლის გაზაფხულზე ინფორმირებული იყვნენ იმის თაობაზე, რომ კონკურსი ღიაა და საკონკურსო მასალები 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან აქტიურად განთავსდება „ირმის ნახტომის" ოფიციალურ პორტალზე. ეს ხელს შეუწყობს, კონკურსის ორგანიზატორთა კონსულტაციების საფუძველზე, წარმოდგენილი ვებ-გვერდების დახვეწას და საკონკურსოდ მაღალი დონის ვებ-გვერდის მომზადებას. არაერთი სკოლის მუშაობის ნაყოფი უკვე განთავსებულია „ირმის ნახტომის" პორტალზე, ავტორები კი, კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად, მუშაობენ მათ დასახვეწად და საკონკურსოდ მაღალი დონის ვებ-გვერდის წარმოსადგენად. საკონკურსოდ წარმოდგენილი ვებ-გვერდების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც ვებ-გვერდების ტექნიკური დამუშავების ხარისხი და ვუზუალური მასალის მოცულობა, ისე - მასზე განთავსებული ტექსტების მოცულობა (წარმოდგენილი მწერლის შემოქმედების და მასზე არსებული ინფორმაციების მოცულობის გათვალისწინებით).

*4. ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენებიდან ქართულ ენაზე ერთი ლექსის საუკეთესო ნორჩი მთარგმნელის გამოსავლენად.*

მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკურსი უფროსკლასელებისთვის ტარდება, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს საჯარო სკოლების ყველა სასკოლო ასაკის მოსწავლეებს.

*5. საუკეთესო ციფრული ლიტერატურული ჟურნალის, საუკეთესო პროზაულ და პოეტურ ტექსტთა, ასევე საუკეთესო თარგმანთა ავტორების გამოსავლენად.*

ეს კონკურსი მიმდინარე წელს მეორედ ცხადდება და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც იმ სკოლებს, რომლებმაც ანალოგიურ საგაზაფხულო კონკურსში მიიღეს მონაწილეობა, ასევე სკოლებს, რომლებსაც ჯერ არ გააჩნიათ ციფრული სალიტერატურო ჟურნალი.

**თითოეული კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ფონდი „ირმის ნახტომის" ვებ-გვერდს, ინტერნეტ მისამართზე: www.dlf.ge ან დაუკავშირდით სსიპ ფონდ „ირმის ნახტომს" ტელ: 91 05 50, 91 05 52 საკონტაქტო პირი დავით ბარბაქაძე.**

# განცხადება კონკურსის ფორმით ქონების გასხვისების შესახებ

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში "გამყიდველი") აცხადებს კონკურს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებაზე.**

გასაყიდი ქონება:

ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა N68-ში მდებარე 1 720 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობა.

**გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 1 060 000 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე, საიდანაც 1 720 კვ.მ. მიწის ღირებულებაა 1 008 000 აშშ დოლარი, ხოლო ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობის ღირებულებაა 52 000 აშშ დოლარი.**

განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა (შემდგომში "კონკურსანტი") განაცხადები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 ნოემბრის 18:00 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები და საკონკურსო წინადადებები აღარ მიიღება.

განაცხადები და საკონკურსო წინადადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68.

კონკურსის "რეგისტრატორი"

**ელენე ქავთარაძე**

საკონტაქტო ტელეფონი: მობ: 8 77 46 01 45

ფაქსი: 33 23 15

შენიშვნა: განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00-18:00 საათამდე.

"ბეს" და კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის გადასახდელი თანხის გადახდა წარმოებს ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები:

სს "ბანკი რესპუბლიკა"

ანგარიშის N 000 700 499

ბანკის კოდი: 220 101 757

კონკურსანტების წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 16 ნომბრის 18:00 საათზე ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N68-ში, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხდომათა დარბაზში.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კონვერტების გახსნის დღიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

საკონკურსო პირობები

1. გასაყიდი ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

2. რვა მეტრი სიგანის ასფალტიანი სამანქანო გზის გაკეთება ჩიქოვანის ქუჩიდან ყოფილი "ტელეფილმების" შენობამდე. ხსენებული გზის გაკეთება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. გზის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.

3. მყიდველი გასაყიდ ქონებასთან მისასვლელად ისარგებლებს მხოლოდ მეორე პუნქტში მითითებული გზის საშუალებით ჩიქოვანის ქუჩიდან.

4. ამ თავის მეორე პუნქტში მითითებული გასაკეთებელი გზა არ შედის გასაყიდი ობიექტის ფართში. გზის გაკეთების შემდეგ, მასზე გავრცელდება საერთო სარგებლობის უფლება და მისი გამოყენება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი როგორც მყიდველისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე სხვა ნებისმიერი მესამე პირის მიერ.

5. გასაყიდ ობიექტზე არსებული საყრდენი კედელის გამაგრება.

6. გასაყიდი ობიექტის შემოსაზღვრა ღობით.

7. გასაყიდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების იმგვარად წარმოება, რომ ამით ხელი არ შეეშალოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ნორმალური ფუნქციონირების განხორციელებაში.

*შენიშვნა:*

*1. კონკურსანტს შეუძლია გაეცნოს სავარაუდო გზის ესკიზს და საჭიროების შემთხვევაში გადაიღოს მისი ასლი.*

*2. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს გზის გასაკეთებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა.*

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

**1.** კონკურსანტის მიერ შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის ვინაობა (იურდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება), საკონტაქტო მონაცემები, გასაყიდი ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

**2.** კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში რომელიც ილუქება მის მიერ;

**3.** "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ან იმავე ოდენობის თანხაზე გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს 2006 წლის 15 დეკემბრამდე.

**4.** კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**5.** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

**6.** ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსანტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

**7.** ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პირი ქმედუნარიანია (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

**8.** კონკურსანტი იურიდიული პირის შემთხვევაში, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ყადაღის ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის მიერ;

გ) ცნობა გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოების შესახებ სასამართლოდან;

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესი.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური ფასის გადახდა.

კონკურსის ჩატარების წესი

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

2. კონკურსში გამარჯვებულად ცხადება მონაწილე, რომლის წინადადებები აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს და კრიტერიუმებს და საზოგადოებრივი მაუწყებელს შესთავაზებს უკეთეს პირობებს.

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დადგენილ დღეს და საათზე იხსნება კონვერტები შემოსული წინადადებებით. დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადებები არ პასუხობს კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება შესაბამისი აქტით.

4. კონკურსანტს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას.

5. საზოგადოებრივი მაუწყებელი იხილავს კონკურსანტების წინადადებებს მათი დასწრების გარეშე, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას.

6. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა რომელიმე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადების უპირატესობა დანარჩენ შემოთავაზებულ წინადადებებთან შედარებით, მაშინ, საზოგადოებრივი მაუწყებელს შეუძლია გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტების გახსნის დღესვე.

7. საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლება აქვს საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს გადაწყვეტილება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 6 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. თუ რამოდენიმე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასის და სხვა პირობების შესახებ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით დაადგინოს (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) საუკეთესო წინადადებები და შემდგომში აწარმოოს მათთან დადგენილი რიგითობის მიხედვით მოლაპარაკებები. ასეთ შემთხვევაში თითოეულ კონკურსანტთან მოლაპარაკების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს.

9. მოლაპარაკებების წარმოების შემდგომ ან კონკურსის ჩატარების წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოავლენს გამარჯვებულს, რომელთანაც გაფორმდება გასაყიდ ქონებაზე შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება.

10. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ბრძანებით და რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) გასაყიდი ობიექტის დასახელებას;

ბ) მონაცემებს კონკურსის მონაწილეთა შესახებ;

გ) კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს დანართების სახით;

დ) კონკურსში გამარჯვებულის დასახელებას;

ე) კონკურსის შედეგად დადგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქონების გასაყიდ ფასს;

f) კონკურსის შედეგად დადგენილი საკონკურსო პირობების შესრულების ვადები და განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა.

11. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულს კი ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

12. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ:

ა) 2006 წლის 15 ნოემბრის 18.00 საათამდე არ იქნა შემოტანილი არც ერთი განაცხადი;

ბ) წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების გაფორმების წესი

1. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია საზოგადოებრივ მაუწყებელთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით).

2. ხელშეკრულებაში სხვა პირობებთან ერთად აისახება მყიდველის ვალდებულება საკონკურსო პირობების დაკმაყოფილების შესახებ, ასევე პირგასამტეხლო - აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

3. სხვა მონაცემები კონკურსის და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. გასაყიდი ობიექტის შეძენისას შეტანილი "ბე" მყიდველს ეთვლება ანგარიშსწორების დროს.

5. კონკურსანტების მიერ კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისთვის გადახდილი 100 ლარი რჩება საზოგადოებრივ მაუწყებელს.

6. დანარჩენ მონაწილეებს "ბე" უბრუნდებათ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ მათი მოთხოვნის საფუძველზე 7 დღის განმავლობაში.

7. თუ კონკურსში გამარჯვებულის მიზეზით ამ თავის 1-ელ პუნქტში მითითებულ ვადაში არ გაფორმდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, მის მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია ხსენებული თანხის გადახდა მოითხოვოს საბანკო გარანტიის გამცემისაგან.

8. მყიდველი ვალდებულია დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 3 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს საზოგადოებრივ მაუწყებელს.

9. საკონკურსო პირობების სრულად შესრულებამდე მყიდველს საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება კონკურსის ფორმით გაცემული ქონება განკარგოს.

10. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 0,05%-ის ოდენობით.

# სხვადასხვა დასახელების მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წ 14 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ***სხვადასხვა დასახელების მასალების შესყიდვის შესახებ*** შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- განცხადებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის ჩამონათვალს დაემატოს მე-12 ლოტი შემდეგი შინაარსით:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 12 | გოგირდმჟავა | აკუმულატორებისათვის | ტნ | 2 |

2. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვეყნებული *სხვადასხვა დასახელების მასალების შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

# ვაკანსია

ს/ს "მინა" - ქსნის მინის ტარის ქარხანა (30კმ თბილისიდან) იწვევს კანდიდატებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

**ტექნიკური დირექტორი**

**ფუნქციები:**

- ხელმძღვანელობას უწევს ტექნიკურ და წარმოების სამსახურებს.
- აწარმოებს ანალიტიკურ სამუშაოებს.
- დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში აკონტროლებს: მათი მუშაობის შედეგებს, საწარმოო და შრომის დისციპლინის საკითხებს.
- უზრუნველყოფს (ორგანიზებას უწევს) პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს.
- მონაწილეობს საწარმოს განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.
- ამზადებს საწარმოს განვითარებისა და რესტრუქტურიზაციის კონკრეტულ პროგრამებს.
- ადგენს კომპანიის ბიუჯეტირების პარამეტრებს წარმოების დარგში.
- ამზადებს და/ან ზედამხედველობს საწარმოს ტექნიკურ პროექტებს.
- ორგანიზაციას უწევს პროექტების რეალიზაციის გრაფიკებს.
- ამუშავებს მეთოდიკებს არასტანდარტული და კრიზისული სიტუაციის დროს ოპერატიულ რეაგირების შესახებ.

**მოთხოვნები:**

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება,
2. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება.
3. თურქული ან ინგლისური ენის ცოდნა.
4. პროფესიული თვისებები: მმართველის უნარები, სისტემური აზროვნება, ანალიტიკური ნიჭი.

თუ თქვენ თვლით რომ აკმაყოფილებთ ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს:

წარმოადგინეთ თქვენი რეზიუმე და რეკომენდაციები (წინა დამსაქმებლიდან) მისამართზე : სოფ. ქსანი, მცხეთის რ-ონი ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე mzubashvili@mina.com.ge. ან ფაქსით 44 99 80. ტელ. 44 99 87 შიდა ნომერი 2229

**ბოლო ვადა: 30 ნოემბერი**

## ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 48

26 ოქტომბერი 2006 წ.

"ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 1 თებერვლის N8 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 60I-ე მუხლის მე-7 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი "ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 1 თებერვლის N8 ბრძანების მეორე პუნქტი:

"2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ქ. თბილისის მერის 2005 წლის 5 მაისის N34 ბრძანება "ქალაქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების სტრუქტურის და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ"."

2. ბრძანება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

# ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს განცხადება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

2006 წლის 10 ოქტომბერს ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვა 219 882 ლარის ოდენობით ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს IV განყოფილების შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 31 ოქტომბრიდან აცხადებს ტენდერს ფიქსირებული მისადგმელის GSM-ის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად სხვადასხვა დასახელების საქონლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფიქსირებული მისადგმელი ფიჭური ტელეფონისთვის | GSM-ის ტიპის; სადგურის მორიგეებთან და ელმავლებთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში სარეზერვო ფიჭური კავშირის განხორციელების მიზნით | ცალი | 100 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სავალდებულო ვადა - IV კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **20 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში; დამატებითი ღირებულების გარეშე.

3. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს, გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 49

26 ოქტომბერი 2006 წ.

"ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N 14 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად,

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 63-ე მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

**1.** "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N 14 ბრძანების სამართლებრივი საფუძველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, 271-ე მუხლისა და "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 სექტემბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე".

**2.** "ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 28 თებერვლის N 14 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ადმინისტრაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 სექტემბრის N1-1 გადაწყვეტილებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით."

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) ქ. თბილისის მერის, მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მერის მოადგილეების სახელზე შემოსული მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, მიმართვების, ოფიციალური კორესპონდენციის აღრიცხვა, რეგისტრაცია და დანიშნულებისამებრ განსახილველად გადაცემა."

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) ქ. თბილისის მთავრობის სხდომების, მერის თათბირების ორგანიზაციული და დოკუმენტური უზრუნველყოფა."

4. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) ქ. თბილისის მერისა და ადმინისტრაციის უფროსის მიერ გამოცემული, აგრეთვე ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეესტრების წარმოება."

5. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"თ) დადგენილი წესით ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან."

6. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მ) ქ. თბილისის მერისა და მთავრობის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა."

7. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულებითა და ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) - მერიის ადმინისტრაციის უფროსის მიერ ფუნქციათა განაწილებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში"

8. მე-5 მუხლის "ჟ", "რ" და "ს" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ჟ) ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) - მერიის ადმინისტრაციის უფროსის აპარატი;

რ) ქ. თბილისის მერის მოადგილის აპარატი;

ს) ქ. თბილისის მერის მოადგილის აპარატი".

9. ამოღებულ იქნეს მე-5 მუხლის "ტ" ქვეპუნქტი.

**2.** ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მერი**
**გიორგი უგულავა**

# საკონსულტაციო მომსახურება წყალმომარაგების და კანალიზაციის სექტორში საბოლოო ვადა (2006 წლის 29 ნოემბერი)

**საქართველო**
***Ref-N°: 2004 66 136***
***წინასწარი შეფასება***
***Ref.: ღია საერთაშორისო ტენდერი კომუნალური ინფრასტრუქტურის პროგრამისათვის.***

***ტენდერის ორგანიზატორი*** - *ბათუმის მუნიციპალიტეტი*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საქართველო - წარმოადგენილია შემდეგი კომპანიის მიერ:
KfW Entwicklungsbank
Dept. L3a5
Palmengartenstr. 5-9
60 325 ფრანქფურტი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

Tel No. +49 69 7431-0
Fax No: +49 69 7431-3490

***პროექტის აღწერა:***

საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბათუმში საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის დაფინანსების შესახებ ("პროექტი"). პროექტი მიზნად ისახავს ბათუმის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციასა და მოწყობას. პროექტი პირველ სამ ფაზას მოიცავს, რომელთა ფარგლებში ბათუმის მოსახლეობის ჰიგიენური თავლსაზრისით მისაღები ხარისხის წყლით მომარაგების უზრუნველყოფა და ნარჩენი (მოხმარებული) წყლების ეკოლოგიურად და ჰიგიენურად მისაღები გზით გადამუშავებისა და ჩაშვების უზრუნველყოფაზე მიმართული ზომების გატარებაა გათვალისწინებული. პროექტის მიზანია ბათუმის ძველი ნაწილის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის (II ზონა) წყალმომარაგებისა და ნარჩენი წყლების გატანის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ასპექტების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიური თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას და ბათუმის მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

***მოთხოვნილი საკონსულტაციო მომსახურეობა:***

ტენდერის ორგანიზატორი და პროექტის განმახორციელებელი სააგენტო - ბათუმის მუნიციპალიტეტი არჩევენ კვალიფიციურ კონსულტანტს პროექტის პირველი და ნაწილობრივ მეორე ფაზის დროული და ეფექტური განხორციელების მხარდაჭერის მიზნით. კონსულტანტს მოეთხოვება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მხარდაჭერა, ინვესტიციების ტექნიკურად განხორციელების საქმეში (დეტალური პროექტირება, ტენდერთან დაკავშირებული ღონისძიებები, სამუშაოების ზედამხედველობა).

გამოცდილი კონსულტანტის შერჩევის პროცედურა განხორციელდება KfW-ს სახელმძღვანელოს "ფინანსური თანამშრომლობის პროექტებისათვის კონსულტანტის დანიშვნის შესახებ", უახლესი ვერსიის შესაბამისად. (იხილე KfW-ს განვითარების ბანკის ვებგვერდი - www.kfw-entwicklungsbank.de). აღნიშნული პოზიციის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა იყოს დამოუკიდებელი კონსულტანტი, რომელსაც გააჩნია რეგიონის წყალმომარაგების და კანალიზაციის სექტორში მუშაობის გამოცდილება. კანდიდატის წლიური ბრუნვა უნდა აღემატებოდეს 1 მილიონ ევროს ბოლო სამი წლის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ KfW ს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. ჭინასწარი შეფასების დოკუმენტაცია გავრცელდება ელექტრონული ფოსტი მეშვეობით.

**Consulting Services in Water supply and sanitation *sector***

**Deadline: *(November 29th, 2006)***

***Republic of Georgia***
***Ref-N°: 2004 66 136***
***Prequalification***
***Ref.: International, open Tender for Programme Communal Infrastructure***

***Tenderer*** Municipality of Batumi
Autonomous Republic of Adjara
Republic of Georgia
represented by
KfW Entwicklungsbank
Dept. L3a5
Palmengartenstr. 5-9
60 325 Frankfurt
Federal Republic of Germany
Tel No. +49 69 7431-0
Fax No: +49 69 7431-3490

***Project measures:***

The Government of the Republic of Georgia and of the Federal Republic of Germany intend to finance the 'Rehabilitation of Municipal Infrastructure in Batumi – Phase I' (the 'Project').

The Project concerns the rehabilitation and extension of the water supply network as well as the sewer system of Batumi. The Project covers the first and optional the second of three phases that aim at a continuous and demand-oriented supply of the population with hygienically sound water as well as an ecological and hygienically sound disposal and treatment of the wastewater of Batumi. The purpose of the Project is the qualitative and quantitative improvement of the water supply and wastewater disposal situation of the population living in the old town (zone II) of Batumi. This is to contribute to the sustainable and ecological municipal development as well as to the improvement of the sanitation situation of the population of Batumi.

***Requested Consultant services:***

The Tenderer and Project Executing Agency 'Municipality of Batumi' is seeking the support of a qualified Consultant to facilitate the timely and effective implementation of the first phase and optional the second phase of the project. The Consultant is required to support the Project Executing Agency with regard to the technical implementation of the investments (detailed design, tendering, supervision of works, etc.).

The prequalification of experienced Consultants will follow the latest version of the „Guidelines for Assignment of Consultants in Financial Co-operation Projects"(please refer to homepage of KfW development bank www.kfw-entwicklungsbank.de). It is foreseen to employ an independent Consultant experienced in the water and sanitation sector and the region with a minimum annual turnover of 1 mill. € within the past 3 years. Further information is available from KfW upon written request at the above mentioned address. Prequalification documents will be distributed electronically.